კვლევის პარტნიორები:

საქართველოს ციფრული ეკონომიკის ასოციაცია(სცეა)
ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია(აფბა)
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
"ჯორჯიან პროდაქტი"(Georgian Products)

საქართველოს ეკონომიკა და საბანკო სექტორის განვითარების ზოგადი ტენდენციები 2012-2018 წლებში

ნაშრომის ავტორები:
გიორგი ცუცქირიძე - საქართველოს ციფრული ეკონომიკის ასოციაცია
შოთა გულბანი - აფბა

თბილისი

გიორგი ცუცქირიძე

1984 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა –მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, 1991 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლა, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი;
2000 წელს გაიარა საბერძნეთის ცენტრალური ბანკის ტრეინინგ ცენტრში (The Training Center of the National Bank of Greece (Athens) საკრედიტო რისკ მენეჯმენტის სასერთიფიკატო კურსი;
2003 წელს გაიარა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს ტექნიკური დახმარების ფაკულტატური კურსი(The faculty of the office of Technical Assistance United States Department of the Treasury Recognizes) ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა და ფინანსური დანაშაული ;
1994 – 1997 წლებში იყო თბილისის საფონდო ბირჟის გენერალური დირექტორის მოადგილე;
1999 – 2001 წლებში იყო საქართველოს კომერციულ ბანკებში საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების დანერგვის პროექტის(TACIS PROJECT) საბჭოს წევრი;
2001 – 2002 წლებში იყო "SIBLEY International"/USAID (Tbilisi) საქართველოს საწარმოთა მხარდამჭერი პროექტის (GESP), და Overcast Strategic Consulting, Ltd (OSC)/ USAID (Tbilisi), საზოგადოებრივი განვითარების პროექტის წამყვანი ტრეინერი;
2000-2003 წლებში ხელმძღვანელობდა ბანკირთა გადამზადების პროგრამებს საბერძნეთის ცენტრალური ბანკის ტრენინგ ცენტრისა და გერმანიის შემნახველი ბანკების ასოციაციის "შპარკასე აკადემიის" (Savings Banks Foundation for International Cooperation - Sparkassen Akademie (Potsdam) ტექნიკური დახმარების საგრანტო პროგრამების ფარგლებში.
1997 -2018 წლებში იყო საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

2008–2010 წლებში იყო ილიას სახელობის სახელომწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. კითხულობდა ლექციების ციკლს საბანკო საქმეში;

2011-2016 წლებში იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის, დარგობრივი საბჭოს წევრი.

2011 წლიდან არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

2016 წლიდან არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. კითხულობს ლექციების ციკლს საბანკო საქმეში, საკრედიტო და რისკ მენეჯმენტში;

2018 წლიდან არის თბილისის საავიაციო უნივერსიტეტის პროფესორი;

2018 წლიდან საქართველოს ციფრული ეკონომიკის ასოციაციის თანადამფუძნებელი;

მისი სტატიები და საექსპერტო კომენტარები პერიოდულად გადის ქართულ და უცხოურ ბეჭდვით და ელექტრონულ მედია საშუალებებში. არის სახელმძღვანელოს (რისკ მენეჯმენტი კომერციულ ბანკებში) თანაავტორი, ეკონომიკის, საფინანსო და მონეტარული პოლიტიკის საკითხებზე 100-მდე ნაშრომის, სამეცნიერო სტატიის და პუბლიკაციის ავტორი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს;



შოთა გულბანი

შოთა გულბანი არის კავასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი. ამავე უნივერსიტეტში აქვს ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი მინიჭებული. დოქტორანტურაში მისი კვლევის სფეროს წარმოადგენს ფინანსური ბაზრები საქართველოში;

მისი კარიერა ძირითადად დაკავშირებულია ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია - აფბა-ში მოღვაწეობასთან, სადაც ის 2012 წლიდან დასაქმდა მკვლევარ-ანალიტიკოსის პოზიციაზე. 2014-2016 წლებში არის ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი ხოლო 2016 წლიდან იკავებს პრეზიდენტის პოსტს;

შოთა გულბანი აგრეთვე 2012 წლიდან არის ერთადერთი ქართულენოვანი ყოველკვირეული ანალიტიკური ბეჭდური და ინტერნეტ გამოცემა „ბანკები და ფინანსების“ ანალიტიკოსი, ხოლო 2016 წლიდან ამ გაზეთის სარედაქციო საბჭოს წევრი;

2016-2017 წლებში ის იყო ანალიტიკური ბიზნეს და ეკონომიკური გადაცემის, „ბიზნესკოდის“ წამყვანი ტელეკომპანია იბერიაზე;
2018 წლიდან არის საქართველოს ციფრული ეკონომიკის ასოციაციის თანადამფუძნებელი;

შინაარსი

თავი1. ეკონომიკის განვითარების ტენდენციები 7

1.1.ეკონომიკური ზრდის დინამიკა.. 7
1.2. საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი და მისი კომპონენტები 12
1.3. საფონდო ბაზარი და საპენსიო რეფორმა 15
1.4. კაპიტალის ბაზრის ინსტიტუციონალური სრულყოფის საკანონმდებლო გზები 19
1.5. საშუალო თვიური ხელფასი და შემოსავლების განაწილება. 26
1.6. დასაქმება და უმუშევრობის დონე. 29
1.7. არაფორმალური სექტორი და თვითდასაქმება. 30
1.8.ბიზნესის თანადაფინანსების პროგრამები. 32
1.9. საგარეო-სავაჭრო ბალანსი და ორმაგი დეფიციტის ეკონომიკა. 35
1.10. ინვესტიციების სტრუქტურა.. 41
1.11. საერთაშორისო რეიტინგები. 43
1.12. ეკონომიკის ციფროვიზაცია.. 45

თავი 2. საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები 51

2.1 საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები 51
2.2 ახალი საბანკო რეგულაციები და მათი მოსალოდნელი ზეგავლენა 53
საკრედიტო ბაზარზე... 53
2.3. საბანკო მომსახურების ბაზრის კონცენტრაცია.. 57
2.4. საპროცენტო განაკვეთების დინამიკა.. 61
2.5. კომერციული ბანკების ვალდებულებები 65
2.6. საბანკო სექტორის მომგებიანობა... 68

თავი 3. საბანკო სექტორის მონტარული აგრეგატები, მომგებიანობის და ჭარბვალიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები...69

3.1. მონეტარული აგრეგატების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან. 69
3.2. აქტივების და საკრედიტო დაბანდებების დინამიკა.. 71
3.3. საკრედიტო პორთფელის დივერსიფიკაცია. 787
3.4. ჭარბვალიანობა და მისი შეფასების ინდიკატორები.. 810
3.5 შინამეურნეობების დავალიანება და სისტემური რისკები. 843

თავი 4. ბანკების მომგებიანობის ანალიზი...88

4.1 ბანკების შემოსავალ-ხარჯების სტუქტურა. 88
4.2. წმინდა საპროცენტო მარჟა 953
4.3. საპროცენტო სპრედი. 976
4.4. ბანკების მომგებიანობის მაჩვენებლები, აქტივებზე და კაპიტალზე, %............. 97
4.5. ციფრული ბანკინგის სტარატეგია და პერსპექტივები.. 98
დასკვნები და შეფასებები---106

გამოყენებული ლიტერატურა:...1174

კვლევის ანოტაცია

თემის აქტუალობა. "საქართველოს ეკონომიკა და საბანკო სექტორის განვითარების ზოგადი ტენდენციები 2012-2018" არის პირველი კომპლექსური ნაშრომი, რომელიც საბანკო სექტორსა და ზოგადად, ეკონომიკას ეხება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პირველი ასეთი სახის კომპლექსური კვლევა უახლოესი განვლილი პერიოდის, ეკონომიკისა და საბანკო სექტორის მიმართულებით. მეორე, რაც ძალიან საინტერესოა, არის კავშირი საბანკო სისტემასა და საქართველოს ეკონომიკას შორის, საბანკო სისტემის გავლენა ეკონომიკაზე და მეორე მხრივ, მაკროეკონომიკური ფონის გავლენა-ზემოქმედება საბანკო სისტემის განვითარებაზე.

ნაშრომში განხილულია ეკონომიკის და საბანკო სექტორის განვითარების არსებული ტენდენციები 2012-2018 წლებში, 2018 წლის პირველი ნახევარის ჩათვლით, ეკონომიკის ზრდის საკითხები და ის პრობლემები და გამოწვევები, რაც სწრაფ ეკონომიკურ ზრდას აფერხებს. აქცენტები გადატანილია ინკლუზიური ზრდის პერსექტივებზე და სამომავლო ტენდენციებზე. კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთიან კონტექსტში, კომერციული ბანკების როგორც ქვეყნის წამყვანი სადეპოზიტო ინსტიტუტის საკრედიტო, საინვესტიციო და რესურსების ბაზის მდგომარეობის ანალიზი, მომგებიანობის ინდიკატორები, მასზე მოქმედი მიკრო და მაკრო ფაქტორების ზეგავლენის და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა. ნაშრომში განხილულია ყველა ის საკითხი, რაც დღეს აქტუალურია ჩვენს საზოგადოებაში და ბიზნეს დაკრედიტების პრობლემებს და ჭარბვალიანობის საკითხებს უკავშირდება.

პირველ თავში განხილულია ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, დასაქმების, შრომის ანაზღაურების და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, ექსპორტ-იმპორტის დინამიკა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და ზოგადად საგადამხდელო ბალანსის ზეგავლენა ეკონომიკაზე. ამას ეკონომიკური ინკლუზიური ზრდისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემდგომ გაღრმავება გამოწვეული იყო იმით, რომ გასულ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება დიდწილად ხდებოდა საგარეო ვაჭრობასთან კავშირის არმქონე სექტორებში, მშენებლობასა და მომსახურების სექტორში და არა წარმოებაში.

ნაშრომში, ნაჩვენებია ის დადებითი ტენდენციები, რამაც 2012 წლიდან დღემდე პერიოდში უზრუნველყო ეკონომიკის განვითარება და სწრაფი ზრდა, ამავდროულად ჩვენ ვხედავთ იმ პრობლემებსაც რომელიც სოციალური უთანასწორობის კუთხით და დასაქმების მიმართულებით არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მშპ-სთან თანაფარდობის დონით, საშუალო ევროპულზე მაღალი მაჩვენებელი გვაქვს, ეკონომიკას სჭირდება უფრო მეტი ინვესტიცია, რომელიც მაღალტექნოლოგიურ დარგებში იქნება ინვესტირებული, ნაცვლად დაბალტექნოლოგიური ინვესტიციებისა. კვლევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ წარმოდგენილია ავტორთა ხედვები და შესაბამისი რეკომენდაციები, რამაც ეკონომიკის შემდგომი განვითარება და ინკლუზიური ზრდა უნდა უზრუნველყოს.

მეორე თავში განხილულია საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები, ახალი საბანკო რეგულაციები და მათი მოსალოდნელი ზეგავლენა საკრედიტო ბაზარზე. იმ საკითხებს შორის, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ერთ–ერთ მთავარი კომერციული ბანკები და ეკონომიკაზე მათი ოპერაციების ზეგავლენა უნდა მივიჩნიოთ. კვლევაში ასახულია საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები 2012-2018 წლებში. დღეს საბანკო სექტორი მდგრადია, რაც საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ

სამართლიანად არის აღიარებული, ჩვენ ვხედავთ ერთის მხრივ საბანკო სექტორის პროგრესს, როგორც აქტივების ხარისხის და ეფექტურობის გაუმჯობესების მიმართულებით, რაც აქტივების ხარჯების შემცირებაში, რისკების მართვის გაუმჯობესების და კაპიტალის ადექტვატურობის კუთხით არის მიღწეული. მაგრამ კომერციული ბანკების აქტივების და შესაბამისად, მომგებიანობის მაღალი ტემპებით ზრდის პირობებში, წარმოიქმნება ერთგვარი დისბალანსი ეკონომიკის ზრდის და ბიზნეს დაკრედიტების ტემპებთან შედარებით.

საბანკო მომსახურების ბაზრის მაღალმა კონცენტრაციამ ხელი შეუწყო სისტემის ტრანსფორმაციას და მაღალ მოგებაზე გასვლას, მაგრამ კონცენტრაციის საშუალო ევროპულზე მაღალი მაჩვენებელი, თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, ატარებს სისტემურ რისკებსაც, კონკურენტულობის ეფექტურობის და საპროცენტო განაკვეთების შემდგომი შემცირების თვალსაზრისით, რამაც განსაკუთრებით, გლობალური შოკებისას სერიოზული პრობლემების წინაშე შეიძლება დაგვაყენოს.

მესამე თავში განხილულია საბანკო სექტორის მონეტარული აგრეგატების განვითარების დინამიკა 2012-2017 წლებში, მათი ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები კერძოდ მონეტარული აგრეგატების თანაფარდობა მთლიან შიდა პრდუქტთან მიმართებაში, ნაჩვენებია აქტივების და საკრედიტო დაბანდებების დინამიკა, საცალო და ბიზნესდაკრედიტების ტენდენციები. ცალკეა განხილული „ჭარბვალიანობა" და მისი შეფასების ინდიკატორები, ვალაუვალობის საკითხებთან ერთად განხილულია მათი შესაძლო ზეგავლენა ეკონომიკაზე, სისტემური რისკების თვალსაზრისით. ჩვენ ვხედავთ ერთის მხრივ, სისტემის სტაბილურობას, ვადაგადაცილებული სესხების თვალსაზრისით, მაგრამ მეორეს მხრივ შემცირებული ბიზნესდაკრედიტების ფონზე, დაკრედიტების ტემპების თანაფარდობა ეკონომიკის ზრდასთან, ორჯერ და მეტადაც აღემატება საშუალო ევროპულ და მსოფლიო მაჩვენებლებს.

მეოთხე თავში განვიხილულია ბანკების მომგებიანობის ანალიზი, შემოსავალ-ხარჯების სტრუქტურა, წმინდა საპროცენტო მარჟა და მომგებიანობის მაჩვენებლები. სისტემის მაღალი მოგება და კაპიტალის მაღალი მულტიპლიკატორი, გვიჩვენებს სისტემის მაღალ დამოკიდებულებას საერთაშორისო ბაზრებთან და უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებთან, რაც ასევე ეკონომიკის მაღალი საგარეო მოწყვლადობის კიდევ ერთი მაჩვენებელია და ადასტურებს საფონდო ბაზრის განვითარების უალტერნატიულობას. სისტემის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, პრობლემებს ვხედავთ საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ასიმეტრიაში, სადაც საპროცენტო შემოსავლები მთლიანი შემოსავლების 75 %-ის ფარგლებშია და გაცილებით მაღალია ვიდრე საშუალო ევროპული მაჩვენებლები, რომელიც საშუალოდ 40 %-ის ფარგლებშია, ხოლო განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში კიდევ უფრო დაბალანსებულია.

საბანკო სექტორის მთავარ გამოწვევად ციფროვიზაციის ეპოქის დადგომასთან ერთად, მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების მოზიდვა და ინოვაციური ფინანსური მომსახურების დანერგვაში ვხედავთ, იქნება ეს მობაილ ბანკინგის ახალი აპლიკაციები, სმარტ პროდუქტები თუ თავად ფილიალების ახალი დიზაინი.

ნაშრომი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ შესრულებულია როგორც განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებთან, ასევე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებთან და რეგიონის ქვეყნების ძირითად მაკროეკონომიკურ და საბანკო ტენდენციებთან შედარებითი ანალიზის მეთოდით.

ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული სტატისტიკური მასალები, საქართველოს ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების, ფინანსთა სამინისტროს, საქსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზიდან.

თავი1. ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

1.1.ეკონომიკური ზრდის დინამიკა

2012 წლიდან მოყოლებული „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, მართველი ძალის-„ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკა ეყრდნობა 2014 წელს შემუშავებულ „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის საპროგრამო დოკუმენტს. „საქართველო 2020“-ის მიხედვით - საქართველოს მთავრობის მიზანი გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საფუძვლის შექმნა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაა. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას ეფუძნება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. სტრატეგია 2020 წლისთვის შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლების მიღწევას ისახავს მიზნად: მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე 5811.7 დან 13 000 (ლარი, ნომინალური) გაზრდას, ჯინის კოეფიციენტის 0.41 დან 0.35-მდე შემცირებას, ინფლაციის 3.0 (%) ზღვარზე შენარჩუნებას, უმუშევრობის შემცირებას 12 % ქვემოთ, ექსპორტის წილის მშპ-ში 45 % დან 65 %-მდე გაზრდას, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 6 %-მდე შემცირებას.

მიგვაჩნია, რომ 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ აქცენტირებული „ოთხ პუნქტიანი გეგმა“, რომელიც ეყრდნობოდა „საქართველო 2020“-ის სტრატეგიულ დოკუმენტს, იყო თავისებური გამოწვევა 2014-2016 წლების გლობალური შოკების დაძლევის, ზოგადად ანტიკრიზისული მენეჯმენტის და ეკონომიკის გამოცოცხლების თვალსაზრისით, რადგან ასახავდა ქვეყნის ძირითად გამოწვევებს, იქნება ეს ეკონომიკის ტრანსფორმაცია ადგილობრივი წარმოების სტიმულირების კუთხით, განათლების რეფორმა, მმართველობითი რეფორმა თუ სივრცითი კომპონენტი, რაც მთლიანად იყო მხარდაჭერილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის დონეზე.

გარდა ამ გამოწვევებისა დღეს ერთ-ერთ მთავარ საკითხად უნდა განვიხილოთ ზოგადად ეკონომიკის ციფროვიზაციის საკითხიც, რომელიც კვლევის 1.10. ქვეთავშია დეტალურად აღწერილი

მიგვაჩნია, რომ ამ წლებში ბიზნესზე ორიენტირებულმა რეფორმებმა, აგრეთვე სამთავრობო ინიციატივებმა, თანადაფინანსების ინტრუმენტების შემოღებით, რომელიც უკავშირდებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, ასევე საგადასახადო შეღავათებმა, ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი გავლენა იქონია. ამ ფაქტორებთან ერთად, ბიზნესზე მოხსნილმა პოლიტიკურმა წნეხმა, რაც 2012 წლამდე იყო ბიზნეს აქტივობის შემაფერხებელი ფაქტორი, ბიზნესწრეებში შექმნა ოპტიმიზმის მოლოდინი, რაც ბიზნეს აქტივობის გაზრდილ მაჩვენებლებში აისახა კიდეც.

2018 წლის პირველ ნახევარში ჩვენ გავედით ბოლო დეკადის ყველაზე მაღალ მაჩვენებელზე. ეკონომიკის ზრდამ მიმდინარე წლის პირველი 6 თვის მონაცემების მიხედვით, 5.7 % შეადგინა. ზრდის მაჩვენებელი აპრილში 6.5 %, ხოლო მაისში სულაც 7.5 % იყო(**დიაგრამაN1**), რაც განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებშიც კი მაღალი მაჩვენებელია და ჩინეთის და ინდოეთის მზარდი ეკონომიკების დონეზე გადის. შედარებისათვის, BB ჯგუფის რეიტინგის მქონე ქვეყნებში, სადაც საქართველოც შედის, ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი, საშუალოდ, 3.5%–ზე ფიქსირდება.

დიაგრამა #1. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), 2010-2018(6)



წყარო: საქსტატი

წინასწარი შეფასებით, 2018 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნებოდა ტრანსპორტის, დამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის, საფინანსო საქმიანობის, სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის 2018 წლის აგვისტოს ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) წლიური ზრდა მოსალოდნელზე ოდნავ მაღალი აღმოჩნდა და 5% შეადგინა. დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა 2018 წლის პირველ ნახევარშიც: წინასწარი მონაცემებით, ეკონომიკური ზრდის ტემპმა აღნიშნულ პერიოდში 5.7% შეადგინა. ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესებას განაპირობებს როგორც საგარეო სექტორში არსებული დადებითი ტენდენციები, ასევე შიდა მოთხოვნის გააქტიურება. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, ასევე გაიზარდა ფულადი გზავნილებიც. ამასთან, იმპორტის მომატებული ზრდის ტემპი ასახავს შიდა მოთხოვნის გააქტიურებას. შიდა ფაქტორებიდან ეკონომიკურ ზრდას ხელს უწყობს სამომხმარებლო და ბიზნესის განწყობის გაუმჯობესება, ისევე, როგორც სესხების ზრდა ზოგადად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2018 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროგნოზი 4.8%-დან 5.5%-მდე გაზარდა, რაც თანხვედრაშია საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზთან. ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გადახედვა უკავშირდება როგორც საგარეო, ასევე შიდა მოთხოვნის გაუმჯობესებას. პროგნოზის მიხედვით, მშპ–ს ზრდაში დადებითი წვლილი ექნება როგორც წმინდა ექსპორტს, ასევე მოხმარებასა და ინვესტიციებს, რასაც საგარეო შემოდინებები, ბიზნესის განწყობის გაუმჯობესება, სესხების ზრდა და სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები განაპირობებს. განახლებული შეფასებით, ეკონომიკური აქტივობის ჩამორჩენა პოტენციური დონიდან წინა პერიოდში პროგნოზირებულზე სწრაფად აღმოიფხვრება, რაც შესაბამისობაშია ეკონომიკური ზრდის გაზრდილ პროგნოზთან.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკური ზრდის ტემპები 2007-2008 წლების გლობალური ეკონომიკური კრიზისის და 2014-2016 წლების გლობალური შოკების მეორე ტალღის შემდეგ, 2017 წლიდან კვლავ აღმავლობის ტრენდზეა გასული, რაც შედეგია პოზიტიური ტრენდისა და ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების დადებითი ეფექტისა, რაზეც მშპ-ის ზრდაში პირველ რიგში დამამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილის ზრდა მიუთითებს.

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას, გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა ივნისში, გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 17 %-ით

არის გაზრდილი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ზრდა მოდის როგორც მსხვილ, ასევე საშუალო და მცირე ბიზნესის ბრუნვაზე.

შედარებისათვის, ჩვენ ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზი 2018-2023 წლებში, რომლის თანახმადაც საქართველოს აქვს საკმაოდ კარგი მაჩვენებლები, როგორც ცენტრაკლური აზია და კავკასიის რეგიონის, ასევე მსოფლიო დონეების მიხედვით და ვართ აზია წყნარი ოკეანიის სწრაფად განვითარებადი ეკონომიკების დონეზე.

დიაგრამა # 2. სსფ-ის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, 2018-2023 წლები, %



წყარო: https://www.imf.org/external/datamapper/NGDP_RPCH@WEO/OEMDC/ADVEC/WEOWORLD/GEO/APQ

2014-2016 წლებში გლობალური შოკების ზეგავლენამ აჩვენა, რომ ჩვენი ეკონომიკის მთავარი სისუსტე იყო არა თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსი, როგორც ეს ექსპერტთა ნაწილს მიაჩნდა, არამედ ეკონომიკის მაღალი დოლარიზაცია და საგადამხდელო ბალანსის ასევე მაღალი დეფიციტი, რაც პირდაპირ ზემოქმედებდა სავალუტო კურსზე. თავის მხრივ, საგადამხდელო დეფიციტის მაღალ დონეს განაპრობებდა, ეკონომიკის რეალური სექტორის სისუსტეები, რაც ვერ გადაიფარა გასულ წლებში მხოლოდ მომსახურების სექტორების სტიმულირებით. როდესაც ამ საკითხს ვიხილავთ, მიზანშეწონილია ამოვიდეთ იმ პარადიგმიდან, რომ ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის და არაკონვერტირებული ვალუტისას ეკონომიკა გაცვლით კურსს სათანადოდ ვერ იყენებს ბუფერად. მით უმეტეს, თარგეტირების სტრატეგიისას, მონეტარული პოლიტიკა ისედაც ვერ ახდენს რეაგირებას ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებით გადახრაზე, თუ ინფლაციური მოლოდინები და მშპ-ის ზრდის ტემპები ფასების ზრდაზე დამატებით ზეწოლას არ ქმნის.

ასეთ შემთხვევებში სავალუტო ინტერვენცია როგორც მონეტარული ინსტრუმენტი კონტრპროდუქტიული და პრობლემის დროებითი მოხსნა უფრო იქნება. ეკონომიკისათვის და დედოლარიზაციის ხელშეწყობისთვისაც ჯობია კურსი იყოს თავისუფალ ცურვაში ანუ კურსმა გაიწოვოს შოკები, შეძლებისდაგვარად შეასრულოს ბუფერის როლი და თავად იპოვოს წონასწორობის ახალი წერტილი. დღეს ეს რამდენად მტკივნეულიც არ უნდა იყოს,

მოსახლეობისათვის ან ბიზნესისათვის. სავალუტო ინტერვენციებს აზრი აქვს წმინდა სპეკულატიური ტრენდების შესანელებლად, ან ეფექტური გაცვლითი კურსის ექსპორტზე შენელების ფაქტორიდან გამომდინარე და არა მაკროტენდენციების შესამცირებლად, რომლებიც ფუნდამენტური ფაქტორებით არის გამოწვეული. ერთადერთი როდესაც მიზანშეწონილია ინტერვენციები ბაზარზე ეს იქნება მზარდი ინფლაციური მოლოდინის შესარბილებლად ან რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ფაქტორიდან გამომდინარე, რაც მაკროეკონომიკური წონასწორობის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი და ასახავს ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებას საქართველოს ყველა ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ, ლარის ზედმეტად გამყარების თავიდან ასაცილებლად, იმპორტის შეზღუდვის და საპირისპიროდ ექსპორტის და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისათვის. აქ იგულისხმება ის ქვეყნები, რომლებთანაც საქართველოს ყველაზე მაღალი სავაჭრო ბრუნვა აქვს: ევროზონა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი, იაპონია.

სებ-ს ამ ტიპის ჩარევები ბაზარზე ადრეც გაუკეთებია, მათ შორის 2014-2016 წლებში გარე შოკებისას, თუმცა ნეგატიური მოლოდინების პრევენციის სტრატეგია შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო, რეალური დადებითი შედეგის მისაღწევად, უკეთეს შემთხვევაში გაუფასურების დროებით შესანელებლად, როგორც ინტერვენციების მოცულობის, ასევე ჩარების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე.

მიგვაჩნია, რომ რეფორმის განსახორციელებლად ქვეყანას სჭირდებოდა ღია საერთაშორისო მხარდაჭერა, და პირველ რიგში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ახალი პროგრამის შეთანხმების თვალსაზრისით, რასაც ალტერნატივა არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, 2016 წლის დასაწყისში ძალაში შევიდა ძალზე მნიშვნელოვანი შეთანხმება საქართველოში 3 წლიანი პროგრამის დაწყებაზე, რომელის დაფინანსებაც 285 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა-„გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის" (Extended Fund Facility), ფარგლებში და ითვალისწინებს საქართველოსთვის 201.4 მილიონი ესდეერ-ის (SDR: Special Drawing Right); დაახლოებით 285 მილიონი აშშ დოლარის ანუ სსფ-ში საქართველოს ქვოტის 100 პროცენტის ტოლი თანხის გამოყოფას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის "გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით" მხარდაჭერილი მიმდინარე პროგრამის მეორე მიმოხილვის ანგარიშში ცალსახად არის აღნიშნული, რომ „მიმდინარე ეკონომიკური გაჯანსაღება შესაძლებელს ხდის განხორციელდეს ისეთი რეფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს საგარეო შოკებისადმი მდგრადობას და უფრო მაღალ და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას". ამასთან, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, საქართველოში ეკონომიკურ ზრდას ხელი შეუწყო საგარეო პოზიციის გაძლიერებამ ექსპორტის, ტურიზმის და ფულადი გზავნილების ზრდის შედეგად.

შედარებისათვის, სსფ-ის პროგნოზების მიხედვით, ეკონომიკური ზრდის საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი 2018 წელს 3.9 %-ი იქნება, მათ შორის განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში საშუალოდ ეკონომიკა 2.3 %-ით გაიზრდება, აშშ-ში-2.7 %, ევროზონის ქვეყნებში-2.4 %-ით(გერმანიაში-2.5%, საფრანგეთში-2.1 %, იტალიაში-1.5% და ა.შ), განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საშუალოდ ეკონომიკა 4.8 %-ით გაიზრდება, მათ შორის ლათინური ამერიკის ქვეყნებში-2.0%, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ქვეყნებში საშუალო ზრდა -3.4 % იქნება, შედარებით მაღალი ზრდის პროგნოზი აქვთ განვითარებადი აზიის ქვეყნებს-6.5 %(ინდოეთი-7.4 %, ჩინეთი-6.5 %, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები-5.3%), ევროპის განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც ჩვენც შევდივართ ზრდის პროგნოზი- 4.3 %.

თუმცა, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა რისკებიც, რაც, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება აშშ-ის მიერ ინიცირებულ „სავაჭრო ომს". ეს უკანასკნელი საფრთხეს უქმნის

გლობალური გაჯანსაღების პროცესს და მსოფლიო მასშტაბით ზრდის პერსპექტივებს წინა პროგნოზში გაკეთებულ დაშვებებთან შედარებით უფრო მეტად უთანაბროს ხდის.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის პოტენციურზე მაღალი ზრდის შემდგომ, 2018 წელს თურქეთის ეკონომიკა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. მათ შორის აღსანიშნავია ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის შესუსტება, რამაც წლის დასაწყისიდან თურქული ლირას მკვეთრად გაუფასურება გამოიწვია და დამატებით გაზარდა ინფლაცია. მიუხედავად ამისა, მძლავრი ფისკალური სტიმულით წახალისებული კერძო მოხმარება ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალად დარჩა, რის გამოც რეალური მშპ-ის ზრდამ პირველ კვარტალში 7.4% შეადგინა, თუმცა, მსოფლიო ბანკის პროგნოზით, დაფინანსების გამკაცრებული პირობებიდან, მიმდინარე ანგარიშის მზარდი დეფიციტიდან და გეოპოლიტიკური საფრთხეებიდან გამომდინარე, თურქეთის ეკონომიკა წელს მხოლოდ 4.5%-ით გაიზრდება, ხოლო ინფლაცია წლის განმავლობაში ორნიშნა დონეზე დარჩება. ამავდროულად დაძაბულობა თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში, სერიოზულო ზეგავლენას იქონიებს საინვესტიციო კლიმატზე და თურქული ლირის გაუფასურების ტენდენციებზე. ასეთი სცენარისას, გაუფასურებული ლირა გააიაფებს რა თურქულ ექსპორტს, ნეგატიურად იასახება ჩვენს სავაჭრო ბალნსზე.

2018 წლის დასაწყისში ევროზონის ეკონომიკის ზრდის ტემპი შენელდა, რაც ძირითადად გამყარებული ევროთი და სუსტი გლობალური მოთხოვნით იყო განპირობებული. გარდა ამისა, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში პოლიტიკური რისკები გაიზარდა ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლით (იტალია,ესპანეთი). აშშ-ის მიერ ინიცირებულმა „სავაჭრო ომმა“ დამატებითი საფრთხეები გაუჩინა ევროპის ეკონომიკას ექსპორტირებულ ფოლადსა და ალუმინზე შემოღებული ტარიფებით, რასაც შესაძლოა ავტომობილების დამატებითი დაბეგვრაც დაემატოს.

ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ, 2016 წელს ესტონური მოდელის მოგების გადასახადის რეჟიმის შემოღება. ესტონური მოდელის შესაფასებლად, საინტერესო კვლევა განხორციელდა USAID - ის მიერ დაფინასებული პროექტის “მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ფარგლებში. აღნიშნული კვლევის მიხედვით რეფორმას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი: საფონდო კაპიტალი 1,5 წელიწადში 3,23 %-ით გაიზრდება. ამასთან, რეფორმა გამოიწვევს წმინდა ინვესტიციების ზრდას. ეს ფაქტორები არის მნიშვნელოვანი, რადგან ლიკვიდური საფონდო ბაზრის არარსებობის პირობებში, ქმნის ინვესტიციების თავისებურ ალტერნატივას. ნიშანდობლივია, რომ დაახლოებით 1,5 წელიწადში, რეალური მშპ გაიზრდება 1,44%-ით, ხოლო საერთო კერძო მოხმარება გაიზრდება დაახლოებით 0,85 %-ით; რაც ასევე მნიშვნელოვანია, შემცირდება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, კომპანიების მიერ დივიდენდების საქართველოში დატოვებით, რეფორმის საინვესტიციო ეფექტიდან გამომდინარე; საინტერესოა ასევე განაწილებული მოგების გადასახადის მოსალოდნელი ეფექტი კომპანიებზე. ტარტუს უნივერსიტეტის 2011 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელშიც შეადარეს ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის კომპანიების კაპიტალის სტრუქტურა, ლიკვიდურობა და ინვესტიციების დონე რეფორმამდელ და რეფორმის შემდგომ პერიოდებში (mtk.ut.ee/sites/default/ files/mtk/RePEc/mtk/febpdf/febawb81. pdf).

აღნიშნული კვლევის მიხედვით, კომპანიების ვალდებულებების შეფარდება მთლიან აქტივებთან რეფორმის შემდგომ წლებში 7 პროცენტით შემცირდა. ფულადი სახსრების წილი მთლიან აქტივებში (კომპანიის ლიკვიდურობის ინდიკატორი) 2-3 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, რაც ძალზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია, ლიკვიდურობა ორჯერ მეტად გაიზარდა მცირე კომპანიებში (50-ზე ნაკლები თანამშრომელი), ვიდრე საშუალო და მსხვილ კომპანიებში. ამასთან, გაუნაწილებელი მოგების წილი კაპიტალში 11 პროცენტით გაიზარდა და ეს ეფექტიც უფრო ძლიერი მცირე კომპანიებში იყო. რეფორმის კიდევ ერთი პოზიტივი,

გაზრდილი ლიკვიდურობის შედეგად, ფულადი სახსრების განთავსება ძირითადად მოხდა არა მაღალრისკიან გრძელვადიან აქტივებში, არამედ პირიქით-დაბალრისკიან მოკლევადიან აქტივებში.

რისკების მართვის თვალსაზრისით, ესტონურმა კომპანიებმა ნაკლები დანახარჯებით გადალახეს 2008 წლის ეკონომიკური კრიზისი, ვიდრე ლატვიურმა და ლიტვურმა, რადგან საკრედიტო კრიზისის ფონზე ნაკლები სასესხო ვალდებულება და მეტი ლიკვიდური აქტივი ჰქონდათ. სსფ-ის კვლევის მიხედვით, კრიზისის დროს ვადაგადაცილებული სასესხო ვალდებულებების მაჩვენებელი ესტონეთში, 2009 წლის ბოლოს, 6% იყო, ლატვიასა და ლიტვაში კი 20%-ს უტოლდებოდა.

მართალია, გაუნაწილებული მოგების გადასახადის ერთ-ერთ მთავარ მინუსად მცირე პრაქტიკულ გამოცდილებას ასახელებენ, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესტონეთზე მეტად ელასტიურია საქართველოს ეკონომიკა ისეთი რეფორმების გატარებაში, როგორიცაა შრომითი უფლებები, მონეტარული თავისუფლება, ბიზნესის კეთების სიადვილე და ა.შ. ესტონეთი აღნიშნული მაჩვენებლებით სანამ მოგების გადასახადის რეფორმას გაატარებდა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საქართველოს.

ესტონურ მოდელზე გადასვლა ბიუჯეტის ხარჯების შემცირებათან არის დაკავშირებული. ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, აღნიშნული რეფორმის შინაარსი გამომდინარეობს ეკონომიკური ზრდის თეორიიდან და იმ კვლევებიდან, რომლებიც ეკონომიკურ ზრდასა და მთავრობის ზომას შორის ურთიერთკავშირს ანუ კორელაციას ემყარება, ცხადია მთავრობის ზომა, რეფორმის შედეგად სხვა თანაბარ პირობეში მცირდება. ეკონომიკურ ზრდასა და მთავრობის ზომას შორის, კორელაციის დასადგენად ჩატარებული კვლევების უმრავლესობით, მთავრობის ზომის შემცირება, მთლიან შიდა პროდუქტში სხვა თანაბარ პირობებში იწვევს ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებას.

რეფორმა, როგორც აღინიშნა სხვა თანაბარ პირობებში გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას, მით უმეტეს, რომ „მცირე მთავრობის" კონცეფციით მთავრობის ზომა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ისედაც მცირდება. თუმცა ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ რეფორმის შედეგი, მყისიერად არც ამ შემთხვევაში მიიღწევა და დაახლოებით 1,5 წელიწადში გახდება ხელშესახები.

მიუხედავად ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპებისა, ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება საგარეო მოწყვლადობის და უმუშევრობის მაღალი დონე.

1.2. საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი და მისი კომპონენტები

სახელმწიფო ვალმა 2017 წლის ბოლოსთვის შეადგინა მშპ-ს 44.6% (აქედან საგარეო ვალი იყო 35.3%), ხოლო 2016 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი იყო 44.4% (საგარეო ვალი - 35.1%) და 2015 წლის ბოლოსთვის - 41.4% (საგარეო ვალი - 32.5%). (იხილეთ დიაგრამა 2)

დიაგრამა #3. სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან ქვეყნების მიხედვით, %



წყარო:Thetradingeconomics

ვალის ზრდა 2015 და 2016 წლებში ძირითადად გამოწვეული იყო გაცვლითი კურსის ცვლილებით. სახელმწიფო ვალის საბაზრო ღირებულება 2016 წლის დეკემბრისთვის იყო 32%, რადგან ჩვენი ვალის მნიშვნელოვანი ნაწილი აღებულია შეღავათიანი პირობებით.

საქართველოს სახელმწიფო ვალმა 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 44.6 პროცენტი შეადგინა. საქართველოს სახელმწიფო ვალის საშუალო სიდიდე 2004 წლიდან 2017 წლამდე მშპ-ს 36 პროცენტია, 2017 წლის მაჩვენებელი -44.6 % არის ბოლო ათ წელიწადში ყველაზე მაღალი, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2007 წელს იყო -მშპ-ის 21.55 პროცენტი. ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო ვალის საშუალო მაჩვენებელი 2017 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 81.60 პროცენტით განისაზღვრა. 2002 წლიდან 2017 წლამდე სახელმწიფო ვალის სიდიდემ მშპ-სთან მიმართებაში, საშუალოდ 72.31 % შეადგინა, ყველაზე მაღალი ნიშნულზე 2014 წელს იყო- 86,50 %, ხოლო ყველაზე დაბალ ნიშნულზე 57.5 %, 2007 წელს. ევროკავშირის ქვეყნებიდან სახელმწიფო ვალის მშპ-სთან თანაფარდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო წლებში იტალიას(131.8%), საბერძნეთს(178.6%) და ესპანეთს(98.3%) ჰქონდათ, რაც 2007-2008 წლებში გლობალური შოკებისას, ამ ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მაპროვოცირებელი მიზეზი გახდა.

ისტორიულად საკმაოდ მაღალ მაჩვენებლზეა ვალის მშპ-სთან თანაფარდობა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც-105 %. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სამთავრობო ვალის შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს უნგრეთს(73.6%) და ირლანდიას(68%), ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი ესტონეთს აქვს-9 %. რეგიონის ქვეყნების დონეზე ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი აზერბაიჯანთან და სასომხეთთან ერთად, საშუალოდ 42 %-ზე მეტი. თუმცა აღნიშნული დონე არ ითვლება რაიმე კრიზისულ ზღვრად. მიიჩნევა, რომ სახელმწიფო ვალის დასაშვები ანუ სარეკომენდაციო დონე სასურველია მშპ-ის 60 %-ზე მეტი არ იყოს.

საინტერესო სურთს იძლევა, საგარეო ვალის სტრუქტურაც. მთლიან საგარეო ვალში შედის როგორც სახელმწიფო ვალი, ასევე საფინანსო და კერძო კომპანიების დავალიანებაც. მთლიანი საგარეო ვალი 2015 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში 15.2 მლრდ აშშ დოლარიდან 17.5 მლრდ აშშ დოლარამდეა გაზრდილი, რაც მშპ-სთან თანაფარდობის მიხედვით, 109 % და 114 % -დეა გაზრდილი, ხოლო საშუალო წლიური ზრდა 1.6 %-ია.

მთლიან საგარეო ვალში მშპ-სთან თანაფარდობა გაზრდილია სახელმწიფო საგარეო ვალის შემთხვევაში, 31 % დან 35 %-მდე, კომერციული ბანკების დავალიანება მშპ-სთან 21 % დან 24 %-მდეა გაზრდილი, სხვა კერძო სექტორების დავალიანება მშპ-სთან გაზრდილია 32 % დან 36 %-მდე, თუმცა 2016 წელთან შედარებით 2 %-ით არის შემცირებული, კომპანიათაშორისი სესხები 23% დან 17 %-მდე(**დიაგრამა #3**.). კომპანიათაშორისი სესხების შემცირების ტენდენცია, მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე გადასვლასთან ერთად, მომავალშიც გაგრძელდება.

დიაგრამა #3. სახელმწიფო საგარეო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან, 2015-2017 წლების მიხედვით, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, სცეა

მართალია, მთლიანი საგარეო ვალის მშპ-სთან თანაფარდობის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი აღემატება ამავე პერიოდში ეკონომიკის ზრდის საშუალო სიდიდეს(3.4%), მაგრამ კერძო ბიზნეს სუბიექტების დავალიანება, ატარებს რა წმინდა მიზნობრივ ხასიათს, ისევ ბიზნესის განვითარებას ხმარდება. მეორეც, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კორპორაციების დავალიანების დიდი ნაწილი გრძელვადიანია. საგარეო ვალის ზრდა სარეკომენდაციო ზღვრის ფარგლებში ნეგატიურ მაკროფაქტორად არ უნდა მივიჩნიოთ. პირიქით, ჩვენნაირ განვითარებად ეკონომიკას სჭირდება ნასესხები სახსრების მოზიდვა საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, რა შემთხვევაშიც მიმდინარე ანგარიშის ახლანდელი დეფიციტი შეიძლება მომავალში გახდეს უფრო მაღალი ზრდის, უმუშევრობის შემცირების, ექსპორტის სტიმულირების და დანაზოგების წყარო. რეალურად არც სახელმწიფო საგარეო ვალის და არც კერძო ბიზნეს სუბიექტების საგარეო დავალიანების დღეს არსებული მაჩვენებელი არ ატარებს მაღალ რისკ - ფაქტორებს ეკონომიკისათვის. მართალია, საგარეო ვალზე მაღალი დამოკიდებულება ზრდის მგრძნობელობას საგარეო შოკებისადმი, მაგრამ ალტერნატივა საფონდო ბაზრის განვითარების ხელშეწყობაში მდგომარეობს.

მიგვაჩნია, რომ სწორედ ამიტომაც საფონდო ბაზრის განვითარებას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან შეცვლის თავად ვალის სტრუქტურას. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, ხელს შეუწყობს საგარეო დაფინანსების საჭიროების შემცირებას და მთლიან ვალში საშინაო ვალის წილის ზრდას და შესაბამისად, საგარეო მოწყვლადობის შემცირებასაც. მაგრამ, არანაკლები მნიშვნელობა აქვს საჯარო შეთავაზების კორპორაციული ფასიანი ქაღალდების საბაზრო სეგმენტის განვითარებას, რაც გაზრდის რა ქართული კომპანიების კაპიტალიზაციას, შეამცირებს მათ დავალიანებას გარე ინვესტორებთან.

1.3. საფონდო ბაზარი და საპენსიო რეფორმა

საფონდო ბაზარი, ისევე როგორც საბანკო, ფინანსური ბაზრის ორი უზარმაზარი სეგმენტია, ორივე "იბრძვის" მოქალაქეების დანაზოგებისა და სხვა ინსტიტუციონალური ინვესტორების საინვესტიციო ფონდების თანხებისათვის. არსებული საფონდო ბაზრის მოდელის მთავარი სუსტი მხარე, სწორედ ამ პარადიგმაშია საძიებელი. ასეთ პირობებში ერთ მხარეს რაიმე გადახრა და არაპროპორციული მიდგომა ერთ-ერთი სეგმენტის განვითარების მიმართ აუცილებლად გამოიწვევს მეორე სეგმენტის სტაგნაციას.

სტრატეგიული პარადიგმა, რომ საფონდო საქმიანობა და სადეპოზიტო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ანუ საბანკო საქმიანობა მკვეთრად იყოს გამიჯნული (საკანონმდებლო დონეზე) ერთმანეთისაგან, ფინანსური ბაზრის პროპორციულად განვითარების მთავარ წინაპირობად მიიჩნევა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე(GSE) წარმოდგენილ სამივე სალისტინგო ჯგუფში(A, B, C) შესულია 62 სახის ფასიანი ქაღალდი. A- ყველაზე მაღალ სალიტინგო ჯგუფში არის წარმოდგენილი შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის(EBRD), ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიის, აგრეთვე "სილქნეტისა" და "საქართველოს ბანკის" ობლიგაციები არის წარმოდგენილი. B- სალისტინგო ჯგუფშიც ობლიგაციებია წარმოდგენილი, 6 ქართული კომპანიის, ოღონდ როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარის ნომინალში, ხოლო C- ჯგუფში წარმოდგენილია ქართული სააქციო კომპანიების აქციები ლარში. ეს სია მცირე ნამდვილად არ არის, მაგრამ მთავარი საკითხია ბაზრის კაპიტალიზაცია და ლიკვიდობა. ცალკე საკითხია საბროკერო კომპანიები, რომელიც 6 კომპანიის სახით არის წარმოდგენილი, რომელთა შორის 5 არის კომერციული ბანკების საბროკერო კომპანიები. ახლა ვნახოთ თუ როგორია თუნდაც "საქართველოს ბანკის" აქციებზე მოთხოვნა და ლიკვიდობა. ბოლო 5 გარიგება დადებულია გასული წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის 5 სექტემბრამდე პერიოდში ანუ 10 თვის პერიოდში, საშუალოდ გარიგების დადების ვადა არის 2 თვე ანუ გარიგება იდება საშუალოდ ყოველ ორ თვეში და ისიც ისეთი წარმატებული კომპანიის აქციებზე როგორიც თუნდაც საქართველოს ბანკია. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს საფონდო ბირჟის ინდექსი - GSX 154 ნიშნულამდეა დაცემული. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი -131 ივნისში აღინიშნა. ყველაზე დიდი მოცულობის გარიგება დადებულია მიმდინარე წლის მაისში და ისიც არასაბირჟო გარიგებაა, რაც მთლიანი გარიგებების 98.5 % -ს შეადგენს და აჩვენებს მოქმედი კანონმდებლობის ლაფსუსებს, რომელიც 2007 წელს შევიდა ძალაში. ეკონომიკის წამყვანი ინდიკატორი საფონდო ინდექსებია და არა გარე საბირჟო გარიგებების კაპიტალიზაცია.

ჩვენ ამ საკითხებზე გვჭირდება ფართო კონსენსუსი და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს უაზრო დისკურსი და დაპირისპირება საფონდო ბაზრის ირგვლივ. არსებობს საფონდო ბაზრის წარმატებული ევროპული და ამერიკული მოდელები. შესაბამისად, უნდა გაანალიზდეს განვლილი პერიოდი, მათ შორის მოქმედი კანონმდებლობა, განსაკუთრებით ბოლო ათი წლის მიხედვით, და შეფასდეს არსებული მოდელის მიზანშეწონილობა მისი საშუალო და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივით.

დღეს საექსპერტო წრეებში განვითარებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობა უნდა გამოვიდეს ეროვნული ბანკიდან და შეიქმნას ცალკე სტრუქტურის სახით, როგორც ეს პრაქტიკულად ყველა წამყვანი ეკონომიკის ქვეყანაშია. თავის მხრივ, კომერციული ბანკები, როგორც ინტერსთა კონფლიქტის მატარებელი მხარე, მიზანშეწონილია გავიდნენ საფონდო ბირჟის თანამფლობელობიდან. შეიძლება განხილული იყოს სხვა ალტერნატიული ვარიანტებიც, მათ შორის საფონდო ბირჟა ფუნქციონირებდეს რომელიმე წამყვანი ევროპული ბირჟის შვილობილი კომპანიის სახით.

კომერციული ბანკები არიან რა სააქციო საზოგადოებები, თავად ახდენენ აქციების ბირჟებზე კოტირებას, მაგრამ კონკურენტული სივრცის პრინციპიდან გამომდინარე, ბანკები გამოდიან სხვა საზოგადოებების კონკურენტებად, რესურსების მოზიდვის საბანკო სესხის ალტერნატიული ღირებულებიდან და ხასიათიდან გამომდინარე. ლიკვიდური საფონდო ბაზარი კომპანიებს მისცემს საბანკო კრედიტზე დამოკიდებულების შემცირების ალტერნატივას, შედარებით იაფი ფულის მოძიების შესაძლებლობას. თავის მხრივ, ეს ბანკებს აიძულებს დაიწყონ მოძრაობა საპროცენტო განაკვეთის კიდევ უფრო შემცირებისაკენ. ბუნებრივია, ეკონომიკური ეფექტი სწრაფი არ იქნება და რეალურ შედეგს დაახლოებით 5-7 წელიწადში მივიღებთ. მაგრამ დაყოვნება პროცესს კი არ დააჩქარებს, პირიქით მხოლოდ შეაფერხებს. საფონდო ბაზრის განვითარების გარეშე ზედმეტია საუბარი ეკონომიკის სწრაფ ზრდაზე და სიღირიბის დაძლევაზე. დღეს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად, ეკონომიკას სჭირდება პორთფელური ინვესტიციები, ხოლო ბიზნესს ალტერნატიული რესურსირების წყაროები.

საფონდო სეგმენტის განვითარება ბანკებსაც მისცემს საშუალებას განავითარონ საინვესტიციო საბანკო მომსახურება, რომელიც დღეს პრაქტიკულად არ არსებობს და ამით მნიშვნელოვნად გაზარდონ არასაპროცენტო შემოსავლები. დღეს ბანკების აქტიურ ოპერაციებში არის მხოლოდ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების პორთფელი, ძირითადად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახით. ამავე დროს პრაქტიკულად ნულოვანია ფასიანი ქაღალდების პორთფელი დილინგური ოპერაციებისათვის, ხოლო ფინანსური მომსახურების თვალსაზრისით, საინვესტიციო ბანკინგის მექანიზმები პრაქტიკულად არ გამოიყენება. ევროპის წამყვანი ბანკები, აქ მხოლოდ წმინდა პროფილის საინვესტიციო ბანკებს არ ვგულისხმობთ, გამოდიან მთავრობების და კომპანიების ფინანსურ მრჩევლებად, ხელს უწყობენ კაპიტალის მოზიდვას აქციების, ობლიგაციებისა და სხვა პროდუქტების გაყიდვის გზით. მაგალითად თუ მთავრობას სურს აეროპორტის, მაგისტრალის ან სხვა მსხვილი მუნიციპალური პროექტის მშენებლობის დაფინანსება, მას შეუძლია საინვესტიციო ბანკებთან მუშაობა შიდა ან გარე ბაზრებიდან კაპიტალის მოსაზიდად.

ბანკი ასევე ასრულებს საინვესტიციო მომსახურებას, როდესაც საქმე ეხება კომპანიების სააქციო კაპიტალის დაფინანსებას. დავუშვათ, კომპანია გადაწყვეტს დამატებითი თანხების მოსაზიდად, განახორციელოს ემისია პირველადი საჯარო შეთავაზების ან IPO-სთვის. საინვესტიციო ბანკი შეაფასებს ემისიის პროსპექტს, რომელიც განმარტავს შეთავაზების პირობებს და რისკებს, ახორციელებს ფასიანი ქაღალდების კომისიასთან აქციების რელიზაციის პროცედურის მართვას და ფასების შეთავაზებას. კაპიტალის ბაზრების დაფინანსებისას საინვესტიციო ბანკები ასევე მიმართავენ ანდერრაიტინგს, ანუ როგორც წესი, ვალდებულებას იღებენ გარიგების დაფინანსებაზე.

წინა შემთხვევის მსგავსად, ეს არის საბანკო კრედიტის გონივრული ალტერნატივა. რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკები მართავენ ამ პროცესში არსებულ რისკს ემიტენტებისგან ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და საჯარო განთავსების ან ინსტიტუციონალური მყიდველებისათვის მიყიდვის გზით. საინვესტიციო ბანკები კომპანიისაგან ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს ერთი ფასით და შემდეგ ახდენენ მის რეალიზაციას ფასნამატით და შესაბამისად იღებენ მოგებას, რითაც ახდენენ რისკის კომპენსირებას. გარდა კომპანიების საჯარო შეთავაზებისა, საინვესტიციო ბანკინგი ითვალიწინებს საკუთარი კლიენტებისათვის თანხების მოზიდვას, კერძო განთავსების გზით. მაგალითად შესაძლებელია ობლიგაციების შეთავაზება ინსტიტუციონალური ინვესტორისათვის, იმავე სქემით რასაც აკეთებს სადაზღვევო კომპანია ან საპენსიო ფონდი. ეს არის გაცილებით სწრაფი ფულის მოზიდვის საშუალება, რადგან არ საჭიროებს ამ აქციების რეგისტრაციას ფასიანი ქაღალდების კომისიაში. საინვესტიციო საბანკო მომსახურება ასევე მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებასაც, მაგალითად თუ რომელიმე კომპანია აპირებს სხვა კომპანიის ან აქტივების შეძენას, ფასდადების სტრატეგიის ჩათვლით. გარდა ამისა კომპანიის გაყიდვისას მთავარი საკითხი მის საბაზრო შეფასებას და აქტივების მიწოდების საკითხებს უკავშირდება. ზოჯერ იგივე პრობლემები წარმოიშობა, როდესაც ხდება კომპანიების შერწყმა ან ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის შეძენა.

მიგვაჩნია, რომ მოსაზრება რომლის თანახმადაც ხელფასიდან გადასახადის 20%-დან 23.2%-მდე ზრდა, უარყოფითად იმოქმედებს დასაქმებაზე ცოტა გაზვიადებულია. დარწმუნებული ვართ, რომ დამსაქმებელი 2 %-ის გულისთვის მოერიდება ხელფასის შემცირებას, თუმცა ალბათ სამომავლო ზრდაში გაითვალისწინებს და დაგეგმილზე ნაკლებად გაუზრდის ხელფასებს. საქსტატის მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში ხელფასები საშუალოდ 8%-ით იზრდება, ხოლო ბოლო ხუთ წელიწადში 11 %-ით. აღნიშნული ზრდა ყველა სექტორში შეიმჩნევა. ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, მაღალი ალბათობით ხელფასების ზრდა მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა სავარაუდოდ მას დღეს არსებული მაღალი ტემპები არ ექნება. რაც შეეხება საქართველოს საპენსიო მოდელში სავალდებულოობის ელემენტს, რაც ასევე არის პოლემიკის საგანი, ნიშანდობლივია, რომ მსგავსი კომპონენტი აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელებულ სხვა საპენსიო მოდელებშიც გვხდება. ლიტვასა და პოლონეთში 30 წლამდე პირებისთვის არის დაზოგვა სავალდებულო, შედარებით მაღალია ბულგარეთში, სადაც ასაკობრივი ცენზი 42 წელია. სავალდებულო კომპონენტებია ბულგარეთში, ესტონეთში, უნგრეთში, პოლონეთში, ლატვიაში და რუმინეთში. დასაქმებულების მიერ საპენსიო ფონდში შენატანები 5-6 %-ს შეადგენს, ხოლო ლატვიაში სულაც 8 %-ია.

ძირითადი არგუმენტი, თუ რატომ უნდა იყოს დაზოგვა გარკვეულ ასაკამდე სავალდებულო, გამომდინარეობს მომავალზე ორიენტირებული მიდგომიდან, რათა ახალი თაობა მომავალში რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დამოკიდებული სოლიდარულ საპენსიო სისტემაზე და მათ საკუთარი პენსიის უზრუნველყოფა თავად შეძლონ. ამასთან სოლიდარული საპენსიო სისტემის დატოვება და მნიშვნელოვანი ზრდა მაღალ ხარჯად დააწვება ეკონომიკას, ის ამოსავალი წერტილი, რასაც დაზოგილი თანხების წლიურმა საპროცენტო სარგებელმა მინიმუმ უნდა გადააჭარბოს, არის ინფლაცია. 2012-2017 წლებში ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდებოდა საშუალო თვიური ანაზრაურებაც. თუ საშუალო თვიური ხელფასი 2012 წელს 712 ლარი იყო, 2016 წელს 950 ლარი, ხოლო 2018 წლის პირველი ხუთი თვის მიხედვით 1106 ლარი შეადგინა, რაც 55 %-ით მეტია 2012 წელთან შედარებით ანუ საშუალოდ წლიური ზრდა 11 %-ია.

მართალია, ინფლაციის მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2020 წლამდე საქართველოს საშუალო წლიური ინფლაცია 4% იქნება, თუ რა იქნება ინფლაციის მაჩვენებელი 2020 წლის შემდეგ, ამის დღეს განსაზღვრა რთულია, მაგრამ სავარაუდოდ, მომავალ ათწლეულში საქართველო უფრო მეტად დაემსგავსება ევროკავშირის საშუალოდ განვითარებულ ეკონომიკას, რასაც ქვეყანაში ინფლაციის დასტაბილურება უნდა მოყვეს, თუმცა მაღალი ინფლაცია ბოლო წლებში ისედაც არ გვქონია.

ძალზე საინტერესოა ჩილეს მაგალითი. მოგეხსენებათ 1982 წელს მილტონ ფრიდმანმა ჩილეს ეკონომიკა გამოაცხადა როგორც „ეკონომიკური სასწაული." ჩილეს ეკონომიკას ჰქონდა ეკონომიკის 8%-იანი ზრდა 1997-1998 წლებში, მართალია 1998 წელს ეს მაჩვენებელი განახევრდა, აზიის ფინანსური კრიზისის ზეგავლენის გამო, თუმცა ბოლო წლებში ჩილეს ეკონომიკის ზრდამ 5-7%-ს მიაღწია. 1990 წლიდან, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი სამჯერ გაიზარდა და დღეს 22,767 აშშ დოლარს შეადგენს მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით. ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ვიდრე ლათინური ამერიკის ქვეყნებში: პარაგვაიში 8827 აშშ დოლარია, გვატემალაში 7424 აშშ დოლარი, ნიკარაგუაში-5321 აშშ დოლარი, კუბაში-6445 აშშ დოლარი, ბოლივიაში-6889 აშშ დოლარი, ასევე მაღალია ვიდრე შედარებით მაღალი შემოსავლების მქონე ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში: ბრაზილიაში -14 103 აშშ დოლარია, კოლუმბიაში-13 255 აშშ დოლარი, პერუში 12 237 აშშ დოლარი, ვენესუელაში-16 745 აშშ დოლარი. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხოვრების დონე და შემცირდა სიღარიბე, რაც ლათინური ამერიკის ქვეყნებში დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. თუ ჩილეში სიღარიბის ქვეშ მცხოვრებთა რიცხვი 1988 წლისთვის 48% იყო, 2000 წელს 20%-მდე დავიდა, დღეისთვის კი კიდევ უფრო შემცირდა და 13,7%-ის ტოლია.

ჩილეში საპენსიო რეფორმა 1981 წელს დაიწყო, ქვეყანა მოკლე დროში გადავიდა დაგროვებით სისტემაზე. დასაქმებულს შეეძლო საპენსიო ფონდის არჩევა, მისი შეცვლა, მასზე იყო დამოკიდებული შენატანების ოდენობაც. პასუხისმგებლობა ბიუროკრატიიდან დიდწილად გადავიდა თავად დასაქმებულზე. შედეგად მკვეთრად გაიზარდა პენსიის ოდენობაც და ასევე ეკონომიკაც, რაც მთავარია განვითარდა ფასიანი ქაღალდების ბაზარი. მართალია, პინოჩეტის რეჟიმმა მმართველობის პირველ წლებში იმსხვერპლა რამდენიმე ათასი ადამიანი, მაგრამ მისივე რეფორმების დამსახურებით დღეს ჩილე პრაქტიკულად ლათინოამერიკის ლიდერია. რეგიონში განსხვავებული გზა აირჩიეს სხვა ქვეყნებმა. მიუხედავად იმისა, რომ მათი სასტარტო პოზიციები ხშირ შემთხვევაში უკეთესიც იყო, როგორც ვნახეთ დღეს ჩილეში ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მაღალია შემოსავლები და ცხოვრების დონე. როგორც ავღნიშნეთ, დაგროვებით საპენსიო მოდელებზე გადასვლა, გარდა მომავალ სამუშაო ძალაზე ორიენტირებისა, ეკონომიკაზე ზემოქმედების კუთხითაც არის მნიშვნელოვანი. თუ სოციალური პენსია მნიშვნელოვნად გაიზრდება მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებლის მიხედვით, ერთის მხრივ ეკონომიკას დააწვება მძიმე ტვირთად და მეორეს მხრივ შეამცირებს დაზოგვის სტიმულს.

არსებულ შერეულ მოდელში სოლიდარულ პენსიას რაც შეეხება, სოციალური პენსია ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით ეტაპობრივად უნდა მიუახლოვდეს რეალურ საარსებო მინიმუმს და შემდგომ დაკორექტირდეს ინფლაციის შესაბამისად. მოგეხსენებათ, დღევანდელი პენსია (180 ლარი) მინიმუმ დღევანდელი ღირებულებით შენარჩუნდება. გამოდის, რომ თუ ინფლაცია საშუალოდ 4 %-ს, ხოლო ხელფასების ზრდის თუნდაც არსებულ 5 %-იან დონეს ავიღებთ, 20 წლის შემდეგ საშუალო პენსია იქნება 400 ლარამდე თვეში, რაც 20 წლის შემდეგ საშუალო ხელფასის (2700 ლარი) 14 % იან ჩანაცვლების დონეს უზრუნველყოფს. დღეს ჩანაცვლების საშუალო კოეფიციენტი 18%-ია, საშუალო 1100 ლარიან ხელფასთან შედარებით.

ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ სიტუაცია სოლიდარული პენსიის მოდელი რომ დაგვეტოვებინა. 2015 წელს ყველა ტიპის საპენსიო ხარჯმა შეადგინა მშპ-ს 5.2 % და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 16 პროცენტი. რაც განვითარებადი ეკონომიკისთვისაც კი მაღალია. საქსტატის მონაცემებით, საქართველოში, ასაკით პენსიონერთა რიცხვი 720 ათასს აღემატება, თუ მას დავუმატებთ შშმ პირებს, მარჩენალდაკარგულებს, ეს რიცხვი 880 ათასამდე იზრდება. და აღემატება კონტრაქტით დასაქმებულთა როდენობას, რაც 700 ათასზე ნაკლებია. ასეთ ვითარებაში პენსიის რადიკალურად გაზრდა ბიუროკრატიის და სხვა არამიზნობრივი ხარჯების შემცირების ფონზე, რასაც ექსპერტთა ნაწილი მიუთითებს შესაძლებელია, მაგრამ გარკვეული ლიმიტით.

საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით, 2030 წლისთვის ასაკით პენსიონერთა ოდენობა(შშმ პირების და მარჩენალდაკარგულებისგარეშე), 950 ათასს მიაღწევს. შესაბამისად, ათი წლის შემდეგ, 300 ლარიანი პენსიისთვის საჭირო გახდება 3.4 მილიარდი ლარი, თუ გავითვალისწინებთ, რომ 180 ლარიან პენსიაზე დღეს 1.58 მილიარდი ლარი იხარჯება, ხარჯი გაიზრდება 2.2-ჯერ. სხვადასხვა გათვლებით რომ არ გაიზარდოს საპენსიო ხარჯების წილი მშპ-ში საჭიროა სულ მცირე 7%-იანი ეკონომიკური ზრდა. მართალია, 2017 წელს ზრდამ 5 % შეადგინა, მაგრამ 2014-2016 წლებში საშუალო წლიური ზრდა 3.4 % იყო. უკვე 2006 წელს საპენსიო ხარჯი შეადგენდა 268 მილიონ ლარს მშპ-ს 1.95 %-ს, ხოლო 2015 წელს 1.3 მილიარდს და მშპ-ს 4.25%-ს. უახლოეს ათ წელიწადში არსებული ეკონომიკური ზრდის თუნდაც 5 %-იანი ტემპის შენარჩუნებით პენსიის თუნდაც 300 ლარამდე გაზრდაც კი გამოიწვევს საპენსიო ხარჯის მშპ-ს 5.3 %-მდე გაზრდას, ხოლო 500 ლარიანი პენსიის შემთხვევაში სულაც მშპ-ის 8.7 %-მდე ზრდას ნიშნავს, რაც არის ძალიან მაღალი ხარჯვითი მაჩვენებელი. ეს კი ნიშნავს, რომ სულ უფრო ნაკლები თანხები დარჩება განათლებაზე, თავდაცვაზე თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რაც ისევ ეკონომიკურ ზრდაზე აისახება ნეგატიურად.

საბანკო სექტორი დღეს დგას თავისი განვითარების გარდამტეხ ეტაპზე. ჩვენ ვხედავთ, რომ ბოლო წლებში ბიზნესის დაკრედიტების ტემპები მცირდება. ბიზნესდაკრედიტების არსებული მოდელები, რომლებიც უძრავი ქონების უზრუნველყოფაზეა აგებული, სულ უფრო

ნაკლები ეფექტურობით მუშაობს. ფიგურალურად რომ ვთქვათ, რაც ჩასადები იყო, პრაქტიკულად ყველაფერი ბანკებშია ჩადებული. შემთხვევითი არ არის ბანკების მიერ დასაკუთრებული უძრავ-მოძრავი ქონების ზრდის დინამიკაც. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, 2015 წელთან შედარებით, ჩამოწერილი სესხების მოცულობა გაზრდილია 229 მლნ ლარიდან 374 მლნ ლარამდე ანუ 63%-ით, ხოლო დასაკუთრებული ქონების მოცულობა 142 მლნ ლარიდან 209 მლნ ლარამდე ანუ 67 მლნ ლარით (47%-ით) არის გაზრდილი. მაგრამ, ამავდროულად ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ თავის მოტყუებაა კომერციულ ბანკებს დავაკისროთ რაიმე ვალდებულება ბიზნეს დაკრედიტების ტემპების გასაზრდელად. წამყვან ქართულ ბანკებშიც კი საცალო დაკრედიტების სეგმენტის ხვედრითი წილი საკრედიტო პორთფელის 60 %-ის აღემატება, ხოლო სისტემაში ბოლო წლებში 12 %-ით არის გაზრდილი, სამაგიეროდ ამავე პროცენტით შემცირებულია ბიზნეს დაკრედიტების ხვედრითი წილი. ამას ვერც ეროვნული ბანკის ლიმიტები უშველის, თუნდაც საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებაში. ბოლო-ბოლო ბანკები გაზრდიან კაპიტალს და შესაბამისად შეამცირებენ საკრედიტო პორტფელის რისკსაც. კომერციული ბანკი არის კერძო კაპიტალით შექმნილი სტრუქტურა, რომელიც მუშაობს მოგებაზე, შესაბამისად, იგი აფასებს რისკს და ფულს დებს იქ სადაც რისკის უკუგება არის მისაღები.

საგარეო ვალზე მაღალი დამოკიდებულება ზრდის მგრძნობელობას საგარეო შოკებისადმი, მაგრამ ალტერნატივა სწორედ საფონდო ბაზრის განვითარების ხელშეწყობაში მდგომარეობს. თავის მხრივ, მთავრობის მიერ შიდა ვალის ზრდას და საბანკო კრედიტზე დამოკიდებულებას, სხვა პრობლემა ახლავს თან. როდესაც მთავრობა დიდი მოცულობით იღებს ვალს ბანკებისაგან, ხდება საკრედიტო რესურსის შეზღუდვა, რადგან ის ამ დროს კონკურენციაში შედის კლიენტურასთან რომელთაც სესხის აღება უნდათ. საპენსიო რეფორმა ამ თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი. იგი თავისთავად შეამცირებს მთავრობის დამოკიდებულებას საბანკო სესხებზე, რაც ბუნებრივად შეზღუდავს რა "გამოდევნის ეფექტს", გაზრდის მიწოდებას და შეამცირებს საპროცენტო განაკვეთებსაც.

1.4. კაპიტალის ბაზრის ინსტიტუციონალური სრულყოფის საკანონმდებლო გზები

საქართველოში კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ საკანონმდებლო ხარვეზები და ამ კუთხით არსებული სუსტი რეგულაციები სახელდება. იმისათვის, რომ ქართულმა კაპიტალის ბაზარმა შეიძინოს ის ფუნქციაუნარიანობა, რაც ქვეყნის ეკონომიკის რეალური განვითარების საფუძველი იქნება, საჭიროა მარეგულირებელი და სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობის გადახედვა, მასში მთელი რიგი ცვლილებების შეტანა და მისი ევროპულ და დასავლურ რეგულაციებთან დაახლოვება/ჰარმონიზება.

ფასიანი ქაღალდების ბაზარმა საკმაოდ წარმატებულად და სწრაფი ტემპებით დაიწყო განვითარება, მას შემდეგ, რაც 1998 წელს წამყვანი ამერიკელი სპეციალისტების მიერ შემუშავდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი", რომელიც იმ პერიოდისათვის ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა პოსტ-საბჭოთა სივრცეში. სწორედ ამ კანონმდებლობის საფუძველზე, ბირჟის კაპიტალიზაცია მშპ-სთან მიმართებაში და სხვა ფინანსური მაჩვენებლები 2007 წლამდე წარმატებით პროგრესირებს, რამაც სერიოზულად შეაშფოთა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინდუსტრიის მთავარი კონკურენტი, საბანკო სექტორი, რომელიც საფინანსო სექტორში მონოპოლიზმის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა. კვლავ ამუშავდა მნიშვნელოვანი საფინანსო რესურსი და საბანკო ლობი პარლამენტში და სასწრაფოდ დაიწყო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახალი შემოტევის ტალღა. ასეთი სიჩქარე განპირობებული იყო იმ გარემოებითაც, რომ საქართველოს საფონდო ბირჟისა და

ცენტრალური დეპოზიტარის შეძენით დაინტერესდა მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საბირჟო ოპერატორი NAZDAQ OMX-ი, რომელიც თუ მართლაც შეისყიდიდა ამ ინსტიტუტებს, ფაქტობრივად მათი წარმატების და განვითარების გარანტი გახდებოდა. ამიტომ საბანკო ლობის მიერ პარლამენტში 2007 წელს სასწრაფოდ იქნა გატანილი ცვლილებები ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში, რომლებმაც ყოველგვარი საფუძველი გამოაცალეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუტების განვითარების მდგრადობას, ვინაიდან ხელოვნურად გააქრეს სწორედ ის ძირითადი ქვაკუთხედები, რომელიც კანონმდებლობის შექმნის დროს ჩადებულ იქნა ამერიკელი სპეციალისტების მიერ და რომლებმაც უზრუნველყვეს ქართული საფონდო ბაზრის წარმატებული განვითარება რამოდენიმე წელიწადში. კერძოდ, კანონმდებლობაში გაუქმდა:

1. შეზღუდვა, რომელიც ხელს უშლიდა კომერციულ ბანკებს დაპატრონებოდნენ საფონდო ბაზრის ინფრასტუქტურის ინსტიტუტებს.
2. ლიკვიდირებული იქნა ფასიანი ქაღალდების ბაზრის დამოუკიდებელი რეგულატორი და მისი ფუნქციები გადაეცა კონკურენტი დარგის რეგულატორს - საქართველოს ეროვნულ ბანკს.
3. კანონიდან ამოღებულ იქნა საფონდო ბირჟაზე ლიკვიდურობის უზრუნველმყოფი მთავარი ნორმა, რამაც საფუძველი გამოაცალა ბირჟაზე კონკურენტულ და საჯარო გარემოში ფასწარმოქმნის პროცესს.

ამ დამანგრეველი ცვლილებების შედეგად, მომენტალურად გარიგებების ძირითადმა ნაწილმა საფონდო ბირჟიდან გადაინაცვლა ნაცრისფერ ბაზარზე, (იხილეთ დიაგრამები N4, N5) ხოლო კომერციულმა ბანკებმა ინტენსიურად დაიწყეს ადრე მათთვის შეზღუდული საფონდო ბირჟის აქციების შესყიდვა. მარტო საქართველოს ბანკის ხელში ძალიან მალე აღმოჩნდა საქართველოს საფონდო ბირჟის აქციათა 46%, ხოლო მთლიანად საბანკო სექტორი უკვე დაეპატრონა საფონდო ბირჟის 58%-ს.

დიაგრამა #4. კრებსითი ინფორმაცია სავაჭრო სესიის დროს დადებულ გარიგებებთან დაკავშირებით ემიტენტების მიხედვით -აქციები (ჯამი წლის ბოლოს).



წყარო: საფონდო ბირჟის ანგარიშგებები

დიაგრამა N4-დან ჩანს, რომ საფონდო ბირჟაზე სავაჭრო სესიის დროს დადებული გარიგებების მოცულობები (თანხობრივად ლარებში) კანონში 2007 წელს შესული

ზემოხსენებული ცვლილებების შემდეგ კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საფონდო ბირჟა 2007 წლიდან დღემდე ეტაპობრივად კარგავს ლიკვიდურობის მაჩვენებელს, რაც ნებისმიერი განვითარებული საფონდო ბირჟის ფუნქციაუნარიანობის ქვაკუთხედია.

დიაგრამა #5. კრებსითი ინფორმაცია სავაჭრო სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ გარიგებებთან დაკავშირებით, ემიტენტების მიხედვით -აქციები (ჯამი წლის ბოლოს).



წყარო: საფონდო ბირჟის ანგარიშგებები

დიაგრამა N5-დან ვხედავთ, რომ 2008 წლიდან მოყოლებული, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა სავაჭრო სისტემის მეშვეობით დაფიქსირებული გარიგებების მოცულობები ძირითადად იზრდება. თუმცა აქ ნიშანდობლივი ის ფაქტია, რომ სავაჭრო სეციის დროს დადებული გარიგების მაქსიმალური ღირებულება წლის ბოლოს 2008 წელს შეადგენდა 10 მილინ ნახევარს, ხოლო სავაჭრო სისტემის მეშვეობით დადებული გარიგებების მინიმალური მაჩვენებელი იყო 2011 წელს და ისიც 17 მილიონ ლარამდე ღირებულების, ხოლო მაქსიმუმი 2016 წელს დაფიქსირდა 942 მილიონ 647 ათასი ლარი. ეს მონაცემები ბუნებრივია მეტყველებს არასწორ საკანონმდებლო პოლიტიკაზე, რისი შედეგიც არის ის, რომ გარიგებების აბსოლუტურმა უმეტესობამ ბირჟის გარეთ, გაუმჭვირვალე გარემოში გადაინაცვლა, რითაც დაირღვა ფასწარმოქმნის და გამჭვირვალობის პრინციპი.

2007-2008 წლების საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ყურადღებას იპყრობს საბროკერო კომპანიების რაოდენობის შემცირება და მათ მიერ ბაზრის წილობრივი ფლობის მონაცემები. (იხილეთ დიაგრამა N6.)

თუ 2008 წელს ბაზარზე იყო 16 საბროკერო კომპანია (gse.ge სსბ-ს ანგარიშები. 2008 წლის კრებსითი ინფორმაცია) 2018 წელს მათი რაოდენობა 6-მდე შემცირდა, საიდანაც 5 ბანკის შვილობილი საბროკერო კომპანიაა, ხოლო 1 არასაბანკო- დამოუკიდებელი. გრაფიკი N16-დან ჩანს, რომ 2008-2016 წლებში ბაზარზე ძირითადად საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია ფლობს წილებს გარიგებების მოცულობების თვალსაზრისით, რომელიც 2009-2013

წლებში ბაზარზე ოპერირებდა როგორც სს „ბი ჯი კაპიტალი“ ხოლო 2013-2016 წლებში გადაკეთდა სს „გალთ ენდ თაგარტ“-ად. დიაგრამა N6 ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ მას შემდეგ რაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონიდან გაუქმდა შეზღუდვა, რომელიც ხელს უშლიდა კომერციულ ბანკებს დაპატრონებოდნენ საფონდო ბაზრის ინფრასტუქტურის ინსტიტუტებს, საფონდო ბირჟაზე საბროკერო საქმიანობა ძირითადად ერთი ბანკის შვილობილი კომპანიის ხელში აღმოჩნდა.

დიაგრამა #6. კრებსითი ინფორმაცია ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლებთან დაკავშირებით საბროკერო კომპანიების მიხედვით (ბაზრის წილები).



წყარო: საფონდო ბირჟის ანგარიშგებები

დიაგრამა # 7. კრებსითი ინფორმაცია დაფიქსირებულ გარიგებებთან დაკავშირებით რეგისტატორების მიხედვით (ბაზრის წილები)



წყარო: საფონდო ბირჟის ანგარიშგებები

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ საკმაო ინტენსივობით მოხდა ასევე ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების ბიზნესების გადაყლაპვა ძირითადად საქართველოს ბანკის მიერ, რაშიც მას ხელს უწყობდა უკვე ახალი რეგულატორი - ეროვნული ბანკი. 2011 წელს იმისათვის, რომ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ბიზნესის საქართველოს ბანკის კუთვნილი რეგისტრატორის მიერ დაპატრონებისათვის ხელი შეეწყო, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებს დაუწესა 250 ათას ლარიანი კაპიტალის მოთხოვნა, რისი შეუსრულებლობის გამოც ბაზრიდან გაქრა 6 ლიზენზირებული რეგისტრატორი და ფაქტობრივად ყველა მათ მიერ წარმოებული რეესტრები საქართველოს ბანკის კუთვნილი რეგისტრატორის ხელში აღმოჩნდა. ერთადერთი რეგისტრატორი, რომელიც ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას 2014 წლამდე იყო სს „კავკასრეესტრი", რომლის საკონტროლო პაკეტი ეკუთვნოდა საქართველოს საფონდო ბირჟას. (იხილეთ დიაგრამა N7)

2013 წელს პარლამენტში ინიცირებული ცვლილებათა პაკეტი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში აღნიშნული გარემოებები და მოცემული სტატისტიკური მონაცემები ცხადად მეტყველებენ იმაზე, რომ თავდაპირველად USAID-ის მხარდაჭერით მომზადებული კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საფონდო ბირჟის განვითარებას განაპირობებდა 2007 წლამდე და ეს როგორც უკვე ვნახეთ, შესაბამისი სტატისტიკური და ეკონომიკური მონაცემებით დასტურდება (სსბ-ს წლიური ანგარიშები 2000-2016, კრებსითი მონაცემები) ხოლო 2007-08 წლებში კანონში შესულმა ცვლილებებმა საფონდო ბირჟის

ფუნქციაუნარიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი პარამეტრის შემცირება გამოიწვია (მათ შორის: კაპიტალიზაცია მშპ-სთან, სავაჭრო სესიის დროს დადებული გარიგებების მოცულობა და ა.შ.)

2013 წელს საქართველოს პარლამენტში ინიცირებული იქნა ცვლილებათა პაკეტი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონში, რომელიც 2007-08 წლებში დერეგულაციის პოლიტიკით განხორციელებული ცვლილებების გამოსწორებას ისახავდა მიზნად, სადაც პირველი მნიშვნელოვანი ცვლილება, რასაც კანონპროექტის ავტორები ითხოვდნენ, ეხებოდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელ ორგანოს, რომელიც მიმდინარე ეტაპზეც ეროვნული ბანკია. თავდაპირველად მოქმედი კანონის მიხედვით ეს ორგანო იყო ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველ და მარეგულირებელ სახელმწიფო ორგანოს. გარდა ბაზრის ზედამხედველობის განხორციელებისა, ის მოწოდებული იყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანი არის თავისი არსით, იმდენად, რამდენადაც დარღვეულია კონკურენტული გარემოს პრინციპები, როცა ფასიანი ქაღალდების ბაზარს ზედამხედველობას უწევს მისი კონკურენტი დარგის, საბანკო სექტორის მარეგულირებელი ეროვნული ბანკი. ამ შემთხვევაში სახეზეა წმინდა ინტერესთა კონფლიქტი, რისი ფაქტობრივი გამოხატულებაც არის განუვითარებელი კაპიტალის ბაზარი საქართველოში.

ცვლილებების მიხედვით, თვითრეგულირებადი ორგანიზაცია განისაზღვრა (თრო), როგორც - ლიცენზირებული საფონდო ბირჟა ან ცენტრალური დეპოზიტარი, რომლებსაც კომისიის(ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია) მიერ დელეგირებული აქვს თავისი წევრების რეგულირება, მათ მიერ შემუშავებული წესების საფუძველზე და რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად წევრთა მიერ.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი, ცვლილებების მიხედვით უნდა ყოფილიყო მხოლოდ საბროკერო კომპანია და არა სხვა რაიმე იურიდიული წარმონაქმნი, რომლის საქმიანობასაც ზედამხედველობას უწევდა საქართველოს ეროვნული ბანკი მის მიერ დადგენილი წესებით.

ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც 2013 წელს უნდა განხორციელებულიყო კანონში, იყო მე-18 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც საქართველოში ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ორგანიზატორი შეიძლება იყოს მხოლოდ საფონდო ბირჟა, ხოლო საჯარო ფასიანი ქაღალდებით მეორადი გარიგებები არ შეიძლება დაიდოს, როგორც საფონდო ბირჟებზე, ისე საფონდო ბირჟებს გარეთ. აგრეთვე უნდა გაუქმებულიყო ამავე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებები შეიძლება დაიდოს საბროკორეკო კომპანიის მონაწილეობით ან მის გარეშე.

კანონის ზოგად მოთხოვნებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ბანკების მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, კერძოდ, მოქმედი კანონით ნებადართულია კომერციული ბანკების მონაწილეობა უშუალოდ ან მათი შვილობილი საწარმოების(საბროკერო კომპანიების) მეშვეობით, ხოლო შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო შვილობილი საბროკერო კომპანიების გარეშე. რათქმაუნდა ამ ცვლილებასაც, ისევე როგორც სხვა ინიცირებულ ცვლილებებს, კონკრეტული მიზანი გააჩნდა, რაც კაპიტალის ბაზარზე კონკურენტული გარემოს ფორმირების რეალური საფუძველი უნდა გამხდარიყო.

თუმცა პარლამენტმა, სხვადასხვა სუბიექტური გარემოებების გამო (სავარაუდოდ საბანკო ლობის „კარგად" მუშაობის შედეგად) ეს ცვლილებები არ დაამტკიცა, რის შედეგადაც საქართველოს კაპიტალის ბაზარზე რაიმე მნიშნელოვანი წინსვლა ან პროგრესი არ დაფიქსირებულა.

იმისათვის, რომ კაპიტალის ბაზარი განვითარების კალაპოტს დაუბრუნდეს, აუცილებელია, რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაციის გათვალისწინება, მათ შორისაა:

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორის საკითხის გადაწყვეტა;
- „ვაჭრობის ცენტრალურობის" პრინციპის გატარება და ობიექტური ფასწარმოქმნის მექანიზმების სრულყოფა:
- მიღებულ იქნას „საუკეთესო შესრულების" წესი;
- მიეცეს უფლება ბირჟას რომ მიიღოს ბირჟის წევრებისთვის ბირჟაზე სავალდებულო ვაჭრობის წესი;
- გაიზარდოს „ფიქსინგის" გადასახადი არასაბირჟო გარიგებებისთვის
- მიმზიდველი ფასიანი ქაღალდების მიწოდების ხელშეწყობა:
- სახელმწიფო კომპანიების აქციების IPO ადგილობრივ ბირჟაზე.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების რეგულირებაში სიცხადის შეტანა;

ამასთან, მნიშნელოვანია, რომ დასრულდეს ბირჟის რეორგანიზაცია, კერძოდ, სსბ-ის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებულ იქნას შემდეგი სამი ასპექტი: პირველი: რეკომენდირებულია, რომ ბირჟის მესაკუთრეობა იყოს უფრო ფართო და დივერსიფიცირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაცილებით სასარგებლო იქნება თუ უარს ვიტყვით იმ სიტუაციაზე, როცა ერთ ბანაკთან აფილირებულ საბროკერო კომპანიას გააჩნია დომინანტური კონტროლი საფონდო ბაზრის მთელს ინდუსტრიაზე. (და ეს აბსოლუტურად თვალსაჩინოა!); ეს ხელს შეუწყობს სხვა საბროკერო კომპანიების ინტერესის გაზრდას ბირჟის, როგორც ინსტიტუტის მშენებლობაში; მეორე: ახალი საოპერაციო რეჟიმი არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ბანკებთან არააფილირებული საბროკერო კომპანიებისთვის; იმგვარი საოპერაციო რეჟიმის ჩამოყალიბება, რომელშიც მხოლოდ ბანკებთან აფილირებული საბროკერო კომპანიები მონაწილეობენ, დააბრუნებს (დატოვებს) საქართველოს ე.წ. „ბანკ-ცენტრულ" ფინანსურ სისტემაში; მესამე: რეკომენდირებულია, რომ ბანკებთან არააფილირებულ ბირჟის წევრ საბროკერო კომპანიებს ადექვატური წარმომადგენლობა გააჩნდეთ სსბ-ის სამეთვალყურეო საბჭოში;

თუ საქართველოს მართლაც სურს რომ გააჩნდეს უფრო დივერსიფიცირებული ფინანსური სისტემა, მან უნდა უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები იმ ინსტიტუტებისთვის რომლებიც არ არიან აფილირებული ბანკებთან. ეს არის სამართლიანი თამაშის წესების (ნეიტრალური სათამაშო მოედნის) პრინციპი.

1.5. საშუალო თვიური ხელფასი და შემოსავლების განაწილება

2012-2017 წლებში ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდებოდა საშუალო თვიური ანაზრაურებაც. თუ საშუალო თვიური ხელფასი 2012 წელს 712 ლარი იყო, 2016 წელს 950 ლარი, ხოლო 2018 წლის პირველი ხუთი თვის მიხედვით 1106 ლარი შეადგინა, რაც 55 %-ით მეტია 2012 წელთან შედარებით(**დიაგრამა №8.**).

დიაგრამა №8. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, 2005-2018(6) წლებში,ლარი



წყარო: საქსტატი

მართალია, გაცვლითი კურსის ეფექტის მიხედვით, აშშ დოლარში უმნიშვნელოდ არის გაზრდილი, 431 აშშ დოლარიდან 457 აშშ დოლარის ექვივალენტამდე, მაგრამ ამ წლებში ინფლაცია დიდი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით 2017 წელს (6.3%). პირიქით, 2012-2013 წლებში დეფლაციაც კი იყო, ხოლო 2014-2016 წლებში წლიური ინფლაციის საშუალო დონემ 3 % შეადგინა.

აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, საქართველოს მოსახლეობის შემოსავლები გაიზარდა და მან მნიშვნელოვნად გაასწრო ინფლაციის მაჩვენებელს, თუმცა ამავდროულად, გაიზარდა დევალვაციის შედეგად დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის კურსი, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა შინამეურნეობების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მთავრობის და ეროვნული ბანკის მიერ დაწყებული ლარიზაციის პროგრამაც, სწორედ ამ ნეგატიური ზეგავლენის ეფექტის შემცირებას ემსახურებოდა.

ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების მიუხედავად, ეკონომიკის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება სიღარიბე და მაღალი სოციალური უთანასწორობის შემცირება. 2017 წლის მონაცემებით, ჯინის კოეფიციენტი, რაც სხვადასხვა შემოსავლის ჯგუფებს შორის შემოსავლების და ხარჯების პროპორციას ანუ სოციალური თანასწორობის პრინციპს განსაზღვრავს, 40 ნიშნულს შეადგენს(შედარებისათვის აბსოლიტური თანასწორობის მაჩვენებელია -0). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელთან შედარებით 2017 წელს ჯინის კოეფიციენტი 0,1-ით გაიზარდა და 40 ნიშნულს მიაღწია. ჯინის კოეფიციენტის ზრდა ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში შემოსავლების მიხედვით, სოციალური უთანასწორობა მცირედით, მაგრამ მაინც გაზრდილია(**დიაგრამა №9**).

ჯინის კოეფიციენტი გაზრდილია როგორც მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით 0,43-დან 0,45 ნიშნულამდე, ასევე 0,46-დან 0,47-მდე მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი, რაც თავისებურ ანარეკლს ტოვებს ჯინის

კოეფიციენტის ქცევაზე, გასულ წელს მიზნობრივზე შედარებით მაღალ ინფლაციას და ვალუტის გაუფასურების ეფექტს უკავშირდება, განსაკუთრებით დაბალ შემოსავლიანი ფენების შემთხვევაში.

დიაგრამა №9. ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით, 2006-2017 წლებში,%



წყარო: საქსტატი

მიგვაჩნია, რომ ბოლო ერთ წელიწადში ჯინის ინდექსის მაჩვენებელის გაუარესება და ქვეყანაში შემოსავლების მიხედვით მისი ზმა სოციალური უთანასწორობის ზრდასთან ცოტა გაზვიადებულია, რადგან საქართველოში 2005 წლიდან მოყოლებული ჯინის ინდექსი პრაქტიკულად არ შეცვლილა და 40 ნიშნულზეა. ჩემი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი, რაც ჩვენს შემთხვევაში თავისებურ ანარეკლს ტოვებს ჯინის კოეფიციენტის ქცევაზე, გასულ წელს მიზნობრივთან შედარებით მაღალ ინფლაციას და ვალუტის გაუფასურების ეფექტს უკავშირდება, განსაკუთრებით დაბალ შემოსავლიანი მოქალაქეების შემთხვევაში და ინდექსის გაუარესებაც დიდწილად ამის შედეგია. შედარებისათვის, საშუალო ევროპული მაჩვენებელი 31–ს შეადგენს, პოლონეთში ჯინის ინდექსი 30.8-ია, საფრანგეთში - 29.2, უნგრეთში - 28.2, რუმინეთში - 27.3, გერმანიაში - 27, ჩეხეთში - 25, ბელგიაში - 25.9, შვედეთში - 25, ხოლო ფინეთში - 21.5. ბალტიის სახელმწიფოებში ჯინის ინდექსი საშუალოდ 35–ს შეადგენს. მართალია, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში შედარებით მაღალი მაჩვენებელი არის ამერიკის შეერთებულ შტატებში (46) და ინგლისში (33), მაგრამ ამ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები და შესაბამისად, ცხოვრების დონეც, ჩვენზე გაცილებით მაღალია.

საქართველოზე ჯინის მაღალი ინდექსი ანუ მოსახლეობის მაღალი უთანასწორობის მაჩვენებელი აქვთ განვითარებადი ეკონომიკის ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: ტაილანდი - 44.5, სინგაპური - 45.8, ჩინეთი - 46.5, მექსიკა - 48, ბრაზილია - 49.7, ჰაიტი - 60.8 და ა.შ. საქართველოს ანალოგიური ჯინის ინდექსი აქვს თურქეთს - 40 და რუსეთს - 41, რაც შეეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, აზერბაიჯანში ჯინის ინდექსი არის 33.6, სომხეთში 31.5, მოლდოვაში - 26.8, ხოლო ყაზახეთში ჯინის ინდექსი - 26.3-ია. ზოგადად, საქართველოში ჯინის კოეფიციენტის მაღალი დონე არ არის გამონაკლისი. ეს ტენდენცია დამახასიათებელი იყო და არის განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, ნაწილობრივ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისათვისაც. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში ჯინის ინდექსი შედარებით დაბალია შვედეთში, ფინეთში და სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც შერეული

ეკონომკური სისტემა „შვედური მოდელის" მემარცხენე იდეოლოგიურ პლათფორმაზეა აგებული. როგორც ვხედავთ, იგივე მოლდოვაში ჯინის ინდექსი დაბალია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მაღალია ცხოვრების დონე, პირიქით ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები ჩვენზე გაცილებით, თითქმის ორჯერ დაბალია.

საქართველოში 2017 წლის მიხედვით მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე იყო $4067.7, მაშინ როდესაც მოლდოვაში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა $2165.16–ს, სომხეთში დაახლოებით ჩვენ დონეზეა - $4219.40, უკრაინაში – $2991, სამაგიეროდ, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები ჩვენზე გაცილებით მაღალია როგორც ბალტიის სახელმწიფოებში (ესტონეთში $18977.39, ლიტვაში $16793.25) და სკანდინავიის ქვეყნებში (შვედეთში $56935.19, ფინეთში $47057.62), დიდ ბრიტანეთზე და ამერიკის შეერთებულ შტატებზე რომ აღარაფერი ითქვას (დიდ ბრიტანეთში $42514.49, ამერიკის შეერთებულ შტატებში - $53128.54). ინკლუზიური ზრდა სწორედ ამ პარადიგმაში უნდა განვიხილოთ. ერთის მხრივ, უთანასწორობის არსებული მაჩვენებლის შემცირება, მაგრამ მეორეს მხრივ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდა, მხოლოდ სწრაფი ანუ შედარებით გრძელვადიანი ზრდის ეკონომიკური ციკლებისათვის არის დამახასიათებელი. ეკონომიკის თუნდაც 8.5%-იანი ზრდის შემთხვევაში, ჩვენი ეკონომიკა გაორმაგდება 9 წლის შემდეგ, რასაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მთავარი გამოწვევის - სიღარიბის შესამცირებლად.

აქედან გამომდინარე, ჯინის ინდექსის თუნდაც მაღალი მაჩვენებელი პანაცეა არ არის, მისი მაჩვენებელი ბალტიის სახელმწიფოების დონეზეც რომ შემცირდეს, მთავარი მაინც ცხოვრების საერთო დონის ამაღლება და დაბალი შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფაა. ინკლუზიური ზრდა, სწორედ ამ პარადიგმაში უნდა განვიხილოთ. ერთის მხრივ, უთანასწორობის არსებული მაჩვენებლის შემცირება, მაგრამ მეორეს მხრივ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდა, მხოლოდ სწრაფი ანუ შედარებით გრძელვადიანი ზრდის ეკონომიკური ციკლებისათვის არის დამახასიათებელი.

იმისთვის, რომ ქვეყანაში შედარებით მაღალი სოციალური სტაბილურობა გვქონდეს, ანუ, შემოსავლების მხრივ მდიდრებსა და ღარიბებს შორის ამხელა განსხვავება არ იყოს, და ჯინის ინდექსი თუნდაც „საქართველო 2020"-ის საპროგრამო დოკუმენტის საპროგნოზო ნიშნულზე-35 % დავიდეს, კიდევ უფრო მაღალი ტემპებით უნდა გაიზარდოს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, რაც არის დასაქმების და შემოსავლების ზრდის მთავარი წყარო ევროპის ქვეყნებში.

1.6. დასაქმება და უმუშევრობის დონე

უმუშევრობის დონე ბოლო წლებში ყველაზე მაღალი 2009 წელს იყო-18,3 %, 2012 წელს-17,2 %, ხოლო 2017 წლის ბოლოს 13.9 % შეადგინა(**დიაგრამა №10**).

დიაგრამა №10. უმუშევრობის დონე, 2005-2018(6) წლებში, პროცენტებში.



წყარო: საქსტატი

უმუშევრობის დონის მიხედვით, ჩვენ გაცილებით მაღალი მაჩვენებელი გვაქვს, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების საშუალო დონეა-7.1 %. ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ჩვენთან ასევე საკმაოდ მაღალია თვითდასაქმებულთა რაოდენობა, რაც უმუშევრობის რეალურ დონეს კიდევ უფრო ზრდის, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ შედარებისათვის ესპანეთსა და იტალიაში, უმუშევრობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და შესაბამისად 16 % და 11 %-ს შეადგენს.

ჩვენი რეგიონის ქვეყნებიდან, ყველაზე მაღალი უმუშევრობა სასომხეთშია-18 %, თურქეთში მისი მაჩვენებელი 10.6 %-ს შეადგენს, უკრაინაში-9.9 %, ხოლო შედარებით დაბალია აზერბაიჯანში-5.1%, ყაზახეთში-4.9 % და მოლდოვაში-4.1%. ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი უმუშევრობის მაჩვენებელი არის შვეიცარიაში-2.4 %, ჩეხეთში-3% და გერმანიაში-3.4 %(**დიაგრამა №11**);

დიაგრამა №11. უმუშევრობის დონე, ევროკავშირსა და რეგიონში, პროცენტებში, 2016 წ



წყარო: tradingeconomics.com

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლისა, უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. მთავარი ამოცანაც ეკონომიკის ზრდის ინკლუზიური განვრცობაა, გრძელვადიან ეკონომიკურ ციკლში, რომელიც ითვალისწინებს ზრდის უზრუნველყოფის პროცესში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას და ზრდის შედეგების რაც შეიძლება უფრო ფართო განაწილებას სხვადასხვა შემოსავლის მქონე მოსახლეობაში(PREM-Network).

ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის მოდელი სწორედ მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერაზე და დასაქმების ზრდის პრიორიტეტზე უნდა იყოს აგებული, და არა ცალსახად სოციალურ პროგრამებზე, ან ეროვნული დოვლათის თანაბარი გადანაწილების პრინციპზე, რადგან ინკლუზიური ზრდის სტრატეგიაში პრიორიტეტი ენიჭება ისეთ პოლიტიკას, რომელიც რესურსების, პირველ რიგში კი ადამიანური რესურსების მაქსიმალურ ათვისებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკა უნდა იზრდებოდეს მოსახლეობის ფართო ფენების აქტიური ჩართულობით ეროვნული დოვლათის შექმნაში და განაწილებაში.

ამ მიზნისკენ გადადგმულ ნაბიჯებს შორის მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდისთვის განხორციელებული პროექტები უნდა დავასახელოთ. პროგრამა "აწარმოე საქართველოში" თავისი კომპონენტებით, სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი.

საქართველოში საწარმოთა ბრუნვაში და შესაბამისად მშპ-ის ფორმირებაში ბოლო წლების მიხედვით, დომინირებს მსხვილი ბიზნესის მაღალი ხვედრითი წილი, რომელიც საშუალოდ 70 %-ს შეადგენს. ყველაზე დიდი დამსაქმებელი კი არის არა მსხვილი, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესი. მაღალი უმუშევრობა და დოვლათის არათანაბარი განაწილებაც დიდწილად ამის შედეგია.

1.7. არაფორმალური სექტორი და თვითდასაქმება

სხვადასხვა კვლევების მიხედვით, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას აფერხებს არაფორმალური სექტორი და თვითდასაქმება, რომელიც ძირითადად, საკუთარი თავის ფიზიკური კვლავწარმოების პროცესშია ჩართული და არა კაპიტალის დაგროვების და საწარმოო კვლავწარმოების პროცესში. ეს ფაქტორი ასევე ნეგატიურად ზემოქმედებს საბანკო სექტორის განვითარებაზე, მაღალი რისკების და ნაკლებ პროგნოზირებადობის გამო.

მიგვაჩნია, რომ ეს პრობლემა დგას ჩვენს წინაშეც და ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად უნდა მივიჩნიოთ. პრობლემა ისაა, რომ სამუშაო ძალის დიდი ნაწილი, მათ შორის მცირე ბიზნესი საკუთარი თვითგადარჩენის ზღვარზე ფუნქციონირებს და ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენას ვერ ახდენს. ეს თანაბრად ეხებათ როგორც მეწარმე ფიზიკურ პირების კატეგორიას, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით რეგისტრირებული არიან ინდ. მეწარმების სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკურ პირებს, რომლებიც დაკავებულები არიან დამოუკიდებელი პრაქტიკით და არაფორმალურ სექტორს წარმოადგენენ. თუ პირველი კატეგორიის მსესხებლებისათვის შემოსავლების დადასტურება ძნელად, მაგრამ მაინც ხდება, თვითდასაქმებულების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელ პირებად, მაგრამ რეალურად მიკრობიზნესის სეგმენტს წარმოადგენენ, შემოსავლების დადასტურება სერიოზულ სირთულეებთან და დროსთან არის დაკავშირებული. იმისათვის, რომ ბანკმა დაადგინოს მათი წმინდა შემოსავლები, მხოლოდ საკრედიტო ბიუროს მონაცემები არ არის საკმარისი.

ეკონომიკაში ცნობილია, წარმოების მასშტაბის ეფექტის მინიმუმი, რომლის ქვემოთაც ნებისმიერი კომპანიის ფუნქციონირება შეუძლებელი ხდება. სამწუხაროდ, ბოლო წლებში მისო-ების და ონლაინ სესხების გამცემი კომპანიების მზარდი ექსპანსია, რაც ვერ დაბალანსდა

საბანკო კრედიტის მიწოდებით, ისეთი სახის მიკროსაწარმოების გამრავლებას უწყობდა ხელს, რომლებიც ამ ზღვართან ახლოს არიან, ანუ ვერ ახდენს მცირე ბიზნესის თუნდაც საშუალო სეგმენტში გადასვლას სესხების მცირე მოცულობის, მოკლე ვადიანობის და სიძვირის გამო. ცალკე თემაა უზრუნველყოფის პრობლემა, როდესაც ხშირად ერთი უზრუნველყოფის ქვეშ ხდება რამდენიმე მსესხებელზე სესხის გაცემა. ახალი რეგულაციებიც რომელიც ამ მიმართულებით 2018 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება და მისო-ებისათვის აწესებს სესხების ლიმიტს ჯამურად 100 ათას ლარამდე, მხოლოდ მისასალმებელია.

მისო-ების ამ ტიპის ბიზნეს მოდელი თავის მხრივ აბრკოლებს უფრო ეფექტური მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას. სხვა განვითარებადი ქვეყნების მაგალითები და ამ მიმართულებით წარმოებული კვლევებიც ადასტურებს, რომ საბანკო სექტორის მიერ მცირე ბიზნესის დაკრედიტების პრობლემების და სამაგიეროდ, მიკროსაფინანსო დაწესებულებების საკრედიტო ექსპანსიისას, ბაზრის დიდ ნაწილს იკავებენ სწორედ ამ ტიპის მიკროსაწარმოები, რომლებსაც გრძელვადიან პერსპექტივაში, ხარჯების შემცირება და პროდუქტიულობის ზრდა არ შეუძლიათ.

დიდწილად სწორედ ამის შედეგია, რომ ძირითადად ხდება საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება კომპანიების საშუალო რენტაბელობაზე მაღალი პროცენტით და ნაკლებად ხდება ძირითადი საშუალებების დაფინანსება, რაც ბიზნესის გასაფართოებლად და დასაქმების ზრდის მთავარი პირობაა. თავის მხრივ ეს ფაქტორი ნეგატიური ეფექტის მომტანი ხდება მთლიანად ეკონომიკისათვის, რადგან საბოლოო ჯამში ვერ ხდება კაპიტალის გადადინება მცირედან საშუალო და საშუალოდან მსხვილ ბიზნესში და რაც მთავარია, ამ ტიპის ბიზნესი იკავებს რა ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს ამცირებს სწორედ განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო სექტორის განვითარებას, რომელიც ფორმალური დასაქმების მთავარი წყაროა განვითარებულ ქვეყნებში.

ამიტომაც არის ახალი საგადასახადო რეფორმა მნიშვნელოვანი, რაც მათი ბიზნესის ლეგალიზაციის შუწყობს ხელს, 500 ათას ლარამდე ბრუნვის პირობებში შემოსავლების 1 %-ის დეკლარირებით. შესაბამისად, გაჩნდება რა წვდომა შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაზე, კომერციული ბანკებისათვის წმინდა შემოსავლების შეფასების შესაძლებლობას იძლევა. დღეს ეს არის ერთადერთი გზა კლიენტურის ბაზის გასაზრდელად. ბანკებს დღეს როგორც ჟანგბადი ისე სჭირდებათ კლიენტურის ბაზის გაფართოება. ერთი და იგივე კლასის კლიენტურაზე მაღალი საკრედიტო დამოკიდებულება ზრდის როგორც გადახდისუნარიანობის(ვალების ჭაობის ეფექტი), ასევე საკრედიტო პორთფელის კონცენტრაციის რისკსაც.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წინაშე დგას, რადგან როდესაც არ ხდება მსესხებლის შემოსავლებისა და გადამხდელუნარიანობის დეტალური ანალიზი, წარმოიქმნება არა მხოლოდ ვალების მომსახურების პრობლემა, არამედ ვალაუვალ მსესხებელს ეზღუდება წვდომა საბანკო ანგარიშზე და უკვე პოტენციური სამართლებრივი აღსრულების და ქონების დაკარგვის შიშით, უმცირდება ფორმალური დასაქმების მოტივაცია, რაც ასევე პრობლემას წარმოადგენს მთლიანად ეკონომიკისთვის. ეკონომიკურ ზრდაზე ამ ტიპის დაკრედიტების ზეგავლენა პრაქტიკულად ნულოვანი, ხოლო თუ ჭარბვალიანობის ფაქტორს გავითვალიწინებთ სულაც უარყოფითია.

1.8. ბიზნესის თანადაფინანსების პროგრამები

საქართველოში როგორც მცირე, ასევე საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მთავარი პრობლემა, მათი არასაკმარისი კაპიტალის და მცირე აქტივების პირობებში, არის სწორედ კაპიტალზე ხელმისაწვდომობა და საგარანტიო მექანიზმების არქონა. მართალია, კომერციულ ბანკებში საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რაც ბიზნეს სესხებზე შემცირებულ საპროცენტო განაკვეთებშია ასახული, მაგრამ ეს პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ აგვარებს. ეს განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნეს ეხება. რეალურად ამ ამოცანის გადაწყვეტა უძრავი ქონების დაგირავების გზით ხორციელდება, რაც საბოლოო ჯამში არის მაღალი სოციალური და ეკონომიკური რისკის მატარებელი, რადგან მსეხებლის დეფოლტისას ამ ქონების დაკარგვა ხდება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბანკებს აქვთ სპეციალური პროგრამები მცირე ბიზნეს დაკრედიტების ხელშესაწყობად, იზიდავენ რესურსებს საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდანაც, ეს პრობლემას მაინც ვერ აგვარებს, რაც სწორედ საგარანტიო მექანიზმების პრობლემებს უკავშირდება.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება როგორც აზიის, ისე ამერიკისა თუ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, დიდწილად სწორედ ამ ტიპის სახელმწიფო პროგრამების და სპეციალიზებული ფონდების მეშვეობით განხორციელდა და მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მცირე და საშუალო ბიზნესის საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის და ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდას. ეს თანაბრად ეხებათ შერეული ეკონომიკის მოდელის, როგორც მემარცხენა იდეოლოგიის ასევე მემარჯვენე იდეოლოგიის ქვეყნებს(აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვეცია) ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს, სადაც დიდწილად სახელმწიფო კაპიტალიზმის მოდელები იქნა არჩეული.

მხოლოდ კომერციული კრედიტით მცირე და საშუალო ბიზნესი არსად განვითარებულა, მით უმეტეს სტარტ აპების დაფინანსების კუთხით. საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, ევროპის და აზიის ქვეყნებში დღეს არის დაბალ ნიშნულზე, თორემ თუნდაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში იქაც საკმაოდ მაღალი იყო. მით უმეტეს ჩვენნაირი პატარა ეკონომიკის პირობებში, შედარებით გრძელვადიან რესურსებზე ხელმისაწვდომობა ისედაც გაძნელებულია, ვადიანი დეპოზიტების სიმცირის და მოკლევადიანობის გამოც, რაც თავის მხრივ ვადიანობის გეპის ანუ ვადების აცდენის მაღალ რისკს უკავშირდება.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია მნიშვნელოვნად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ისეთი სახელმწიფო პროგრამები, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“, თავისი კომპონენტებით. პროგრამებში აქტიურად არის ჩართული საბანკო სექტორი. „აწარმოე საქართველოს“ 5 კომპონენტიდან მარტო ინდუსტრიულ კომპონენტში საბანკო კრედიტით 2015-2017 წლებში დაფინანსებულია 125 საწარმო, როგორც ახალი საწარმოები, ასევე არსებული წარმოების გასაფართოებლად, საკმაოდ ფართო პროფილით, დაწყებული საკვებითა და სასმელი წყლებით, სამშენებლო მასალების წარმოებით დამთავრებული. ზოგადად პროგრამა მოცავს როგორც მეწარმეობის განვითარების პლატფორმას, ასევე საინვესტიციო მიმართულებასაც. ყველა პროგრამა და ბენეფიციარი, საბანკო სექტორის მონაწილეობით დაფინანსებულია თანაბარი პირობებით, სადაც სეხებს გასცემენ კომერციული ბანკები, ხოლო სახელმწიფო ახდენს სესხების 10 %-ის სუბსიდირებას.

მთლიანად პროგრამის ფარგლებში 2018 წლის პირველ ნახევრისთვის დამტკიცებული იყო 372 პროექტი, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 900 მლნ ლარზე მეტია, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების რაოდენობა კი 470 მლნ ლარს აჭარბებს. სულ, მარტო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელების შედეგად, ჩვენ სავარაუდოდო 15 000-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს მივიღებთ. მარტო მიკროგრანტების პროგრამით 8500 ბიზნესსუბიექტია დაფინანსებული, ძირითადად რეგიონებში, რაც მნიშვნელოვნია ეკონომიკური აქტივობის რეგიონებში გადატანის თვალსაზრისით.

დაფინანსებული გრანტების 80 % წარმატებით აგრძელებს ფუნქციონირებას, მაშინ როდესაც ავსტრიაში ანალოგიური პროგრამით დაფინასებული მეწარმეების ფუნქციონირების მაჩვენებელი 60 %-ია. როგორც ვხედავთ, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 900 მლნ ლარზე მეტია, რაც მშპ-ის 2.5%-ს, ხოლო საკრედიტო პორთფელში ბიზნეს დაკრედიტების მოცულობის 5 %-ს შეადგენს. ეს არ არის მცირე ციფრები, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში წმინდა ინვესტიციების მთლიანი მოცულობა მშპ-ის 10-12%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო როგორც უკვე ავღნიშნეთ, ზოგადად ბიზნესდაკრედიტების შენელება ისედაც სახეზე იყო და რომ არა ეს პროგრამები, დიდი ალბათობით ბიზნესდაკრედიტების შემცირება არსებულზე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდებოდა.

სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მიკრო და მცირე ბიზნესის დაკრედიტებას, რაც ნაკლებად იყო წინა კომპონენტში და პროგრამის შედარებით სუსტ მხარედ უნდა მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, მხარდასაჭერია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის 2018 წელს ახალი პირობებით განვრცობა.

2018 წელს, სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია, ან პირველად მონაწილეობს, ასევე - მეწარმე სუბიექტს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა. იმისთვის, რომ მეწარმე სუბიექტებს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს კვლავ ჰქონდეს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა, მათ უნდა წარადგინონ პროექტი, რომელიც შეეხება მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოება/გადაიარაღებას. განსხვავებულად განისაზღვრება თანამონაწილეობის წილიც - პროგრამის მოსარგებლის/მოსარგებლეთა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 პროცენტით, მაშინ როდესაც პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტით. ასევე, გაზრდილია დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და ნაცვლად 15 000 ლარისა, შეადგენს 20 000 ლარს.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტი განსაკუთრებით ხელს უწყობს რეგიონული მოსახლეობის გააქტიურებას წამოიწყონ, ან გააფრთოონ საკუთარი ბიზნესი. ფინანსური დახმარების გაწევის გზით, რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით. 2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, მხარდაჭერილია 5 313 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 50 მლნ ლარამდე, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 949 474 ლარი, სადაც 8 412 ბენეფიციარი/მოსარგებლეა. პროექტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა.

ნიშანდობლივია, რომ 2017 წელს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო დეფიციტი 12,8%–დან 8,7%–მდე შემცირდა, რაც ბოლო წლებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ხვედრითი წილი სავაჭრო ბრუნვასთან მიმართებაში გასული წლის ბოლოს პირველად ჩამოცდა 50%-ს და 48%-ის ფარგლებში დაფიქსირდა.

ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო იქნება დაფინანსებული პროექტების ეკონომიკაზე ზემოქმედების დეტალური ანალიზიც, რასაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო „აწარმოე საქართველოში" წლის ბოლოს აპირებს გამოქვეყნებას.

მიგვაჩნია, რომ მთავრობამ აქტიურად უნდა გააგრძელოს ეკონომიკის რეალური სექტორის მხარდაჭერის სტრატეგია. კერძოდ, ბიზნესდაკრედიტების ისეთი მოდელების მხარდაჭერა, სადაც სახელმწიფოს თანადაფინანსებით, როგორც კაპიტალის ხელმისაწვდომობის, ასევე საგარანტიო უზრუნველყოფის კუთხით, რათა ეკონომიკური ზრდის პროცესში, ეკონომიკური და ფინანსური სარგებელი აისახოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე და დასაქმებაზე, და შესაბამისად, გახდეს ინკლუზიური ზრდის შემადგენელი ნაწილი.

საქართველოში როგორც მცირე, ასევე საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მთავარი პრობლემა, მათი არასაკმარისი კაპიტალის და მცირე აქტივების პირობებში, არის სწორედ საგარანატიო მექნიზმების არქონა. მართალია, კომერციულ ბანკებში საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რაც ბიზნეს სესხებზე შემცირებულ საპროცენტო განაკვეთებშია ასახული, მაგრამ ეს პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ აგვარებს. ეს განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზინეს ეხება. რეალურად ამ ამოცანის გადაწყვეტა უძრავი ქონების დაგირავების გზით ხორციელდება, რაც საბოლოო ჯამში ერთის მხრივ ზღუდავს კრედიტზე ხელმისაწვდომობას და მეორეს მხრივ, არის მაღალი სოციალური და ეკონომიკური რისკის მატარებელი, რადგან მსეხებლის დეფოლტისას ამ ქონების დაკარგვა ხდება. ნებისმიერ კომპანიას, გარდა საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისა, საბოლოო ჯამში სჭირდება გაფართოება, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბანკებს აქვთ სპეციალური პროგრამები მცირე ბიზნეს დაკრედიტების ხელშესაწყობად, იზიდავენ რესურსებს საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდანაც, ეს პრობლემას მაინც ვერ აგვარებს, რაც სწორედ საგარანტიო მექანიზმების პრობლემებს უკავშირდება.

თუ თვალს გადავავლებთ, ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, როგორც განვითარებული ეკონომიკის, ასევე განვითარებადი ქვეყნების დიდ ნაწილში გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება საკრედიტო-საგანტიო მექანიზმები, რათა გაზარდონ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობა. მათ შეუძლიათ ითამაშონ კატალიზატორის როლი ეკონომიკის განვითარებაში, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება უფრო ფართოა, ვიდრე განვითარებულ ეკონომიკებში. ნიშანდობლივია, რომ ფინანსური კრიზისების დროს CGS- ის შეიძლება იყოს კონტრ-ციკლური პოლიტიკის ინსტრუმენტის ნაწილი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საკრედიტო დაბანდებების მხარდასაჭერად.

ფინანსური კრიზისის შემდგომ, ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის (CESEE) ეკონომიკებში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საკრედიტო დაბანდებების მოცულობა შემცირდა, როგორც ამ საწარმოების შემცირებული რენტაბელობის, ასევე თავად ბანკებში პრობლემური სესხების (NPLs) ზრდის გამო, რამაც ბანკები იძულებული გახადა შეემცირებინათ დაკრედიტების ლიმიტები გაზრდილი რისკების გამო.

დღეს საკრედიტო-საგანტიო სქემები, როგორც დეფოლტის რისკის დამზღვევი ინსტრუმენტი, აქტიურად გამოიყენება რეგიონის უმეტეს ქვეყნებში. CESEE- ში გარანტიების მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 1.2-1,3 პროცენტი შეადგინა უნგრეთსა და რუმინეთში, თუმცა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი არაწევრი ქვეყნებში, ანალოგიური მაჩვენებელი შედარებით მცირეა.

დღეს ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი ინვესტიცია რეინდუსტრიალიზაციის ხელშესაწყობად და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, დაფინანსებული საწარმოების დიდი ნაწილი ექსპორტზეა ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით, ჩვენ შეიძლება განვიხილოთ წმინდა საექსპორტო ორიენტაციის საწარმოებისათვის ცალკე დაფინანსების კომპონენტის დამატება. ეს ფაქტორი არა მხოლოდ

ექსპორტის ზრდას უწყობს ხელს, არამედ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ამცირებს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს, რაც მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით არის ძალზე მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, მათი საექსპორტო ორიენტაციიდან გამომდინარე, ამ საწარმოებში შემოდის თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც დამატებით ღირებულებასთან ერთად, ქმნის მაღალტექნოლოგიურ ქართულ პროდუქტს, მუშა ხელის გაზრდილ კვალიფიკაციას და გაზრდილ შემოსავლებს თავი რომ დავანებოთ.

დღეს პრობლემა ორმხრივად დგას. ერთის მხრივ, თუ მცირე ბიზნესი არ განვითარდა, იგი ვერ გადავა საშუალო ბიზნესსეგმენტში, რაც მაკროდონეზე დასაქმების და ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი გახდება. მეორეს მხრივ, საბანკო სექტორს სჭირდება უფრო მეტად დივერსიფიცირებული საკრედიტო პორთფელი, რისკების მიტიგაციისათვის, რაც მომავალში ისევე საპროცენტო განაკვეთებზე აისახება პოზიტიურად, მათი შემცირების მიმართულებით.

1.9. საგარეო-სავაჭრო ბალანსი და ორმაგი დეფიციტის ეკონომიკა

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ გარდა მაღალი ეკონომიკური ზრდისა, გაუმჯობესებულია ისეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ფაქტორი, როგორიც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტია. გასულ წლებში უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის თვალსაზრისით, ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენდა საფინანსო ბაზარზე, მათ შორის სავალუტო კურსის დინამიკაზე.

თუ თვალს გადავავლებთ თუნდაც ბოლო ოცი წლის სტატისტიკას ვნახავთ, რომ ჩვენი ეკონომიკა ჩამოყალიბდა ორმაგი დეფიციტის პირობებში ანუ როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში ერთსა და იმავე დროს ორი დეფიციტია - ფისკალური დეფიციტი და საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. რაც შეეხება მიზეზებს, მისი გამომწვევი მიზეზი ერთი და ორი არ არის, მაგრამ ავღნიშნავთ, რომ მთავარი მიზეზი ჭარბი სახელმწიფო ხარჯებია, რომლებიც ვერ ფინანსდება შემოსავლებით. ორმაგი დეფიციტის პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები პირდაპირ აისახება ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე;

ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსსაც აუარესებს. ჭარბი სახელმწიფო ხარჯები ასევე ჭარბ კერძო მოხმარებას იწვევს, რაც ეროვნულ დანაზოგს ამცირებს და საგარეო ვალის ზრდას იწვევს, ანუ ფისკალური დეფიციტი, ამავდროულად მიმდინარე ანგარიშის დეფიციტსაც იწვევს. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება აქტუალური თუ დეფიციტი გრძელვადიან პერიოდებშია გაწელილი. ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ორმაგი დეფიციტის მოდელი ეკონომიკისათვის ცალსახად მხოლოდ უარყოფითი ზეგავლენის მომტანი იყოს. ორმაგი დეფიციტის მოდელი ძირითადად ფუნქციონირებს განვითარებად ქვეყნებში და თუ ბოლო წლებში ყველაზე მზარდი ეკონომიკების ქვეყნების ანალიზს მოვახდენთ, სადაც ეკონომიკის ზრდა 7 % და მეტი იყო, ვნახავთ რომ მათ უმრავლესობას გარდა ჩინეთისა სწორედ ორმაგი დეფიციტის მოდელი ჰქონდა აღებული(ინდოეთი, ეთიოპია, ლაოსი, კოტ დივუარი, კამბოჯა, ტანზანია, ბუტანი, რუანდა). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების ნაწილს სულაც გაცილებით მაღალი დეფიციტი ჰქონდა, ვიდრე ჩვენ.

ამდენად, ეკონომიკური ზრდა მაღალი დეფიციტის პირობებშიც არის შესაძლებელი, თუმცა აფრიკისა და აზიის ამ ქვეყნების მაგალითიდანაც ჩანს, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მისი გამოყენება არის არასასურველი, რადგან მიუხედავად ზრდისა, იგი

მიმდინარეობს საგარეო ვალის ზრდის და საგადამხდელო ბალანსის გაუარესების პირობებში, რაც დასაქმების და ზოგადად ეკონომიკის მოწყვლადობის პრობლემას ვერ გადაჭრის. მათი უმრავლესობა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებით, ესევ ღარიბ ქვეყნებად რჩებიან. თუ ბიუჯეტის ხარჯების მაჩვენებელს 2012 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების ხვედრითი წილის კლებისა და შესაბამისად, ეფექტურობის ზრდის ტენდენცია სახეზეა. მაგალითისთვის, თუ ადმინისტრაციული ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში 2012 წელს 38.5% იყო, 2016 წელს უკვე შემცირებული იყო 25.7 %-მდე, ხოლო 2017 წლის ბიუჯეტში 24.4%-მდეა დაწეული.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2014-2016 წლებში სახელმწიფოს მიმდინარე ხარჯები მშპ-თან 25.7%-მდე გაიზარდა, 2017 წელს კი, დაწყებული სამთავრობო რეორგანიზაციის და სამინისტროების შემცირების პირველი ტალღის შედეგად, შემცირდა 24.4 %-მდე(**დიაგრამა 12**).

დიაგრამა №12. ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები მშპ-სთან, %



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რაც შეეხება „მცირე მთავრობის“ კონცეფციაზე გადასვლას და ბიუროკრატიული ხარჯების, ეტაპობრივად, მშპ-ის 3.9 %-მდე შემცირებას. ხელფასების ფარდობა მშპ-სთან გასულ წელს იყო 4,5%-ზე მეტი, წელს 4,3%-ის ფარგლებშია, ხოლო 2019 წელს დაგეგმილია მისი შემცირება - 3,9%-მდე. მიჩნეულია, რომ რაც უფრო დაბალია მთავრობის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში, ეკონომიკაში შექმნილი ღირებულების უფრო მეტი წილი მიემართება კერძო სექტორის საქმიანობის სტიმულირებისათვის. თავის მხრივ სამთავრობო ხარჯების შემდგომი შემცირება, მხოლოდ პოზიტიურად აისახება ეკონომიკურ ზრდაზეც.

ეს განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის არის აქტუალური, სადაც კერძო სექტორი შედარებით სუსტია, ხოლო კორუფციის დონე მაღალი. თუმცა „მცირე მთავრობის“ მოდელზე გადასვლა, რისკებსაც შეიცავს. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ მოხდება ფუნქციათა გადანაწილება, რამდენად ეფექტური იქნება კოორდინაცია და გადაწყვეტილების მიმღები ვერტიკალი, შემცირებული ბიუროკრატიის პირობებში.

სახელმწიფო ხარჯების შემცირებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებობს გარკვეული კორელაცია, და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის დინამიკის შესანარჩუნებლად, მით უმეტეს ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად, დიდი მნიშვნელობა ექნება გამოთავისუფლებული რესურსების სწორ მიმართვას ეკონომიკაში. კიდევ ერთი საკითხი

ეხება გამოთავისუფლებული პერსონალის დასაქმებას, რადგან თუ ეს საკითხი არ გადაიჭრა, ისედაც მაღალი უმუშევრობის პირობებში, მხოლოდ ნეგატიურად იმოქმედებს სციალური ფონზე და ეკონომიკურ ზრდაზე ზოგადად. სახელმწიფო ბიუროკრატია გაცილებით ეფექტური გახდება, აქტიური ციფროვიზაციის პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რადგან მნიშვნელოვნად გაზრდის ბიუროკრატიული აპარატის საქმიანობის ეფექტურობას. დიდწილად სწორედ ბიუროკრატიის ხარისხი განაპირობებს, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციას, ასევე ეკონომიკური ზრდასაც.

რაც შეხება ბიუჯეტის დეფიციტს, მოგეხსენებათ, 2017 წელს ბიუჯეტის დეფიციტის დონე 3.5 %-ის ფარგლებში იყო დაგეგმილი. 2018 წლის ბიუჯეტის თანახმად დეფიციტი მშპ-თან მიმართებაში განისაზღვრა 3.0%-ის ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში შემცირდება 2.5%-მდე და შესაბამისობაშია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პარამეტრებთან, რომლის ზღვრული მაჩვენებელი - 3%-ია.

2015 წელთან შედარებით, 2017 წელს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო დეფიციტი 12,6%–დან 8,5 %–მდე შემცირდა, ხოლო მესამე კვარტალში ისტორიულ მინიმუმამდე-3%-მდეც კი შემცირდა, რაც ბოლო წლებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. 2011 წლიდან მოყოლებული, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-სთან 11%–დან 13%-მდე მერყეობდა, თუ არ ჩავთვლით 2013 წელს, როდესაც მისი მაჩვენებელი 5.8%-მდე შემცირდა. დეფიციტის შემცირება განაპირობა ერთის მხრივ, სავაჭრო ბალანსში, რომელიც საგადამხდელო ბალანსის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, წმინდა ექსპორტის დადებითმა დინამიკამ (საქონლის ექსპორტი წლიურად 19,4%–ით, ხოლო იმპორტი 7,7%–ით გაიზარდა) და მეორეს მხრივ, მომსახურების ექსპორტის, განსაკუთრებით ტურიზმის ზრდამ, რომლის ექსპორტი წლიურად 32,3%–ით გაიზარდა და 1.1 მლრდ აშშ დოლარი (2.6 მლრდ ლარი) შეადგინა.ნიშანდობლივია, რომ ეს დადებითი ტენდენცია მიმდინარე წელსაც გრძელდება.

საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2018 წლის იანვარ-მაისში $4.9 მლრდ შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 24.5%-ით აღემატება. ექსპორტი პირველ 5 თვეში 28.%-ით, $1.3 მლრდ-მდე გაიზარდა, აღემატება რა იმპორტის ზრდის ტემპებს (იმპორტი 23.3%-ით $3.6 მლრდ-მდე გაიზარდა), რაც წმინდა ექსპორტის ზრდის დადებით ტენდენციას უსვამს ხაზს. შესაბამისად, უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2018 წლის იანვარ-ივნისში - 2.79 მლრდ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46.5% შეადგინა. შედარებისათვის 2015-2016 წლებში სავაჭრო ბრუნვის დეფიციტი 54 %-ის ფარგლებში იყო. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ხვედრითი წილი სავაჭრო ბრუნვასთან მიმართებაში გასული წლის ბოლოს პირველად ჩამოცდა 50%-ს და 48%-ის ფარგლებში დაფიქსირდა.

ეკონომიკის საექსპორტო პოტენციალის და საგარეო სავაჭრო ბალანსის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის საქონლისა და მომსახურების ექსპორტის თანფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. 2016 წლის მიხედვით, ამ ინდიკატორის საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი 41.07 %-ს შეადგენდა(**დიაგრამა №13**).

დიაგრამა №13. ექსპორტის თანაფარდობა მშპ-სთან, ევროკავშირსა და რეგიონში, პროცენტებში, 2016 წ.



წყარო:theglobaleconomy.com, საქსტატი

წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ ექსპორტის მშპ-სთან თანაფარდობის ყველაზე მაღალი მაჩვენელი, ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში ჰქონდა ლუქსემბურგს მშპ-ის 221%, ასევე მაღალი მაჩვენებელი აქვს ირლანდიას-120 % და ნიდერლანდებს-86 %, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან უნდა გამოიყოს უნგრეთი-90%, ჩეხეთი-79 %, და ბალტიის სახელმწიფოები-ლიტვა-81 %, ესტონეთი-78%.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენი რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოს და აზერბაიჯანს აქვთ ერთნაირი მაჩვენებელი-45%, რაც რეგიონში ყველაზე მაღალია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, აზერბაიჯანის გარდა, პრაქტიკულად არც ერთი არ არის ნავთობპროდუქტების ექსპორტიორი ქვეყანა.

საქართველოში ბოლო წლებში ექსპორტის ხვედრითი წილის ზრდა მშპ-ში დიდწილად განპირობებულია არა ტრადიციულად სასაქონლო ექსპორტის ზრდის, არამედ მომსახურების ექსპორტის და პირველ რიგში ტურიზმის ზრდის შედეგად. დადებით ტენდენციად უნდა მივჩნიოთ, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დაბალანსებაც. თუმცა, რისკების შეფასების თვალსაზრისით, მშპ-ში ექსპორტის მაღალი წილი, განსაკუთრებით მომსახურების ექსპორტის თვალსაზრისით, ქმნის ეკონომიკის შენელების არც თუ მცირე ალბათობას, კრიზისების ან საგარეო გლობალური შოკებისას.

წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენი ეკონომიკის მთავარ გამოწვევად, მაღალი იმპორტდამოკიდებულება და შესაბამისად, საქონლის იმპორტის ჩანაცვლების საკითხი უნდა მივიჩნიოთ. მართალია, იმპორტის თანაფრდობა მშპ-სთან ორ წელიწადში 3% -ით არის შემცირებული, მაინც მაღალია და 59,3 %-ს შეადგენს, რაც აისახება კიდეც უარყოფით სავაჭრო ბალანსში.

შედარებისათვის იგივე ირლანდიაში და უნგრეთში ანალოგიური მაჩვენებლები მაღალია და შესაბამისად 80 %-ს და 100%-ს შეადგენს, მაგრამ როგორც ვხედავთ კიდევ უფრო მაღალია ექსპორტის თანაფარდობა მშპ-სთან ანუ ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელი დადებითია. კერძოდ, უნგრეთში სავაჭრო ბალანსის თანაფარდობა მშპ-სთან არის დადებითი და 10.1%-ს, ხოლო ირლანდიის სულაც 22.2%(**დიაგრამა №14**).

დიაგრამა №14. სავაჭრო ბალანსის თანაფარდობა მშპ-სთან, ევროკავშირსა და რეგიონში, პროცენტებში, 2016



წყარო:theglobaleconomy.com, საქსტატი

რეგიონის და ევროპის ქვეყნებიდან ჩვენზე მაღალი საგარეო სავაჭრო ბალანსის მშპ-სთან თანაფარდობის უარყოფითი მაჩვენებელი აქვს მონტენეგროს-22.26 % და მოლდოვას-22,13%. რეგიონის ქვეყნებიდან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს სასომხეთს-9.6 %, თურქეთს-2.9% და უკრაინას-6.7%.

მართალია, სავაჭრო დეფიციტი გარკვეულწილად ბალანსდება ისეთი კომპონენტებით, როგორიცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მომსახურება, ტურიზმი და ფულადი გზავნილები, თუმცა, მაინც რჩება ეკონომიკური სწრაფი ზრდის და დასაქმების არასაკმარის ფაქტორად.

თავის მხრივ, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება ეკონომიკის მაღალი იმპორტდამოკიდებულების და, ზოგადად, დოლარიზაციის შემცირებით და ექსპორტის ზრდითაა შესაძლებელი, რასაც, ორივე შემთხვევაში, ადგილობრივი წარმოების სტიმულირებისაკენ მივყავართ. ამას ეკონომიკური ინკლუზიური ზრდისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემდგომ გაღრმავება გამოწვეული იყო იმით, რომ გასულ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება დიდწილად ხდებოდა საგარეო ვაჭრობასთან კავშირის არმქონე სექტორებში, მშენებლობასა და მომსახურების სექტორში და არა წარმოებაში.

საქართველოს ეკონომიკას ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ შეამციროს ეკონომიკის მაღალი იმპორტდამოკიდებულება და გავიდეს უფრო მაღალ ეკონომიკურ ზრდაზე თუ კიდევ უფრო განვავითარებთ მომსახურების ექსპორტს და გავზრდით სასაქონლო საექსპორტო ჯგუფების ასორტიმენტს, თავისუფალი ეკონომიკური ზონების მხარდაჭერით და საქართველოს მთავრობის მიერ, 2016 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მაქსიმალური გამოყენებით, აქ წარმოებული პროდუქციის ექსპორტირების თვალსაზრისით. სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, (DCFTA) გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

აღსანიშნავია, რომ DCFTA-ის მოლაპარაკებების პროცესში საქართველოს მთავრობამ მიაღწია მნიშვნელოვან შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე. გარდა ამისა, გამარტივდება საქართველოდან მომსახურების ექსპორტი ევროკავშირში. ქართულ, მომსახურების სფეროს, კომპანიებს მიეცემათ საშუალება უმეტეს სექტორებში დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის ქვეყნებში და მათი საშუალებით მიაწოდონ მომსახურება ევროპელ მომხმარებელს და თავიანთ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები, სპეციალისტები და გაატარონ პრაქტიკა თავიანთ თანამშრომლებს;

დღეს ჩვენთან ძირითადად შემოდის რესურსმაძიებელი ინვესტიციები, რომლებიც დაბალ ტექნოლოგიური და საშუალო დაბალ ტექნოლოგიური ინვესტიციებს განეკუთვნება. მაგალითად, ავეჯის წარმოება, ტანსაცმლის წარმოება, თამბაქოს წარმოება, ხილის წვენების წარმოება და ა.შ. ჯერჯერობით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით, ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი და ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას. თუ თვალს გადავავლებთ ექსპორტის თუნდაც ბოლო ათწლეულის სტატისტიკას, ვნახავთ, რომ საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციის ხარისხის ზრდის პარალელურად უფრო დივერსიფიცირებული გახდა საექსპორტო ბაზრები, ეს ძირითადად გამოწვეული იყო დსთ-ის სივრცის ბაზრებზე ექსპორტის შემცირებით და სამაგიეროდ, ევროკავშირის და სხვა მიმართულებით ექსპორტის გააქტიურებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ბაზრის გახსნის შემდეგ ექსპორტის ნაწილმა ამ მიმართულებით გადაინაცვლა. აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. მართალია, საქონლის ექსპორტში ღვინის ექსპორტი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ბუნებრივია დადებითი მოვლენაა, მაგრამ ექსპორტის სტრუქტურის საერთო სურათს ნაკლებად ცვლის.

სხვადასხვა კვლევები ადასტურებს, რომ ტრადიციული ნომენკლატურის პროდუქციის ექსპორტის ზრდა არის წამყვანი მთლიანი ექსპორტის ზრდაში, ხოლო ექსტენსიური ზრდა, რაც გულისხმობს საექსპორტო პროდუქციის გამრავალფეროვნებას და ახალი სასაქონლო ჯგუფების შექმნას, კვლავ სუსტია და მხოლოდ 10 % თუ უჭირავს ექსპორტის ნაზარდში.

სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ქვეყანა უნდა გადავიდეს ტრანზიტული დატვირთვიდან დამატებითი ღირებულების შექმნის დოქტრინაზე, რაც ყველაზე მაღალ ეფექტს მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების პირობებში იღებს, ანუ ეკონომიკამ უნდა შექმნას დამატებითი ღირებულება, ინფრასტრუქტურის და ინოვაციური ცენტრების სახით, რაც ეკონომიკის ზრდასთან ერთად, გაზრდის სასაქონლო ექსპორტს და შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვზრუნოთ დივერსიფიკაციის ზრდაზე არსებული სასაქონლო ნომენკლატურის გამრავალფეროვნებით. ანუ, ექსპორტი უნდა გაიზარდოს არა ინტენსიური, არამედ ექსტენსიური ზრდით, რაც გაზრდის რა ექსპორტის წილს მშპ-ში 65%-მდე, გლობალური შოკებისას შეამცირებს მის გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე.

ამერიკასა და თურქეთს შორის მიმდინარე პოლიტიკურმა დაძაბულობამ და „ეკონომიკურმა ომმა“, ასევე რუსეთისათვის დაწესებულმა სანქციების ახალმა ტალღამ, რასაც თურქული ლირის და რუსული რუბლის გაუფასურება მოყვა,ცხადად აჩვენა ბაზრების დივერსიფიკაციის საჭიროება.ჩვენ გვჭირდება საგარეო-ეკონომიკური კუთხით ბაზრების გაცილებით მაღალი დივერსიფიკაცია.

სტრატეგიული ამოცანა უნდა გახდეს ევროკავშირის მსგავსად, მსოფლიოს ნომერ პირველ ეკონომიკასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება. დღეს აშშ -ის ხვედრითი წილი სავაჭრო ბრუნვაში ძალიან დაბალია და 4 %-ს შეადგენს და 10 წამყვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის მეშვიდეა, მაშინ როდესაც ევროკავშირის ხვედრითი წილი გაცილებით მაღალია.

შედარებისათვის 2018 წლის იანვარ-ივლისში, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა, 417.7 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 20.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 22.3 პროცენტს შეადგენს. იმპორტმა 1 536.1 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (27.2 პროცენტით მეტი) და მთლიანი იმპორტის 29.7 პროცენტი შეადგინა ანუ ევროკავშირი არა ცალკეული ქვეყნების ხვედრითი წილით, არამედ ცალკე სუბიექტად, რომ წარმოვიდგინოთ სულაც პირველ ადგილზეა საგარეო სავაჭრო ბრუნვაში.

სტრატეგიული ამოცანის ნაწილი უნდა იყოს პირველ რიგში აშშ-დან და ევროკავშირის ქვეყნებიდან არა უბრალოდ ინვესტიციების მოზიდვა თუნდაც აპრობირებულ დარგებში ან უძრავ ქონებაში, არამედ ინვესტიციების მოზიდვა მაღალ ტექნოლოგიურ დარგებში, და უკვე აქ წარმოებული პროდუქციის შეტანა ევროკავშირში და აშშ-ის ბაზრებზე. ამ ტიპის საექსპორტო რელოკაციურ მოდელებს, რომლებიც მაღალი ეფექტიანობით ხასიათდებიან, ასევე აქვთ მაღალი საექსპორტო პოტენციალი და შედიან ისეთ სფეროებში, როგორიცა სამედიცინო-ოპტიკური ინსტრუმენტების წარმოება, საავიაციო პროდუქციის წარმოება, ლაზერულ-ოპტიკური პროდუქციის წარმოება, ნანო ტექნოლოგიები, ციფრული და ბლოკჩეინ ტექნოლოგიები, და ა.შ.

ჩვენ გვიჩნდება კარგი შანსი, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, გადავიქცეთ რეგიონალურ სამრეწველო ჰაბად და როგორც უკვე აღვნიშნე, სიღარიბის დაძლევის უალტერნატივო გზა სწორედ ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე გადის.

აქედან გამომდინარე, მიზანშწონილი იქნებოდა ამ ტიპის წმინდა ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისათვის დაწესდეს სპეციალური შეღავათიანი რეჟიმი, როგორც საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის, თუნდაც „აწარმოე საქართველოს“ პროგრამების ფარგლებში, ასევე მაღალტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების იმპორტის დაბეგვრის კუთხით.

1.10. ინვესტიციების სტრუქტურა

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, რომელიც ეკონომიკური ზრდის და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარი წყაროა, დაზუსტებული მონაცემებით, 2017 წელს ისტორიულ მაქსიმუმს $1.86 მლრდ-ს მიაღწია, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 16.2%-ით აღემატება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს საინვესტიციო კლიმატის მიმზიდველობას. 2012-2017 წლებზე უკეთესი საინვესტიციო ფონი,

რაც დიდწილად განპირობებული იყო პოლიტიკური და ფინანსური სტაბილიზაციით, არასდროს გვქონია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება, ეკონომიკური ზრდის პოზიტიურ დინამიკაზე მიუთითებს. მშპ-ის სტრუქტურის ფორმირების თვალსაზრისით მეორე მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი მშპ-ში(**დიაგრამა №15**.)

2016 წლის მიხედვით, საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი 4.59 %-ს შეადგენდა. მსოფლიოში, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა უნგრეთს-54.61% და ლუქსემბურგს-45.81%, ირლანდიას-26%, ხოლო რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი-11%.

დიაგრამა №15. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანაფარდობა მშპ-სთან, ევროკავშირსა და რეგიონში, პროცენტებში, 2016.



წყარო:theglobaleconomy.com, საქსტატი

2012-2013 წლებში წმინდა უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 1 მლრდ დოლარის ფარგლებში იყო, შესაბამისად,ინვესტიციების თანაფრდობა მშპ-სთან თუ 2012 წელს იყო, 6.4 %, 2015 წელს გაიზარდა 11.7 %-მდე, ხოლო 2017 წელს -12.5 %. რეგიონალურ ჭრილში ასევე უნდა გამოიყოს აზერბაიჯანი-11.37 % და ყაზახეთი-12.3%. შედარებისათვის ბალტიის სახელმწიფოებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი მშპ-ში საშუალოდ 2 %, სასომხეთში-3%, ხოლო თურქეთში კიდევ უფრო ნაკლები-1.4%-ია.

სხვა თანაბარ პირობებში, სწრაფი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის, საქართველოში საშუალო ვადიან პერიოდში წელიწადში სულ მცირე 3 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია(პუი) უნდა შემოვიდეს, რაც დღეს არსებული მშპ-ის 13%-ის ნაცვლად, 18-20 %-ს იქნებოდა. თუ ბოლო წლების სტატისტიკას ვნახავთ, ყველაზე მეტი ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა - 3.2 მილიარდი დოლარი. ეს სექტორი პირველ ადგილს მილსადენ ტრანსპორტში ჩადებული ინვესტიციების გამო იკავებს. მეორე ადგილზე ენერგეტიკაა 1.8 მილიარდი დოლარით. ენერგეტიკის სექტორში ჩადებული ინვესტიციები ძირითადად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას უკავშირდება. 1997-2016 წლებში ყველაზე ცოტა პუი სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელდა - 134 მლნ დოლარი (წლიურად საშუალოდ 6.7 მლნ დოლარი).

2016 წლის მონაცემებით, სექტორების მხრივ ლიდერობას ისევ ტრანსპორტი ინარჩუნებს. გასულ წელს განხორციელებული პუი-ების 40% (658 მლნ დოლარი) სწორედ

ტრანსპორტის სექტორზე მოდის. მეორე ადგილზე მშენებლობაა 163.5 მლნ დოლარით, ხოლო მესამეზე - საფინანსო სექტორი 136 მლნ დოლარით. ჩამონათვალს ისევ სოფლის მეურნეობა ასრულებს 10 მლნ დოლარით.

2016 წელი გამორჩეული იყო იმ მხრივ, რომ ჯამური პუი-ების 32% რეინვესტირებული მოგებაა. 2012-2015 წლებში რეინვესტიციის წილი საშუალოდ 17% იყო და 32%-ს არც ერთ წელს არ მიუღწევია. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე გადასვლა ამ კუთხითაც არის საინტერესო, რაც მომავალში ამ მაჩვენებელს კიდევ უფრო გაზრდის.

როგორც ვნახეთ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, საქართველო არა თუ რეგიონის, არამედ ევროპის ქვეყნების დონეზეც, მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება. ბოლო წლებში შემოსული პუი-ს მოცულობა საშუალო მოცულობად შეიძლება მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არა ვართ ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყანა, საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას სძენს პირველ რიგში გეოგრაფიული მდებარეობა. სწორედ ამ გარემოების დამსახურებაა ის, რომ ყველაზე მეტი ინვესტიცია ტრანსპორტის სექტორში შემოდის. ასევე უნდა ავღნიშნოთ ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი (განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის არარსებობა. ასევე, ბიზნეს გარემოს მიმზიდველობის გასაზრდელად, ჩვენ გვჭირდება მეტი სახელმწიფო ინვესტიცია განათლებაში.

საფოდო ბაზრის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ექნება ინვესტიციების ზრდის თვალსაზრისითაც. როგორც ავღნიშნეთ, გასულ წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2 მლრდ აშშ დოლარს მიუახლოვდა, რაც მშპ-ის 13 %-ია, და საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე მეტია. შედარებისათვის ბალტიის სახელმწიფოებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი მშპ-ში საშუალოდ 2 %, სასომხეთში-3%, ხოლო თურქეთში კიდევ უფრო ნაკლები-1.4%-იყო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივე თურქეთში წმინდა უცხოური ინვესტიციები გაცილებით მეტია, განსაკუთრებით პორთფელური ინვესტიციების სახით, რაც ფასიან ქაღალდებშია ინვესტირებული, ხოლო სტამბულის საფონდო ბაზარი რეგიონში ერთ-ერთ უმსხვილეს საბაზრო მოედანს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ინვსეტიციების არსებული სტუქტურა ტრანსფორმაციას საჭიროებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდელიდან პორთფელური ინვესტიციების მიმართულებით, რაც საფონდო ბაზრის განვითარების სატატეგიას კიდევ უფრო აქტუალურს ხდის.

1.11. საერთაშორისო რეიტინგები

გასული წლის ბოლოს ავტორიტეტულკიდევ მა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba3-დან Ba2-მდე გააუმჯობესა, ხოლო მდგომარეობა კვლავ სტაბილურით შეაფასა, ცნობისათვის აქვე განვმარტავ, რომ Ba შეფასებისას მაღალია საკრედიტო რისკი. აღსანიშნავია, რომ სარეიტინგო კომპანიამ ქვეყნის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ბოლოს (Ba3) 2010 წლის ოქტომბერში გააუმჯობესა ანუ მთელი 7 წლის წინ. მსოფლიოში ერთ-ერთი აღიარებული საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის მიერ ქვეყნის სუვერენული რეიტინგის ერთი საფეხურით გაუმჯობესების მიზეზად 2014-2016 წლებში რეგიონში განვითარებული შოკის წარმატებულად დაძლევა სახელდება. აღნიშნული ადასტურებს, რომ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია პოზიტიურად აფასებს ქვეყნის განვითარების სამომავლო პერსპექტივას.მოხსენების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2019 წელს, 8,5 პროცენტამდე შემცირდება, ექსპორტითა და ტურიზმით მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

2018 წლის მარტში კომპანია Fitch-მა BB- სტაბილურიდან BB- პოზიტიურზე გააუმჯობესა რეიტინგის პერსპექტივა, ხოლო აგვისტოში იგივე მაჩვენებელზე დატოვა. სარეიტინგო კომპანია პოზიტივად ასახელებს ფისკალური დეფიციტის მიმართულებით მიმდინარე მდგომარეობასაც და მათი პროგნოზით, 2018-2019 წლებში დეფიციტი არსებული 3.5% დან 2.6%-მდე შემცირდება, რაც "BB" ქვეყნების მედიანური მაჩვენებლების მსგავსია; დადებითად არის განხილული ასევე ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო, რაც „BB" კატეგორიის ქვეყნების მედიანურ მაჩვენებელზე მაღალია, პოზიტიურად არის შეფასებული საბანკო სექტორში არსებული მდგომარეობაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც ლარიზაციის კუთხით შემცირებულია არა მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში 65.2% დან 55.3%-მდე, არამედ დეპოზიტების დოლარიზაციაც, რაც 71% და 62.4%-მდეა შემცირებული. პოზიტიურად არის შეფასებული ინფლაციის არსებული მაჩვენებელი, ხოლო მიმდინარე წლის პირველი 6 თვის მონაცემების მიხედვით, ეკონომიკურმა ზრდამ 5.5 % შეადგინა, რაც განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებშიც კი მაღალი მაჩვენებელია. შედარებისათვის, BB ჯგუფის რეიტინგის მქონე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, რომელშიც საქართველოც შედის, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რადგან ამ ქვეყნებში ეკონომიკის ზრდის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი, 3.5%–ზე ფიქსირდება.

Fitch-ის მიერ გამოქვეყნებულ საქართველოს რეიტინგის შეფასებაში დადებითი წვლილი შემდეგმა ფაქტორებმა შეიტანა: მაღალი ეკონომიკური ზრდა, მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ფისკალური მდგრადობის გამყარება და ლარიზაციის კუთხით არსებული მნიშვნელოვანი პროგრესი. ანგარიშში პოზიტიურად არის შეფასებული სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა და აღნიშნულია პროგრამის წარმატებული მიმდინარეობა. სააგენტოდ შეფასებით, მიმდინარე პროგრესი მიზნების შესაბამისია და მიზნად ისახავს ფისკალური სექტორის შემდგომ გაუმჯობესებას, რაც გააუმჯობესებს სტრუქტურულ ინდიკატორებს და წაახალისებს ინვესტიციებსა და დანაზოგებს. საქართველოს ეკონომიკის ძირითად სისუსტეებად მიიჩნევა მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი და საგარეო ვალი, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ.საერთაშორისო რეიტინგების გაუმჯობესება არის თავისებური სიგნალი უცხოური ინვესტიციებისათვის, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების თვალსაზრისით და ამავდროულად, ზრდის კომერციული ბანკების ხელმისაწვდომობას საკრედიტო რესურსების საერთაშორისო ბაზრებზე. მაღალი საპროცენტო სპრედის შემცირება, სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველო ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში დაწინაურდა. 2018 წლის მონაცემებით, ჩვენი ქვეყანა 59-ე ადგილს იკავებს, წინა წელთან შედარებით მაჩვენებელი 9 საფეხურით გაუმჯობესდა.

საქართველო ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში რეგიონის მასშტაბით პირველ ადგილს იკავებს. ინოვაციების გლობალური ინდექსი 2012 წლიდან ყოველწლიურად ქვეყნდება. მისი მიზანია, ინოვაციების მიმართულებით მსოფლიო ტენდენციების ჩვენება. იგი ასევე ცდილობს წარმოაჩინოს ის მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია გრძელვადიანი ზრდის, პროდუქტიულობისა და სამუშაო ადგილების ზრდის მიღწევა. ინოვაციების გლობალური ინდექსი ეხმარება და რჩევებს აძლევს ქვეყნებს, თუ რა არის საჭირო ინოვაციების გასავითარებლად აუცილებელი პირობების/გარემოს შესაქმნელად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა სხვა ქვეყნებზე მეტად მიმზიდველი ბიზნესგარემო გქონდეს. ქვეყნების ბიზნესგარემოს რამდენიმე გავლენიანი ორგანიზაცია იკვლევს და, ინდექსებზე დაყრდნობით, შესაბამის რეიტინგებს აქვეყნებს. თუმცა აღნიშნულ რეიტინგებს შორის გამოვყოფ ბიზნესის კეთების სიმარტივის (Doing business) და ეკონომიკური თავისუფლების (ჰერიტაჯის ინდექსი) რეიტინგებს. პირველ

რეიტინგში საქართველო მე-16 ადგილზე (რეგიონში მე-3), ხოლო მეორეში მე-13 ადგილზეა (რეგიონში მე-5). მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო მსოფლიოში მე-13 ადგილზეა, ამ ინდექსის ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმით - საკუთრების უფლების დაცვით პროგრესი ნამდვილად გვჭირდება, საქართველო მსოფლიოში 77-ე ადგილზეა. ყველაზე დაბალი ქულაც (100-დან 55) აღნიშნულ კრიტერიუმში გვაქვს.

მიგვაჩნია, რომ დღეს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია სავსებით სამართლიანად აღებულია გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების გაჩენაზე. იგი ასევე აჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა და პერსპექტივები აქვს ჩვენნაირი პატარა ეკონომიკისთვის საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაციის ხარისხს, რადგან თუ ვაჭრობის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობას ექნება სტაბილური და ამასთანავე პროგრესირებადი ხასიათი, იგი ქვეყნის ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და რაც ჩვენი ქვეყნისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, კიდევ ერთი მნიშვნელოვან კომპონენტს, უსაფრთხოების გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

ჩვენ ვხედავთ, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი პირველ დადებით შედეგებს უკვე იძლევა. საქართველოს პროგრესზე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) დადებითი გავლენა, პირველ რიგში, ასახულია ვაჭრობის სტატისტიკაზე - მიმდინარე წლის იანვარი-აპრილის მონაცემებით, ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 25.7% და შეადგინა 1 0701.1 მლნ. აშშ დოლარი.ევროკავშირი დღესდღეობით წარმოადგენს საქართველოს პირველ სავაჭრო პარტნიორს.

დღეს ჩვენ გვაქვს კარგი სასტარტო პირობები საინვესტიციო ნაკადების კიდევ უფრო გასაზრდელად და შესაბამისად უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. უსაფრთხოების ინდექსის 2017 წლის მონაცემების მიხედვით, 125 ქვეყანას შორის საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყნების ათეულშია და მეშვიდე ადგილს იკავებს, ხოლო უსაფრთხოების ინდექსის 2016 წლის შუალედური მონაცემების მიხედვით, 125 ქვეყანას შორის საქართველო სულაც მესამე ადგილზეა. შედარებისათვის, ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან, უსაფრთხოების ინდექსის მიხედვით, უკრაინა 85-ე ადგილზეა, თურქეთი 55-ზე, რუსეთი 67-ზე, აზერბაიჯანი 18-ზე, ხოლო სომხეთი 19-ზე.

1.12. ეკონომიკის ციფროვიზაცია

ელექტრონული კომერციის, ორგანიზაციული პროცესების კომპიუტერიზებული მართვისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ზრდის ტემპი მსოფლიოში ძალიან სწრაფია, ის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი სტიმულატორია.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ დაგვიანება კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს ჩამორჩენას განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებთან, დღეს ელექტრონული კომერციის, ორგანიზაციული პროცესების კომპიუტერიზებული მართვისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ზრდის ტემპი მსოფლიოში ატარებს მზარდ ტენდენციას და ეკონომიკური განვითარების მთავარი ვექტორია. როდესაც ხაზი ესმება ინკლუზიური ზრდის მნიშვნელობას, ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება, სწორედ ციფრული ეკონომიკის პრინციპზე და პირველ რიგში ბლოკჩეინ ტექნოლოგიებზე გადასვლას, რაც კიდევ უფრო გაზრდის ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობას, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარების ხელშეწყობით. აღიარებულია, რომ ციფროვიზებული გარემო გენერირებს მცირე და საშუალო ინტერნეტ-კომპანიების წარმოქმნასა და განვითარებას, რასაც ქვეყნის ეკონომიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. ევროკომისიის

მონაცემებით, ევროპაში მცირე და საშუალო ბიზნესი სამუშაო ადგილების 2/3-ს ქმნის და ევროპის ბიზნესის 90%-ს წარმოადგენს.

ქვეყნები, რომლებიც ციფროვიზაციის მოწინავე სტადიაზე არიან, იღებენ 20%-ით მეტ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე ციფროვიზაციის დასაწყის გზაზე მყოფი ქვეყნები. ციფროვიზაცია გენერირებს 3-ჯერ მეტ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე ფართოზოლოვანი ჩართვა. ციფროვიზაცია, როგორც ეკონომიკის დამაჩქარებელი 4.7-ჯერ უფრო მძლავრია, ვიდრე მშპ-ის ერთ სულზე ფართოზოლოვანი კავშირის 0.16%-იანი ზემოქმედება. ასევე ქვეყანაში ციფროვიზაციის 10%-იანი ზრდა იწვევს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის 0.75%-იან ზრდას. ციფროვიზაციას პოზიტიური კონტრიბუცია შეაქვს სამუშაო ადგილების შექმნაში, ციფროვიზაციის 10%-იანი ზრდა უმუშევრობის დონეს ამცირებს 0.84%-ით.

სხვა კვლევებით ეს მაჩვენებელი 1.02%-ია, ეს კი 4.6-ჯერ მეტია, ვიდრე ინტერნეტის ფართოზოლოვანი კავშირის დანერგვით უმუშევართა დონის შემცირება. ფართოზოლოვანი კავშირი უმუშევართა დონეს ამცირებს 0.22%-ით. ციფროვიზაცია, ეკონომიკური სტიმულირებისა და დასაქმების მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საილუსტრაციოდ მოყვანილია მსოფლიოს ტენდენცია. კერძოდ, ციფროვიზაციამ ხელი შეუწყო 192.6 მლრდ დოლარის პროდუქციის გამოშვებას და 6 მლნ სამუშაო ადგილის შექმნას. სადაც მხოლოდ ლათინური ამერიკის, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის რეგიონში შეიქმნა 4 მლნ-ზე მეტი სამუშაო ადგილი, ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის რეგიონში დასაქმების ზრდა მცირე იყო.

სოციალური მედია, მობილური ვებ-სერვისები, კომპიუტერული ქლაუდ- სისტემები და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიზნესის მართვის იმ ფორმებს, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში ინერგება. ერთეული ორგანიზაციების, ინდუსტრიებისა ან სულაც ქვეყნების წინაშე დგას არჩევანი – გაითავისონ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სიკეთე თუ ზრდის ტემპი შეანელონ და არაკონკურენტულ ერთეულებად იქცნენ. ბოლო რამდენიმე წელიწადში 500,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შტატებში, მობილური აპლიკაციების ინდუსტრიაში შეიქმნა. ევროპის ქვეყნები ჯერ კიდევ მიმდევრის პოზიციაში არიან. ციფრული ეკონომიკის პრინციპები სრულფასოვნად, ევროპული ორგანიზაციების მხოლოდ 2%-ს აქვს დანერგილი, 41% სრულიად არაციფრულია, არ გამოიყენება ორგანიზაციული მართვის კომპიუტერული სისტემები, საქმის წარმოება არა ვირტუალურ, არამედ ძირითადად რეალურ დოკუმენტბრუნვაზეა დამყარებული.

საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა ბოლო 20 წელიწადში გაიზარდა 4%-დან 40%-მდე, კომპანიებს რომლებსაც აქვს ბიზნესის უზრუნველყოფის ძლიერი სისტემა და ამავდროულად ახალ ტექნოლოგიებში ახორციელებს კაპიტალდაბანდებებს, კონკურენტუნარიანობა 35%-დან 74%-მდე იზრდება. ცვლილებებს ხელს უწყობს ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა: მობილური ტექნოლოგიები, თანამშრომლობის ინსტრუმენტები- cloud computing, business intelligence და სოციალური მედია.

აღსანიშნავია, რომ ევროპის მასშტაბით, 2020 წელს, ციფრულ ეკონომიკაში იმუშავებს დამატებით 5 მილიონი ადამიანი; 2020 წელს 50 მილიარდი უკაბელო მოწყობილობა დაუკავშირდება ერთმანეთს, ეს კი 15-ჯერ გაზრდის გადაცემული ინფორმაციის მოცულობას;

აქედანაც ჩანს, თუ რამხელა შესაძლებლობებს იძლევა მაღალტექნოლოგიური სფერო ახალი თაობისთვის, თუ გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი ისედაც მაღალია: საბერძნეთი – 55%, ესპანეთი – 52%, ევროპის სხვა ქვეყნებში საშუალო მაჩვენებელი – 20-22%-ია, საქართველოში – 31%-ია. ახალგაზრდბში მაღალი უმუშევრობა იწვევს მათ გადინებას ქვეყნიდან და ასევე ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, ასევე ეკონომიკურ ზრდაზე მთლიანად. ევროკომისიის

გაანგარიშებით, ევროპული ქვეყნების მიერ შვედეთის ან აშშ-ის მაგალითის ‘‘ანარეკლის პრინციპით‘‘ დანერგვა დამატებით 1,500,000 სამუშაო ადგილს შექმნიდა. პრინციპი გულისხმობს საკანონმდებლო ბაზის მომზადებას, განათლების რეფორმას, ცნობადობისა და სწავლების კომპონენტის გაძლიერებას, ციფრული მეწარმეობის მხარდაჭერას.

ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად, მცირე ბიზნესის ზრდის ტემპი საშუალოდ 3-ჯერ მაღალია, თუ ორგანიზაცია ციფრული ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობს. მაღალი კონკურენციიდან და კაპიტალის სიმცირიდან გამომდინარე, მცირე ბიზნესერთეულების მხოლოდ 10% რჩება ბაზარზე, კომერციალიზაციიდან 3 წლის შემდეგ. მცირე ან საშუალო ზომის კომპანია, რომელსაც სურს ცნობადობის ამაღლება, გაყიდვების სტიმულირება ან ზოგადად, კომპანიის პოზიციონირება, დგება არჩევანის წინაშე – კომპლექსურად გამოიყენოს ტრადიციული, ძვირად ღირებული მედიასაშუალებები თუ უპირატესობა მიანიჭოს მხოლოდ სოციალურ მედიას და ამ გზით მისწვდეს იმ აუდიტორიას, ვისთანაც სურს კომუნიკაცია; ანუ დახარჯოს მინიმალური რესურსი და უწყვეტ რეჟიმში აკონტროლოს მომხმარებლის აზრი მისი კომპანიის შესახებ. სოციალური მედია ზოგავს თანხებს, იკავებს ფართო აუდიტორიას, ახდენს სწორ პოზიციონირებას და მარკეტინგული კვლევის ერთგვარ ალტერნატივასაც კი წარმოადგენს. კომპანიებმა, რომელთაც გაააქტიურეს სოცმედია-პლატფორმა, 20-22%-ით გაზარდეს გაყიდვები.

მიგვაჩნია, რომ არსებული სასტარტო პირობები თავისუფლად იძლევა იმის შესაძლებლობას, სწორი სტრატეგიის შემთხვევაში ქვეყანამ მნიშვნელოვანი გარღვევა გააკეთოს. ამ თვალსაზრისით, დღეს კიდევ უფრო იზრდება მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის (ტექნოლოგიური პარკი) დატვირთვა, რომელმაც უნდა შექმნას ერთიანი ეკოსისტემა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და ხელი შეუწყოს ინოვაციური იდეების განვითარებას. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ტექნოლოგიური პარკი იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის გაზრდა და მათი განვითარება უზრუნველყოს, საქართველოში დაფუძნდეს უცხოური მაღალტექნოლოგიური კომპანიების წარმომადგენლობები და დამატებით მოზიდულ იქნეს უცხოური ინვესტიციები. ტექნოლოგიური პარკი დამწყებ და პატარა კომპანიებს შესთავაზებს ისეთ რესურსებს, რომლებიც მათთვის აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი იყო. ამასთან, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ თანადაფინანსების სხვა, უფრო მოქნილ მექანიზმებზეც, განსაკუთრებით მცირე საწარმოებისათვის. ტექნოპარკში თანამონაწილეობა 10%-ია, საბანკო გარანტიის სახით, სხვადასხვა ღირებულების აქტივები თანამონაწილეობაში არ ითვლება. ტექნოპარკი მომავალში განსაკუთრებულ როლს ითამაშებს ახალი ბიზნესისა და ახალი კომპანიების შექმნაში, არსებული ბიზნესის განვითარებაში, ინოვაციების კომერციალიზაციასა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნაში. მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი მოიცავს როგორც მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ასევე დიდ ოფისებს კომპანიებისათვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეს.

2016 წლის მეორე ნახევრიდან ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველო" დაიწყო. სტარტაპ საქართველო" სს „საპარტნიორო ფონდის" მიერ დაფუძნდა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს დამწყები ბიზნესის (სტარტაპების) განვითარებას საქართველოში. „სტარტაპ საქართველო" ეკონომიკური რეფორმის ნაწილია, რომელიც თავის მხრივ სამთავრობო 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. პროექტში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ვისაც სიახლეზე ორიენტირებული და პერსპექტიული ბიზნესწინადადება აქვს და მისი განხორციელებისთვის საწყისი დაფინანსება სჭირდება. „სტარტაპ საქართველოსგან" თანადაფინანსების ოდენობა განსაზღვრულია 15,000 ლარიდან 100,000 ლარამდე, მას აქვს როგორც ინოვაციური, ასევე მაღალტექნოლოგიური კომპონენტი(ხელოვნური ინტელექტი, ნანო ტექნოლოგიები,

ინფორმაციული ტექნოლოგიები, რობოტიკა და ა.შ), ხოლო განმცხადებლის ფულადი თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს პროექტის მთლიანი ფულადი ბიუჯეტის სულ მცირე 10%–ს. მართალია, პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან 11 მილიონ ლარი გამოიყო, რაც მხოლოდ დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ სამომავლოდ, ბიუჯეტი, სასურველია თუ მნიშვნელოვნად გაიზრდება, სულ მცირე, 50 მილიონ ლარამდე. მიმდინარე წლის ივნისის მდგომარეობით „სტარტაპ საქართველოს" პროგრამის ფარგლებში 91 გამარჯვებული პროექტია გამოვლენილი. 71 ინოვაციური პროექტიდან, 42 იდეა უკვე სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდა.

ციფრული ეკონომიკა ეს არის კაცობრიობის ტექნოლოგიური და შემეცნებითი ევოლუცია და მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. უმსხვილესი ესპანური საბანკო -საფინანსო ჯგუფის BBVA მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, შეფასებულია ციფროვიზაციის ინდექსი (DiGiX) 100 ქვეყნის მაგალითზე. (DiGiX) აფასებს ფაქტორებს, აგენტების ქცევასა და ინსტიტუტებს, რომლებიც საშუალებას მისცემს ქვეყანას სრულად გამოიყენოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICTs) გაზრდილი კონკურენტუნარიანობისა და კეთილდღეობისათვის. ეს არის 100 ქვეყნის ციფრული ინდექსი.

DiGiX ინდექსი გამოითვლება ექვსი კომპოზიტის გარშემო: 1. ინფრასტრუქტურა(3G და მეტი სიმძლავრის დაფარვის ინტერნეტი, გამტარინარიანობა(ბაიტი/წმ), უსაფრთხო ინტერნეტ სერვერები 2. მომხმარებელთა მიერ ინტერნეტის გამოყენება(შინამეურნეობების მიერ ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენება) 3. საწარმოების მიერ ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენება(ბიზნესურთიერთობებში და მომხმარებელთა ურთიერთობისას), 4. ხარჯები(ფიქსირებული ინტერნეტის და სატელეფონო) 5. რეგულირება(კანონები, რომლებიც ეხება საინფორმაციო ტექნოლოგიებს, პროგრამული დაცულობის დონე, სასამართლო დამოუკიდებლობა,სამართლებრივი სისტემის ეფექტურობა დავის მოგვარებაში და 6. ციფროვიზაციის კონტექსტი(ელექტრონული მთავრობის დონე, მთავრობის ონლაინ სერვისის ინდექსი).

როგორც ვხედავთ თითოეული კომპოზიტი ცალკე ინდიკატორებად არის გაყოფილი. მაქსიმალური ქულა არის 1, ხოლო მინიმალური-0. მეორე, არის ციფრული ეკონომიკისა და სოციალური ინდექსი(DESI), რომელიც ევროკომისიის მიერ შემუშავებული ინდექსია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის, რომელიც აჩვენებს ევროპის სახელმწიფოების შესაბამის მაჩვენებლებს ციფრული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაში. DiGiX 2016 წლის ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ანუ მაქსიმალური მაჩვენებელი ჰქონდა ლუქსემბურგს-1, ხოლო მინიმალური ალჟირს-0. მეორე ადგილზე დიდი ბრიტანეთია-0.97, შემდეგ მოდის ჰონგ-კონგი (0.95), ამერიკის შეერთებული შტატები (მე -4 ადგილი, 0.92) და ნიდერლანდები (მე-5 ადგილი, 0.90). 0.90-0.70-ის ფარგლებში 15-ზე მეტი ქვეყანაა(იაპონია, სინგაპური, ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ისლანდია, ახალი ზელანდია, გერმანია, სამხრეთ კორეა,საფრანგთი და ა.შ), რომლებიც არიან ლიდერი ქვეყნები და განსაზღვრავენ ტექნოლოგიურ ტენდენციებს მსოფლიოში. ამ მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე მაღალი ქულები წარმოადგენს ციფრულ ეკონომიკის თავისებურ ზედა ზღვარს. ეს არის დინამიური კონცეფცია, რომელიც საშუალებას იძლევა შევადაროთ ქვეყნების ტექნოლოგიური დონე ერთმანეთთან.

დიაგრამა №16. ეკონომიკის ციფროვიზაციის ინდექსი, ევროკავშირსა და რეგიონში.



წყარო: BBVA

საქართველო აღნიშნულ რეიტინგში 0.40 ქულით 62-ე ადგილს იკავებს და გადის საშუალო დონის 0.50-0.40 ქულიან ქვეყნებში. რეგიონში ჩვენზე მაღალი მაჩვენებელი აქვს თურქეთს-0.50 ქულა, ყაზახეთს-0.47, რუსეთის ფედერაციას-0.45, აზერბაიჯანს-0.44 და რუმინეთს-0.43. ჩვენი დონის მაჩვენებელი აქვს სასომხეთს და გაცილებით დაბალი მოლდოვას-0.33 და უკრაინას-0.22. სამაგიეროდ, ჩვენ ვუსწრებთ ევროკავშირის ისეთ ქვეყნებს როგორიცაა ბულგარეთი-0.33, სერბეთი-0.31 და ალბანეთი-0.26 (**დიაგრამა 16**).

მიგვაჩნია, რომ ციფრული სამეწარმეო კულტურის გაძლიერება მნიშვნელოვანი ქმედება იქნება სახელმწიფოს მხრიდან და იგი სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს. საქართველოში არსებული საკანონმდებლო, ტექნოლოგიური თუ ადამიანური ბარიერი, როგორც მენტალური, ისე განათლების დონის თვალსაზრისით, აფერხებს ციფრული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის შესაძლებლობებს. არადა საერთაშორისო გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ციფრული ეკონომიკა ქვეყნის მშპ-ის ზრდის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან გზას წარმოადგენს. ევროკომისიის მიერ რეკომენდებული აქტივობების თანმიმდევრულად გატარების შემთხვევაში, ციფრული ეკონომიკის 10-15 % ზრდა საკმაოდ რეალისტური მიზანია საქართველოსთვის. ცნობისათვის, განვითარებადი ქვეყნების ციფრული ეკონომიკის ზრდის ყოველწლიური საშუალო მაჩვენებელი 18%-ს აღწევს. განვითარებული ქვეყნების შემთხვევაში კი საშუალოდ 8%-ს.

ბენჩმარკისთვის შეგვიძლია განვიხილოთ სილიკონის ველის, როგორც ინოვაციური ეკოსისტემის ტრენდსეტერის შემთხვევა: სილიკონის ველი ქმნის სტარტაპ-ეკოსისტემას არა მხოლოდ კალიფორნიაში, არამედ აშშ-ში მთლიანად და ამას საჯარო სექტორის ფრთხილი,

შერჩევითი ჩართულობის ფონზე ახორციელებს. სტენფორდის უნივერსიტეტის პოზიციონირება და მათი სამეწარმეო საქმიანობაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის არსებობა პოზიტიურად აისახება სან-ფრანცისკოს ყველაზე ინოვაციურ სივრცეზე, სადაც ინოვატორი კურსდამთავრებულები ახალი იდეებით იპყრობენ სილიკონის ველს. ამასთან, კალიფორნიის საგადასახადო სისტემა არ არის მომართული ინოვაციების ხელშეწყობასა და ფინანსების ხელმისაწვდომობაზე, შესაბამისად, ის ჯერ კიდევ სრულყოფის პროცესშია. განსაკუთრებით დამაჯერებლად ჟღერს მომავალში საქართველოში ციფრული ეკონომიკის წარმატება, თუ განვიხილავთ ბერლინის მაგალითს, სადაც დაბალი საცხოვრებელი ხარჯის გამო, მაღალტექნოლოგიურ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები ემიგრირებენ. ქვეყანა მათთვის განსაკუთრებულ საგადასახადო შეღავათებს აწესებს იმ შეთხვევაში, თუ სპეციალისტები ინოვაციურ ბიზნესს წამოიწყებენ.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ “გაციფრულება‘‘ არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მაღალტექნოლოგიური სტარტაპების გაჩენას ბაზარზე. მთავარია, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ყველა შესაძლო სექტორში მოხდეს. ბარიერები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს, აერთიანებს განათლებაში გასატარებელ რეფორმას, ციფრული სამეწარმეო კულტურის არარსებობასა და რიგ რეგულაციებს, რომელთა მოგვარება სახელმწიფოს აქტიური ჩართულობითაა შესაძლებელი.

თავი 2. საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები

2.1 საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები

დღეს საქართველოში 16 კომერციული ბანკი მოქმედებს, 134 ფილიალით და 877 სერვისცენტრით, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონში, ბუნებრივია, თუ არ ჩავთვლით ოკუპირებულ რეგიონებს. ბოლო წლებში ერთი მხრივ, ბანკების რაოდენობის შემცირება და მეორე მხრივ, დეპოზიტებისა და სესხების ზრდა და, რაც მთავარია, საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება გვიჩვენებს, რომ საბანკო სექტორში კონკურენციისთვის გადამწყვეტი არა ბანკების რაოდენობა, ან მათი ავტომატურად შემცირება, არამედ არსებული ბანკების განვითარების დონე და დინამიკაა.

მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი საბანკო სექტორისადმი ნდობის შენარჩუნებისა და კიდევ უფრო მეტი განვითარებისთვის. მოგეხსენებათ, რომ გასულ წლებში ბანკების ნაწილი გაიყიდა, ნაწილი სხვა ბანკებს მიუერთდა, ზოგის ლიკვიდაცია განხორციელდა, მაგრამ ეს პროცესები ისე წარიმართა, რომ მეანაბრეები არ დაზარალებულან. ამასთან, ჩვენ არ გვქონია, რაიმე სერიოზული საბანკო კრიზისი.

რაც შეეხება სისტემის მდგრადობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მდგრადობის თვალსაზრისით, ბოლო ათწლეულში, მთავარი გამოწვევა იყო 2008-2009 წლების ზარალიანი ტრენდის დაძლევა, რაც 2009 წლის ბოლოს სისტემის 65 მილიონიან ზარალში აისახა, 2009 წელი საბანკო სექტორისათვის უმძიმესი გამოდგა, რაც როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაკავშირებული იყო გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან და რუსეთ საქართველოს სამხედრო კონფლიქტთან. მართალია, ქვეყანამ მიიღო სოლიდური საერთაშორისო დახმარება, მაგრამ საბანკო სექტორზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა 2008 წლის ბოლოდან მოყოლებული, ვადაგადაცილებული სესხების ზრდის ტენდენცია, რაც გამოწვეული იყო 2006-2008 წლებში საცალო დაკრედიტების თავისებური „ბუმით“ და პრობლემური სესხების, მათ შორის, განსაკუთრებით სამაჩაბლოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების და მცხოვრები ფიზიკური პირების სესხების ამორტიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ხარჯების მკვეთრი ზრდით, რამაც საბოლოო ჯამში სისტემის ზარალზე გასვლა გამოიწვია.

2012-2017 წლებმა ნათლად აჩვენა, რომ საბანკო სისტემის განვითარების ზოგადი ტენდენციები, მიუხედავად არსებული პრობლემებისა და სერიოზული გამოწვევებისა, მთლიანობაში მაინც დადებითად უნდა შეფასდეს. ამის თქმის საფუძველს იძლევა საერთაშორისო სვალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის დადებითი შეფასებები და თავად საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესები, პირველ რიგში ბაზელი 3-ის მეტრიკაზე გადასვლა, და ახალი საბანკო რეგულაციები, რაც უახლოეს წლებში რისკების შემცირებასთან ერთად და საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობას გაზრდის.

რაც შეეხება დოლარიზაციის მაჩვენებელს, იგი სარეკორდო 2003 წელს იყო, როდესაც მისი მაჩვენებელი სესხებზე საშუალოდ 86%-ს შეადგენდა. შემდეგ წლებში დოლარიზაცია შემცირდა, განსაკუთრებით 2008 წლის გლობალური კრიზისის შემდგომ პერიოდში, რაც დაკავშირებული იყო 2008-2010 წლებში გლობალური შოკების ზეგავლენიდან გამომდინარე, ბიზნეს სესხების და იპოთეკური დაკრედიტების ტემპების შენელებით, სადაც დოლარიზაცია ტრადიციულად მაღალია. ეს ტენდენცია შემდგომ წლებშიც გაგრძელდა უკვე საცალო დაკრედიტების მკვეთრი ზრდის და სამაგიეროდ, ბიზნეს დაკრედიტების შენელებიდან გამომდინარე.

2012 წელს სესხების დოლარიზაცია 67 %-ის ფარგლებში მერყეობდა. მიუხედავად კლებისა, ის მაინც მაღალ ნიშნულზე რჩებოდა, რაც აისახა კიდეც 2014-2016 წლებში გლობალური შოკების ზეგავლენაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში დალარიზაციის დონე კიდევ უფრო შემცირდა და თუნდაც 2015 წელს- 65.2 %, ხოლო 2016 წელს კიდევ უფრო

ნაკლებს -63.6 %-ს შეადგენდა. მაღალდოლარიზებული ეკონომიკა ატარებს მაღალ სავალუტო რისკებს, რომლის დაზღვევა არა თუ მცირე და საშუალო ბიზნესს, არამედ ხშირად მსხვილ ბიზნესსაც კი უჭირს. ჩვენ ვნახეთ, რომ თუნდაც 2014-2016 წლებში განვითარებული შოკებისას, ძალზე ბევრი მცირე საწარმო სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ან სულაც დაიხურა. დოლარიზაციის შემცირება 2017 წელს დაიწყო და გაგრძელდა მიმდინარე წლის პირველ ნახევარშიც. ლარიზაციის პროგრამის მიზანი ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერაა, სალარე სესხებზე მოთხოვნის სტიმულირებით, რაც საბოლოო შედეგში სალარე რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას და მოხმარების სტიმულირებას ითვალისწინებს, როგორც სალარე სესხების ვადიანობის დაგრძელების, ისე საპროცენტო განაკვეთების შემდგომი შემცირების მიმართულებით. ზღვარი, რომლის ფარგლებში კრედიტის ლარში აღება სავალდებულო გახდება, არსებული 100 ათასიდან 200 ათას ლარამდე იზრდება და აღნიშნული რეგულაცია ლიზინგზეც გავრცელდება, ამასთან, თუ მოქმედი რედაქციის თანახმად, შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ ფიზიკური პირისაგან ლიზინგის საზღაურის ფასის მიღებაზე და ფიზიკურ პირზე საბანკო კრედიტის გაცემაზე, ცვლილებების შედეგად, აღნიშნული პოლიტიკა გავრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

2015 წელთან შედარებით 2017 წელს დაწყებული ლარიზაციის სტრატეგიის შედეგად, შემცირებულია არა მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში 65.2 % დან 51.7 %-მდე, არამედ დეპოზიტების დოლარიზაციაც, 71%-დან 60.8 %-მდეა შემცირებული(**დიაგრამა №17**). არსებული ტენდენცია აჩვენებს, რომ მოქნილი გაცვლითი კურსის პირობებში, დოლარიზაციის შემცირება მომავალშიც გაგრძელდება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საკრედიტო რისკებსაც.

დიაგრამა №17. სესხების და დეპოზიტების დოლარიზაცია, პროცენტებში, 2015-2018(6)



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი, სცეა

მიგვაჩნია, რომ ლარიზაციის სტრატეგიამ მთლიანად გაამართლა, რადგან სტრატეგიის მთავარი ამოცანაც ეს არის, არა უბრალოდ საკრედიტო პორთფელში სალარე სესხების ზრდა, არამედ მისი ასახვა ვალდებულებების, და პირველ რიგში დეპოზიტების, როგორც დაფინანსების პოტენციური წყაროს მხარეს.

ისე არ უნდა გვიგოთ, თითქოს ლარიზაცია მხოლოდ ლარში გასაცემი სესხების ლიმიტების დადგენა იყოს. 2017 წლის დასაწყისიდან მოყოლებული ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. გარდა ლარით ფასდადების შემოღებისა, კომერციულ ბანკებში დაინერგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დაცული მომსახურება (ე.წ "escrow" მომსახურება), რომელიც ლარში ხორციელდება და მიზნად ისახავს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას საფასურის გადახდისა და ქონების დასაკუთრებასთან

დაკავშირებული რისკების აცილებასა და ხარჯების შემცირებას. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა შემოიღო ბაზელ III-ის შესაბამისი ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, სადაც უპირატესობა მიენიჭა ეროვნულ ვალუტას, ხოლო ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის შესაბამისად, ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების მეშვეობით უზრუნველყოფს სავალუტო რისკისგან დაუცველ (არაჰეჯირებულ) მსესხებლებზე უცხოურ ვალუტაში სესხების შემთხვევაში ადეკვატური ბუფერების არსებობას.

მაგრამ ბიზნეს დაკრედიტების ზრდის ხელშეწყობისათვის ძალზე მნიშვნელვანია ლარის გრძელვადიანი სესხების ხელმისაწვდომობის ზრდა, კომერციულ ბანკებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ლიკვიდური აქტივები მოკლევადიანი დეპოზიტების გრძელვადიან სესხებად გადასაქცევად. აქედან გამომდინარე, *ლარიზაცია და დოლარიზაციის შემდგომი შემცირება კაპიტალის ბაზრის და თლიანობაში საფონდო სეგმენტის განვითარებაზე იქნება დამოკიდებული.*

კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია დროულად დაიწყოს მაღალი ლიკვიდურობის მქონე ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ე.წ. "ბენჩმარკ" ქაღალდები), რომლის მთავარი მახასიათებელია მაღალი ლიკვიდობა და წინასწარ პროგნოზირებადობა და რომლის შედეგადაც ბაზრის მონაწილეებს ეცოდინებათ შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში სავარაუდო ემისიის კალენდარი და ამასთანავე ამუშავდეს პირველადი დილერების ინსტიტუტი, რაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად აუქციონზე მონაწილე ბანკებს მისცემს ვალდებულებას ხელი შეუწყონ მეორადი ბაზრის ლიკვიდურობას ბაზრის ყველა მონაწილისათვის. ცალკე თემაა საფონდო ბაზრის, არსებული და პრაქტიკულად უფუნქციოდ დარჩენილი მოდელის ტრანსფორმაცია ან ახალი ვარიანტის შექმნა, რადგან საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მხოლოდ კაპიტალის ბაზრის განვითარება საკმარისი არ იქნება. თუ ბიზნეს სჭირდება ალტერნატიული რესურსირების წყაროები. თავის მხრივ, საფონდო სეგმენტის განვითარება ბანკებსაც მისცემს საშუალებას განავითარონ საინვესტიციო საბანკო მომსახურება, დღეს ბანკების აქტიურ ოპერაციებში პრაქტიკულად ნულოვანია ფასიანი ქაღალდების პორთფელი დილინგური ოპერაციებისათვის, ხოლო ფინანსური მომსახურების თვალსაზრისით, საინვესტიციო ბანკინგის მექანიზმები პრაქტიკულად არ გამოიყენება.

2.2 ახალი საბანკო რეგულაციები და მათი მოსალოდნელი ზეგავლენა საკრედიტო ბაზარზე

სებ-ის ახალი მოთხოვნები ადგენს სესხის გაცემის კრიტერიუმებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იქნება როგორც კომერციული ბანკებისათვის, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირებისა და ზედამხედველობის ქვეშ უნდა მოექცეს სესხის გამცემი ყველა ორგანიზაცია, იქნება ეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები თუ ცალკეული პირები.

ამ ტიპის რეფორმები თავის დროზე პრაქტიკულად ყველა წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში განხორციელდა იქნება ეს ამერიკის შეერთებული შტატები თუ ევროკავშირის ქვეყნები. მიზანი არაფორმალური სექტორის, სოციალური და სისტემური რისკების მნიშვნელოვნად შემცირება იყო. მხოლოდ მისასალმებელია, რომ რეფორმა სესხის გაცემისას შემოსავლის დადასტურების სავალდებულო მოთხოვნაზე გადასვლას მხოლოდ საბანკო დაწესებულებებისათვის არ მოითხოვს და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებზეც გავრცელდება. ეს თავის მხრივ ამცირებს რისკებს, შემცირდეს საბანკო დაკრედიტება და სამაგიეროდ, ფიზიკური პირები გადავიდნენ ლომბარდებში და კერძო მევახშეებთან.

საბანკო და არასაბანკო საკრედიტო სეგმენტში მიმდინარე რეფორმა, პირობითად ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ. გასულ წელს, რეფორმის პირველ ეტაპზე მოხდა საპროცენტო

განაკვეთების ზღვრის დადგენა, ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი შემცირდა 100 % -ის ოდენობით, ხოლო დარიცხული და გადასახდელი პროცენტი, საკომისიო და ჯარიმა ჯამურად სესხის ნარჩენი ძირის 150%-ს არ უნდა აჭარბებდეს. ამ ნორმატივების შემოღების შედეგად ონლაინ გამსესხებელი კომპანიების დიდ ნაწილს ბაზრის დატოვება მოუწია(სხვადასხვა მონაცემებით მათი რაოდენობა 75-ს აღემატებოდა), ნაწილი კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციად გადაკეთდა, თუმცა პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ მოიხსნა. ბაზარზე კვლავ რჩებოდა კომპანიების ნაწილი, ძირითადად ლომბარდები და ფიზიკური პირები ე.წ. კერძო იპოთეკარების სახით, რომლებიც რეგულაციის გარეთ იყვნენ დარჩენილი.

რეფორმის მეორე ეტაპზე ეს პრობლემაც მოიხსნება. ათასამდე ლომბარდი და 100-მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, კერძო იპოთეკარებზე რომ აღარაფერი ითქვას ჩვენნაირი პატარა ეკონომიკისთვის ძალიან ბევრია. ბუნებრივია, მათი ნაწილი ბაზარს დატოვებს, მაგრამ ეს პროცესი შედარებით უმტკივნეულო იქნება. ონლაინ გამსესხებელი კომპანიების ბაზრიდან გასვლა ინვესტიციების გადინებას და უმუშევრობის გაზრდა პრქტიკულად არ მოყოლია. დღეს ყველა მსხვილი ონლაინ გამსესხებელი კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სახით აგრძელებს ფუნქციონირებას. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც ანალოგიური პროცესები განვითარდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით "კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებაში" ცვლილებები შევიდა, რომლის თანახმადაც იზღუდება მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა. კერძოდ, ასეთი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. სესხების ზღვრის კაპიტალის 25 %-მდე ლიმიტის დაწესება საერთაშორისო საბანკო პრაქტიკისათვის მიღებული ნორმატივია, და იგი პირველ რიგში კაპიტალის რისკის შემცირებას ემსახურება. თუ ბანკს სურს გაზარდოს დაკრედიტება, მაშინ მოუწევს კაპიტალის გაზრდაც, გარდა ამისა ამ ლიმიტის შემოღება ხელს შეუწყობს კაპიტალზე უკუგების მაღალი ნორმის დაწევასაც ანუ შეამცირებს რა კაპიტალის მულტიპლიკატორს კიდევ უფრო სტაბილურს გახდის სისტემის ფუნქციონირებას.

ამასთან, მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს(Loan to Value Ratio) და სესხის გაცემისას, სესხის მომსახურების კოეფიციენტი(PTI) არ უნდა იყოს 30%-ზე მეტი, რაც არის საკმაოდ მკაცრი მოთხოვნა ბანკებისთვისაც კი და წარმოადგენს მსესხებლის ყოველთვიური გადასახდელებისა და ყოველთვიური წმინდა შემოსავლების თანაფარდობას. სესხის მომსახურება/ დადასტურებულ შემოსავალთან ლიმიტების დაცვის მოთხოვნა, რომელიც შემოსავლის სიდიდის მიხედვით 20-30%-ის ფარგლებშია განსაზღვრული, ამასთან ერთად წესდება ვადიანობის ლიმიტები საცალო პროდუქტებზე, როგორც იპოთეკურ სესხებზე, ასევე ავტოსესხებზეც, რაც საკმაოდ მკაცრი მოთხოვნებია თუ დადასტურებული შემოსავლის ჩვენების ვალდებულებასაც გავითვალისწინებთ.

გარდა ამ სიახლისა, ახალი რეგულაციების შედეგად, რომელთა ნაწილიც განხილვის პროცესშია, მსესხებლის ყოველთვიურ წმინდა შემოსავლებს და გადასახდელებს შორის სხვაობა უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს, ამასთან იზღუდება ისეთი სესხის გაცემა, როდესაც მსესხებელი იხდის მხოლოდ დარიცხულ პროცენტს, ხოლო ძირს ან ძირის მნიშვნელოვან ნაწილს (ნახევარზე მეტს) ვადის ბოლოს. ძირის გადახდა სასურველია ხდებოდეს მსესხებლის შემოსავლებზე მორგებული გონივრულად შედგენილი გრაფიკის მიხედვით, დგინდება ჯარიმების ზედა ზღვარი, რაც წლიურად ნარჩენი ძირის 100 %-ს არ უნდა აღემატებოდეს, რაც დამახასიათებელია ევროპის ქვეყნებისათვის და დღეს თუ არ ჩავთვლით ბიზნეს სესხებს, ისიც ნაწილობრივ, ნაკლებად არის ქართულ საბანკო პრაქტიკაში

მიღებული. თუმცა მიმაჩნია, რომ ამ სახის რადიკალური გადასვლა აჩენს რისკებს, რადგან ბანკებს მოუწევთ ბიზნესმოდელების ტრანსფორმაცია, რასაც დაკრედიტების ტემპების შემცირება შეიძლება მოყვეს.

1 ნოემბრიდან შემოვა დადასტურებული შემოსავლის მოდელი. სესხის გამცემმა ნებისმიერმა ორგანიზაციამ სესხი უნდა გასცეს მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის საფუძველზე, რაც გულისხმობს მსესხებლის არა მხოლოდ ხარჯებისა და ვალდებულებების არამედ პირველ რიგში შემოსავლების დეტალურ ანალიზსაც. ახალი მოთხოვნების თანახმად, სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სესხის გამცემი ორგანიზაცია ვალდებული იქნება მსესხებლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოიძიოს როგორც საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში ან მოითხოვოს ცნობა შემოსავლების შესახებ შემოსავლების სამსახურიდან და სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს აღნიშნული ინფორმაცია. შესაბამისად, ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ასევე სხვა არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებს ექნებათ შემოსავლების სამსახურის ბაზებზე წვდომის გამარტივება, შემოსავლების სამსახური კლიენტის თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს სესხის გამცემებისათვის კლიენტის შესახებ დაცული მონაცემების მიწოდებას. რეგულაციების მიხედვით, ასევე იცვლება სესხების გაცემის ვადები. რეგულაციებით, იპოთეკური სესხის მაქსიმალურ ვადად - 15 წელი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხზე - 10 წელი, სატრანსპორტო სესხის შემთხვევაში - 6 წელი, სხვა დანარჩენი სესხებისთვის კი მაქსიმალურ ვადად - 4 წელია განსაზღვრული. ამასთან, რეგულაციების მიხედვით, თუ მსესხებლის/თანამსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზი ჩატარებული არ არის, პირი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის მიღებას ვერ შეძლებს, თუ მსესხებელს/თანამსესხებელს ერთზე მეტი საცხოვრებელი უძრავი ქონება არ ექნება. სესხის აღების შემთხვევში, ასევე სავალდებულო ხდება ის რომ თანამსესხებელი მსესხებლის ოჯახის წევრი იყოს.

ნიშანდობლივია, რომ ახალი მოთხოვნები 2019 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო იქნება ყველა საკრედიტო დაწესებულებისათვის, თუმცა არ გავრცელდება არსებულ სასესხო ნაშთებზე, ასევე მათ რეფინანსირება რესტრუქტურიზაციებზე, მათ შორის თუკი რეფინანსირება ან რესტრუქტურიზაცია ხორციელდება სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიერ და არ ხდება სასესხო ვალდებულებების შინაარსობრივი ზრდა. მხოლოდ მისასალმებელია, რომ რეფორმა სესხის გაცემისას შემოსავლის დადასტურების სავალდებულო მოთხოვნაზე გადასვლას მხოლოდ საბანკო დაწესებულებებისათვის არ მოითხოვს და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებზეც გავრცელდება. ეს თავის მხრივ ამცირებს რისკებს, შემცირდეს საბანკო დაკრედიტება და სამაგიეროდ, ფიზიკური პირები გადავიდნენ ლომბარდებში და კერძო მევახშეებთან. არსებულთან შედარებით ორჯერ მცირდება დღიური დასარიცხი ჯარიმის ოდენობაც, ხოლო ჯარიმების დარიცხვა არა მთლიან თანხაზე, არამედ მხოლოდ სესხის ნარჩენ ძირზე მოხდება.

მიგვაჩნია, რომ ახალი საბანკო რეგულაციები, ხელს შეუწყობს საკრედიტო სტანდარტების გაუმჯობესებას საბანკო სექტორში, კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას.

„ჭარბვალიანობის რისკის“ შემცირების რეკომენდაციები იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის გასული წლების ანგარიშში და მას ემხრობა ადგილობრივი ექსპერტების სოლიდური ნაწილიც. ახალი რეგულაციები ორ ეტაპად განხორციელდა, ნაწილი ძალაში შევიდა მაისის დასაწყისში, ნაწილი ამოქმედა 1 სექტემბრიდან.

ბუნებრივია, ბანკებს და არასაბანკო საკრედიტო ბიზნეს სუბიექტებს მოუწევთ არსებული ბიზნეს მოდელების სახეცვლილება. მეორეს მხრივ, იმისათვის რომ ბანკები დაკრედიტების ამ ფორმაზე გადავიდნენ, საჭირო იყო დრო ბიზნესით დაკავებულ ფიზიკურ პირთა რეგისტრაციისათვის, რადგან იმისათვის, რომ შემოსავალი გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის მიზნებისათვის ჩაითვალოს დადასტურებულად, როგორც ავღნიშნეთ, კლიენტმა სესხის გამცემ ინსტიტუტში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (სახელფასო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, ცნობა შემოსავლების სამსახურიდან). თუ ჩვენ თვითდასაქმებულთა კატეგორიაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირებსაც გავიყვანთ, მათი რიცხვი 120 ათასიდან 500-800 ათას ადამიანამდეც კი შეიძლება ავიდეს.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი მხოლოდ საბანკო სექტორზე არ არის დამოკიდებული. სწრაფი ეკონომიკური ზრდის, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის და ეკონომიკის ტრანსფორმაციის გარეშე, საბანკო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ვერც კაპიტალის ეკონომიკის სექტორებს შორის გადადინებას, ვერც დანაზოგების ზრდას და მათ ტრანსფორმაციას ინვესტიციებში. პირველ რიგში ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა უნდა იყოს ისეთი, რომ ბანკების კაპიტალიზაციის ზრდას და საპროცენტო განაკვეთების კლებას შეუწყოს ხელი.

ფინანსური რესურსების გრძელვადიანობის პრობლემაც აქედან მოდის და არა მხოლოდ საფონდო სეგმენტის განუვითარებლობიდან. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება კომერციულ ბანკებში განთავსებული ანაბრებისა და დეპოზიტების მოკლევადიანობაში, რომლის საშუალოვადიანობის მაჩვენებელი ბოლო წლებში არ აღემატება 1.6 წელს. თუნდაც ბოლო სამი წლის ანალიზი ცხადყოფს(**დიაგრამა #18**), რომ მიუხედავად, საკრედიტო პროდუქტებზე დაკრედიტების ვადიანობის გაზრდისა, დეპოზიტებზე ვადიანობის მაჩვენებელი იგივე დარჩა და მცირედით შემცირდა კიდეც. თავის მხრივ გრძელვადიანი რესურსების დეფიციტი და მაღალი ვადიანობის გეპ-ი განაპირობებს ბანკების მაღალ რისკ-დამოკიდებულებას განახორციელონ გრძელვადიანი დაკრედიტება ლარში, პირველ რიგში სამეწარმეო სექტორში. მხოლოდ საბრუნავი საშუალებების დაფინანსება, რომელიც დიდწილად მოკლევადიანია, არ არის საკმარისი ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის.

დიაგრამა №18. დეპოზიტების ვადიანობის მაჩვენებლები, 2015-2018(6).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ანალიზისათვის, ბიზნეს სესხების ვადიანობა კვლავ მოკლეა და ეროვნულ ვალუტაში ბოლო 3 წელიწადში 2.1 წლიდან 2.7 წლამდეა ანუ მხოლოდ 6 თვით არის გაზრდილი, ხოლო უცხოურ ვალუტაში 4.3 წლიდან 4.7 წლამდე ანუ 4 თვით.

შედარებისათვის იპოთეკურ სესხებზე ვადიანობა როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში 1 წლით არის გაზრდილი, შესაბამისად, ლარში 7.5 დან 8.5 წლამდე, ხოლო უცხოურ ვალუტაში- 8.8 წლიდან 9.8 წლამდე. იგივე შეიძლება ითქვას ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების საშუალო ვადიანობაზეც, რომლებიც უცხოურ ვალუტაში კიდევ უფრო მეტად, 2 წლით არის გაზრდილი 7 წლიდან 9 წლამდე(**დიაგრამა №19**).

დიაგრამა №19. საკრედიტო პროდუქტების ვადიანობის მაჩვენებლები, 2015-2018(6).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მართალია, ბანკების საერთაშორისო ბაზრებიდანაც ახორციელებენ რესურსების მოზიდვას, მაგრამ თუ არ ჩავთვლით საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და ფონდებიდან მიღებულ საკრედიტო ხაზებს, ბანკების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, გრძელვადიანი უცხოური საკრედიტო რესურსებით მაინც პრობლემას წარმოადგენს.

2.3. საბანკო მომსახურების ბაზრის კონცენტრაცია

2018 წლის პირველი ნახევრის მიხედვით, საბანკო მომსახურების ბაზარი 16 კომერციული ბანკით იყო წარმოდგენილი, სადაც ბიზნესის კონცენტრაციის დონე საკმაოდ მაღალია. აქედან, უმსხვილესი ორი კომერციული ბანკის(თი ბი სი ბანკი და საქართველოს ბანკი) წილი სისტემის მთლიან აქტივებში 72 % -ია, საკრედიტო პორთფელი-71 %-ია, ხოლო წმინდა მოგების წილი სისტემის მთლიანი მოგების 71 %-ს შეადგენდა. თუ ამ ორ ბანკს კიდევ ერთ სისტემურ ანუ აქტივების 5 %-ზე მეტის მფლობელ „ლიბერთი ბანკსაც" დავუმატებთ(6 %), მათი ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში უკვე 78 %-ს უახლოვდება(**დიაგრამა №20**).

2015 წლიდან მოყოლებული, სისტემფორმირებადი ბანკების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში 59 % დან 77 %-მდე ანუ მთელი 20 %-ით არის გაზრდილი. ანალოგიურად არის გაზრდილი საკრედიტო დაბანდების მაჩვენებლიც, 55 % და 75 %-მდე. სისტემური ბანკების აქტივების ზრდა დიდწილად განპირობა სიდიდით პირველი ორი ბანკის აქტივების მნიშვნელოვანმა ზრდამ.

დიაგრამა №20. ბაზრის კონცეტრაცია, სისტემური ბანკების მიხედვით, პროცენტებში, 2015-2018(6).



წყარო:საქართველოს ეროვნულიბანკი, სცეა

„საქართველოს ბანკის“ აქტივები 2015 წლიდან გაიზარდა 9 მლრდ ლარიდან 12,3 მლრდ ლარამდე, რაც სისტემურ მაჩვენებელში 29 % დან 35 %-ის ექვივალენტურია. თი ბი სი ბანკის აქტივების ზრდა კიდევ უფრო მაღალი იყო, გაიზარდა რა იგივე პერიოდში 6,9 მლრდ ლარიდან 13,2 მლრდ ლარამდე, რაც სისტემურ ჭრილში 23% დან 37 %-მდეა გაზრდილი. რაც შეეხება წმინდა მოგების მაჩვენებელს, მათი ხვედრითი წილი აქაც მაღალია, ხოლო 2016 -2017 წლებში სულაც 92 %-იყო. მართალია, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მიხედვით, შემცირებულია 80 %-მდე, მაგრამ ეს დიდწილად გამოწვეულია „საქართველოს ბანკის“ მოგების შემცირებით 43 % დან 28 %-მდე.

საბანკო მომსახურების ბაზრის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია, ცალსახად უარყოფითად არ უნდა შეფასდეს. წამყვანი სისტემფორმირებადი ბანკები თავისებურ ბიზნესბარომეტრსაც წარმოადგენენ, როგორც სექტორში ინვესტორების მოზიდვის, ასევე ბაზრის სხვა მონაწილეებისთვისაც თამაშის წესების შეთავაზებით, ინოვაციური საბანკო პროდუქტების დანერგვის თუ საბანკო პროდუქტებზე ფასწარმოქმნის თვალსაზრისით. თუმცა, მეორეს მხრივ ბაზრის მაღალი კონცენტრაცია საწარმოს მაშტაბის ეფექტიდან გამომდინარე, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს წამყვან ბანკებს კონკურენტებთან შედარებით და პირველ რიგში კლიენტებთან ურთიერთობისას, რაც შემდეგ გამოხატულია პოზიტიურ კორელაციაში კონცენტრაციასა და მომგებიანობას შორის.

რეალურად ასეთი მაღალი კონცენტრაცია ბუნებრივად ატარებს ოლიგოპოლიურ ნიშნებს, სადაც ისეთი საბაზრო სტრუქტურაა როდესაც ორი მსხვილი ბანკი კლიენტურას სთავაზობს მთელი პროდუქციის დიდ ნაწილს. ოლიგოპოლიაში საწარმოები კონკურენციას სხვადასხვანაირად ეწევიან. ისინი პროდუქციის დიფერენცირებაზე მეტად ზრუნავენ, რათა მომხმარებლებმა იცოდნენ წარმოებულ პროდუქციებს შორის განსხვავება. ოლიგოპოლიის დროს საწარმოები ფასის მაძიებლები არიან, თუმცა ვინაიდან ბაზარზე რამდენიმე საწარმოა, ფასი დამოკიდებულია ყველა საწარმოზე. თუ ერთი შეამცირებს ფასს, მეორე საწარმოც ამცირებს მომხმარებელთა შესანარჩუნებლად, თუმცა ეს ორივე საწარმოს შემოსავალს შეამცირებს, ამიტომ ფასთა კონკურენციას ნაკლებად აქვს ადგილი

ოლიგოპოლიის დროს. ოლიგოპოლიურ ბაზარზე ახალი ფირმების შეღწევა საგრძნობლად გაძნელებულია მონოპოლიურ მდგომარეობაში მყოფი მსხვილი ფირმების მიერ გავლენის სფეროების განაწილების გამო. ბაზარზე რამდენიმე მსხვილი ფირმის მეტოქეობა განაპირობებს იმის შესაძლებლობასა და აუცილებლობას, რომ ფასისმიერ კონკურენციასთან ერთად გამოყენებული იქნეს არაფასისმიერი კონკურენცია. თითოეული ფირმის ქცევა სულ უფრო მჭიდროდ დამოკიდებული ხდება კონკურენტი ფირმების რეაქციასა და დაცვაზე. ზოგადად მონოპოლისტური კონკურენცია გვხვდება მაშინ, როდესაც საწარმოები მომხმარებელს მსგავს, მაგრამ არა იდენტურ პროდუქტებს სთავაზობენ.

დიდწილად ამის შედეგია, რომ სისტემური ბანკების წმინდა მოგების მაჩვენებელი 2015-2018 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და საშუალოდ სისტემის მთლიანი მოგების 85 %-ს შეადგენს. შესაბამისად, საქართველოს საბანკო სექტორის კაპიტალზე მოგების უკუგების მაჩვენებელი(ROE), ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, პოზიტიური ზრდის დინამიკას აჩვენებს და 2017 წლის ბოლოს 20% -ზე მეტი შეადგინა და ეს ტენდენცია დღესაც შენარჩუნებულია, თუმცა მცირედით არის შემცირებული.

წამყვანი ბანკების აქტივების ზრდა განაპირობა, მაღალმა მოგებამ და მერეს მხრივ, ბაზრიდან გასული ბანკების მიერთებამ. აქ პირველ რიგში თი ბისი ბანკის მიერ „ბანკი რესპუბლიკას" შეძენა უნდა აღინიშნოს, გარდა ამ ოპერაციისა ბანკმა კიდევ ერთი ბანკის - „კონსტანტა ბანკის" აქცივიზაცია განახორციელა, და პროგრეს ბანკის საკრედიტო პორთფელი შეიძინა. „საქართველოს ბანკმა" აღნიშნულ პერიოდში „პრივატ ბანკი" მიიერთა, ხოლო „პროკრედიტ ბანკისაგან" მიკრო და მცირე სესხების პორთფელი შეიძინა.

სისტემური ბანკების სამეულში(მთლიანი აქტივების 5 % და მეტი), ასევე შედის ლიბერთი ბანკი, რომლის აქტივები 2018 წლის პირველი ნახევრის მიხედვით 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 1,57 მლრდ ლარიდან 2.0 მლრდ. ლარამდე, მაგრამ ბევრად ჩამორჩება წამყვანი ბანკების აქტივებს. დღეს ეს ბანკები ქმნიან ძირითად ტენდენციას საბანკო მომსახურების ბაზარზე და შეუძლიათ ტარიფების შემცირება როგორც სესხებზე საპროცეტო განაკვეთების შემდგომი დაწევის, ასევე მომსახურების ტარიფების მიხედვით, თუნდაც "საწარმოს მასშტაბის" პრინციპიდან გამომდინარე, რაც შედარებით გაუჭირდებათ საშუალო და მცირე ბანკებს. კიდევ 4 ბანკი, რომელთა აქტივებიც 1 მლრდ ლარს აღემატება - ვითიბი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ბაზის ბანკი და ქართუ ბანკი, საერთო აქტივებში ხვედრითი წილით 3-4.3%-ს ფარგლებშია და ჯამში 14 %-ს შეადგენს, საქართველოს დანარჩენი 8 ბანკის ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში 9 %-ს შეადგენს და ცალკეული ბანკის მიხედვით, საშუალოდ 1 %-ის ფარგლებშია.

საქართველოში გაცილებით მაღალია ბაზრის კონცენტრაცია ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებშია. შედარებისთვის, საქართველოს საბანკო მომსახურების ბაზარი უფრო კონცენტრირებულია, ვიდრე დიდ ბრიტანეთში (CR5 = 33%, HSBC Holdings, Barclays, Lloyds Banking Group, Standard Chartered, Nationwide Building Society), საფრანგეთში(CR5 =40%, Credit Agricole, BNP Paribas, Societe Generale, Groupe BPCE, Credit Mutuel), იტალიაში (CR5 =27%, Intesa Sanpaolo, UBI Banca, Banco Popolare, Mediobanca), გერმანიაში (CR5 =22%,Deutsche Bank, Commerzbank, DZ Bank, Landesbank Berlin Wurttemberg(LBBW), Bayerische Landesbank, Norddeutsche Landesbank (Nord LB), Helaba Bank, Hypo Real Estate Holding, WGZ Bank).

ნიშანდობლივია, რომ ევროპის ამ ქვეყნების სისტემური ბანკები შედიან, არა თუ ევროპის, არამედ მსოფლიოს უმსხვილესი საბანკო ჯგუფების ასეულში, ხოლო ლიდერი ბანკები სულაც პირველ ოცეულში არიან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული საბანკო ბაზრის კონცენტრაციის ნაკლებ სასურველ და ასიმეტრიულ ხასიათს. უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი კონცენტრაცია გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს წამყვან ბანკებს კლიენტებთან

ურთიერთობისას, რაც გამოხატულია პოზიტიურ კორელაციაში კონცენტრაციასა და მომგებიანობას შორის. მაგრამ ბაზრის მაღალი კონცენტრაცია, ასევე ატარებს მაღალ სისტემურ რისკებსაც, და ეს განსაკუთრებით მგრძნობიარეა გლობალური შოკების დროს, მით უმეტეს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებიდან ფინანსურ რესურსებზე არიან დიდწილად დამოკიდებული.

კრიზისებისას ბაზრის მაღალი კონცენტრაციის პირობებში, პრობლემები რომელიმე სისტემფორმირებად საკრედიტო დაწესებულებაში, ტოვებს არასაკმარის ბუფერს რისკების სამართავად, მათ შორის კლიენტურის სხვა ბანკებში გადანაწილების და საბანკო ოპერაციების წარმოების თვალსაზრისით, ამ ბანკების მცირე კაპიტალის გამო. მართალია, ცნობილი გამონათქვამია-იმდენად დიდია, რომ გაკოტრება შეუძლებელია, ეკონომიკაზე მოსალოდნელი ზარალიდან გამომდინარე, სახელმწიფოს იძულებულს ხდის მოახდინოს მათი ფინანსური დახმარება ან სულაც ნაციონალიზაცია, მაგრამ ეს პრობლემას ნაწილობრივ თუ ხსნის.

ჩვენ ვხედავთ, რომ მიმდინარე წლის ივნის-ივლისში „საქართველოს ბანკს" შეუმცირდა რა მოგება, რაც დიდწილად სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული, მნიშვნელოვნად იმოქმედა, 2018 წლის იანვარ-ივლისის მიხედვით, მთელი სისტემის წმინდა მოგების(464.5 მლნ ლარი) 10 %-ით შემცირებაზე, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით(519 მლნ ლარი).

შედარებით მცირე და ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისათვის საერთაშორისო ბაზრებიდან მოზიდული ფულადი რესურსები ითვლება დეპოზიტების მნიშვნელოვან წყაროდ და მათი გატანა არა თუ საბანკო სექტორის არამედ ამ ქვეყნების ეკონომიკის ჩამოშლაც კი შეიძლება გამოიწვიოს. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ისლანდიის საბანკო სისტემა. ამ ქვეყნის სამი ყველაზე მსხვილი ბანკის ზრდა 2001 წლიდან, როდესაც განხორციელდა საფინანსო სექტორის დერეგულირება, იყო ძალზე მაშტაბური და იგი დიდწილად დაკავშირებული იყო საგარეო ფაქტორებთან, კერძოდ კი მათ გახსნეს ფილიალები მთელ ევროპაში. ამან ბანკებს მოუტანა დამატებითი შემოსავლები, მაგრამ ამავდროულად ისინი ძალზე დამოკიდებული აღმოჩნდენ ბანკთაშორის საკრედიტო რესურსებზე, რომლებსაც იზიდავდნენ საერთაშორისო ბაზრებიდან.ცნობისათვის 2008 წელს ამ ბანკების საგარეო ვალდებულებებმა 42 მლნ ევრო შეადგინა, მაშინ როიდესაც ქვეყნის მთლიანი სიდა პროდუქტი 8,5 მლრდ ევრო იყო.

2008 წლის დასწყისში ცნობილი ამერიკული საინვესტიციო საბანკო გიგანტის ლემონ ბროზერსის(Lehman Brothers) გაკოტრებამ მოკლევადიანი ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის სტაგნაცია გამოიწვია. გამომდინარე იქიდან, რო ისლანდიის ბანკები ძირითადად მოკლევადიან ბანკთაშორის კრედიტებს იყენებდნენ და ნაკლებად გაცილებით სტაბილურ და გრძელვადიან პასივებს, ვადიანი დეპოზიტების სახით, მათ შეექმნათ სერიოზული ლიკვიდობის პრობლემები ფულადი რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით და მოკლევადიანი ვალების გასასტუმრებლად. ისლანდიის მთავრობა იძულებული იყო ამ სამი ბანკიდან ყველაზე მცირე ბანკის (Giltnir Bank) ნაციონალიზაცია გამოეცხადებინა, რადგან ბანკს გასასტუმრებელი ჰქონდა 600 მლნ ევროს მოკლევადიანი ვალდებულებები. მაგრამ ბანკს არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა და ვერც ახალი ვალების აღება შეძლო.

Giltnir Bank -ის ნაციონალიზაციამ გადამდები ეფექტი იქონია სხვა ბანკებზეც, რადგან წარმოიქმნა საბანკო პანიკის ნიშნები. მეანაბრეებმა როგორც ისლანდიაში, ასაევე ევროპის იმ ქვეყნებში სადაც ისლანდიურ ბანკებს ფილიალები ჰქონდათ გახსნილი, დაიწყეს ანაბრების მასიური გატანა სხვა ისლანდიური ბანკებიდანაც და ამის შედეგად ისლანდიის მთავრობა იძულებული გახდა ყველაზე მსხვილი ისლანდიური ბანკის Lands Bank -ის ნაციონალიზაციაც გამოეცხადებინა. ამ ყველაფერმა კი სერიოზული ზარალი მიაყენა ქვეყნოს ეკონომიკას.

მნიშვნელოვნად გაუფასურდა ისლანდიური კრონა, ხოლო საბანკო საპროცენტო განაკეთები უპრეცედენტოდ გაიზარდა. საბოლოო ჯამში ისლანდიის მთავრობა ქვეყნის დეფოლტისაგან გადასარჩენად იძულებული გახდა პრაქტიკულად ყველა მსხვილი ისლანდიური ბანკის ნაციონალიზაცია გამოეცხადებინა და დახმარებისათვის მიემართა საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის. საერთო ჯამში ისლანდიის კრიზისის დასაძლევად ევროკავშირის, სკანდინავიის ქვეყნების და სავალუტო ფონდის გამოყოფილმა თანხებმა 9 მლრდ ევრო შეადგინა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია სასურველი არ არის, არც ფინანსური ბაზრის განვითარების და არც ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის და სექტორალური ზრდის თვალსაზრისით, რადგან გარკვეულწილად ზღუდავს კონკურენტულ ბიზნესსივრცეს ზოგადად. მაგრამ ამავდროულად ბაზრის მაღალი კონცენტრაცია დღეს არის ფაქტი და მისი შემცირებაც წმინდა საბაზრო ინსტრუმენტებით უნდა განხორიელდეს.

ბაზრის მაღალი კონცენტრაციის შემცირება შესაძლებელია საბაზრო, ასევე ნაკლებ საბაზრო მიდგომების შედეგად. ნაკლებ საბაზრო მოდელად შეიძლება განიხილებოდეს სისტემურ ჭრილში ბანკების აქტივებზე ლიმიტის დადგენა, მაგალითად 25-30 %-მდე, რაც წამყვან ბანკებს აიძულებს მოიცილონ აქტივების ნაწილი, სხვა ბანკებისათვის მიყიდვის გზით, მაგრამ ამ ტიპის შეზღუდვით, სისტემამ შეიძლება უფრო მეტი დაკარგოს, ვიდრე მოიგოს.

წმინდა საბაზრო მექანიზმებიდან, საბაზრო კონცენტრაცია შეიძლება შემცირდეს როგორც ახალი მოთამაშეების ბაზარზე შემოყვანით, პირველ რიგში წამყვანი ევროპული ბრენდების, ასევე მეორე ეშელონის და შედარებით მცირე ზომის ბანკების აქტივების ზრდით, მათ შორის მათი ნაწილის გაერთიანების შედეგად.

მიგვაჩნია,რომ 2007 წლის ბოლოდან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე(International Financial Reporting Standards, IFRS) გადასვლა, გაზრდის რა საბანკო დაწესებულებების ტრანსფარენტულობის ხარისხს, ასევე გახდება კარგი სიგნალი უცხოელი ინვესტორებისათვის განახორციელონ დამატებითი ინვესტიციები საბანკო სექტორში.

მიგვჩნია, რომ ბაზრის მაღალი კონცენტრაციის შემცირება უნდა მივიჩნიოთ საბანკო სექტორის კიდევ ერთ მთავარ გამოწვევად. შესაბამისად, სისტემის განვითარების სტრატეგიულ ამოცანად, უნდა განიხილებოდეს კონცენტრაციის არსებული მაჩვენებლის შემცირება. სისტემფორმირებადი ბანკების რიცხვში 5-6 ბანკიც რომ იყოს წარმოდგენილი, კონცენტრაციის მაჩვენებელიც შედარებით დაბალანსდება და კონკურენციაც გაიზრდება, რაც აისახება როგორც საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების, ასევე მომგებიანობის მაღალი მარჟის შემცირებაში.

2.4. საპროცენტო განაკვეთების დინამიკა

2013 წლის ბოლოს, ეროვნული ბანკის მიერ ქართული საკრედიტო პროდუქტების საპროცენტო განაკვეთების შესახებ დაკვეთილ კვლევაში საინტერესო შედეგები გამოვლინდა. KPMG კვლევისთვის შეარჩია ხუთი ქვეყანა: აზერბაიჯანი, პოლონეთი, სერბეთი, სომხეთი და ყაზახეთი და ამ ქვეყნების საფინანსო ბაზრის ლიდერი ბანკების მინიმუმ ორ-ორი წარმომადგენელი. კვლევის მიზნებისათვის შეირჩა საქართველოს საბანკო ბაზარზე არსებული ხშირად გამოყენებადი სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტი და შედარდა ზემოხსენებულ ქვეყნებსა და საქართველოში ამ პროდუქტების ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები. კვლევისას ყურადღება გამახვილდა ისეთ საბანკო პროდუქტებზე,

როგორებიცაა: ფიქსირებული და მცურავგანაკვეთიანი იპოთეკური კრედიტი, უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო კრედიტი, საკრედიტო ბარათი, კორპორატიული კრედიტი - საბრუნავი საშუალებებისა და კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად, კრედიტი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის - საბრუნავი საშუალებებისა და კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

საკრედიტო პროდუქტის ნომინალური და ეფექტური განაკვეთების შედარებითმა კვლევამ აჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევებში კრედიტებზე საქართველოზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებია ყაზახეთში, აზერბაიჯანში, სერბეთსა და სომხეთში, რაც შეეხება პოლონეთს აქ მაჩვენებელი საქართველოზე დაბალია.

ცხრილი №1 **დაკრედიტების საპროცენტო განაკვეთი კავკასიის რეგიონსა და ცენტრალურ აზიაში**

2014 წელი (%)		2005 – 2014 წლების საშუალო მაჩვენებელი (%)	
ტაჯიკეთი	24.5	23.4	**ყირგიზეთი**
აზერბაიჯანი	17.9	23.2	**ტაჯიკეთი**
სომხეთი	16.4	18.8	**აზერბაიჯანი**
ყირგიზეთი	15.5	17.4	**სომხეთი**
ავღანეთი	15.0	15.7	**საქართველო**
საქართველო	11.9	15.8	**ავღანეთი**
რუსეთი	11.1	10.8	**რუსეთი**

ჩვეულებრივ, საპროცენტო ხარჯი რეფინანსირების განაკვეთით, ინფლაციითა და სხვადასხვა რისკებით განისაზღვრება. საქართველოს მსგავსი ქვეყნისათვის, სადაც გართულებულია შიდა ბაზარზე რესურსების მოზიდვის პროცესი, ბანკები იძულებულნი არიან აქცენტი მოკლევადიან დაკრედიტებაზე გააკეთონ, მათი ფასი კი გრძელვადიანთან შედარებით მაღალია.

2014 წელი გლობალური ეკონომიკისათვის დაბალი აქტივობით გამოირჩეოდა, რასაც ხელი შეუწყო საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტებზე (ნავთობი, სურსათი) ფასების მატებამ, პოლიტიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა. შედეგად ზარალი მიადგა არა მხოლოდ განვითარებად, არამედ განვითარებულ და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებსაც კი. საქართველოს მდგომარეობა დაამძიმა რუსეთ – უკრაინის დაპირისპირებამაც. ასევე უმუშევრობამ, საინვესტიციო წინადადებების შემცირებამ და სხვა სახის სტრუქტურულმა პრობლემებმა, რის შედეგადაც ქვეყნის მშპ მხოლოდ 5%–ით გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთებმა შედარებით კლება 2012 წლიდან დაიწყო, და თუ 2012 წლის დასაწყისში იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 15 %-ს შეადგენდა, 2014 წლის ბოლოს 4 %-ით შემცირდა და 11.2% იყო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2015-2016 წლებში საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალ 13-14.5 % -ის ფარგლებში მერყეობდა. საპროცენტო განაკვეთების შემდგომი შემცირების შემაფერხებელი ფაქტორი გახდა 2015-2016 წლებში გლობალური შოკების ზეგავლენა ჩვენს ეკონომიკაზე, რაც დიდწილად ლარის გაუფასურებით წარმოქმნილმა ფინანსური არასტაბილურობის რისკმა

გამოიწვია, თუმცა 2016 წლის ბოლოს საპროცენტო განაკვეთები კიდევ შემცირდა და ისტორიულ მინიმუმზე -10.7 %-მდე დავიდა(**დიაგრამა №21**).

ბიზნეს სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთები 2015 წლიდან შემცირების ტენდენციაშია, როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში. თუ 2015 წელს ლარში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი-13.7 % იყო, შემდეგ წლებში 11.4 %-ის ფარგლებშია. სესხების დოლარიზაციაში ბიზნეს სესხების და იპოთეკური სესხების დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტაში გაიცემა, უცხოურ ვალუტაში გაცემულ ბიზნეს სეხებზეც, საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 10.1% დან 7.9 %-მდე 2017 წლის მიხედვით, თუმცა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 6 პროცენტული პუნქტით, 8.5 %-მდეა გაზრდილი. იგივე შეიძლება ითქვას უცხურ ვალუტაში გაცემულ იპოთეკურ სეხებზეც, რომელიც 9.2% დან 7.2 %-მდეა შემცირებული, თუმცა 2016 წელთან შედარებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული იპოთეკური სესხების განაკვეთი გაზრდილია 2 პროცენტული პუნქტით -9.8 % დან 11.9 %-მდე. სამაგიეროდ, გაზრდილია საპროცენტო განაკვეთები ლარში გაცემულ სამომხმარებლო სესხებზე 12.7 % დან 17 %-მდე, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სამომხმარბლო სესხების საპროცენტო განაკვეთები პირიქით, შემცირების ტრენდზეა და 1.7 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

დიაგრამა №21. საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, 2012-2018(6) წლებში,%



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უცხოურ ვალუტაში საპროცენტო განაკვეთების ზრდა, ერთის მხრივ ლიბორის განაკვეთის გაძვირების და მეორეს მხრივ, ბიზნეს სესხებზე გაზრდილი მოთხოვნის შედეგია. სესხების ლარიზაციის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, გაზრდილის მოთხოვნა ლარში

გაცემულ იპოთეკურ და განსაკუთრებით სამომხმარებლო სესხებზე, რაც ასევე 2017 წელს მიზნობრივზე მაღალი ინფლაციის შედეგიც არის.

აქვე უნდა ავღნიშნო, რომ 11%-იანი მაჩვენებელი შენარჩუნდა 2017 წელსაც და ამ შემთხვევაშიც საპროცენტო განაკვეთების შემდგომი კლების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი, გასულ წელს საერთაშირისო ბაზრებზე ნავთობის ფასების ზრდის შედეგად, ინფლაციის მიზნობრივზე(4%) მაღალი 6.7 % -ანი მაჩვენებელი იყო(**დიაგრამა №22)** და არა ლარიზაციის პროგრამის ზეგავლენა, რაზეც ასევე ხდება ხოლმე არასწორი აქცენტების გადატანა.

დიაგრამა №22. ინფლაციის დონე 2007-2018(6) წლებში, %.



საქართველოს ეროვნული ბანკი, მაკროეკონომიკური მიმოხილვა, 06/08/2018

აქვე გვსურს ავღნიშნოთ, რომ წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2018 წლის ივლისის მიხედვით 2.8 %-ის ანუ მიზნობრივი მაჩვენებელის(3%) ფარგლებშია.

თუ თვალს გადავავლებთ ბოლო წლების სტატისტიკას, საბანკო აქტივების, დეპოზიტებისა და სესხების ზრდასთან ერთად იკლებდა სესხებზე საპროცენტო განაკვეთი, ყველა მიმართულებით, როგორც ბიზნეს სესხებზე, ასევე სამომხმარებლო და იპოთეკურ კრედიტებზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2006-2011 წლებში საპროცენტო განაკვეთები პრაქტიკულად არ შემცირებულა და 18-20 %-ის ფარგლებში იყო, მიუხედავად ამ წლებში შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდისა. მაღალ საპროცენტო განაკვეთებს განაპირობებდა 2007 წელს ერთის მხრივ მაღალი ინფლაცია და მეორეს მხრივ, 2008-2009 წლებში მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რასაც დაემატა 2007-2011 წლებში პოლიტიკური არასტაბილურობა და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები.

2012 წელს დეპოზიტების საშუალო განაკვეთი 8.5 % იყო(ლარში-9.4%, უცხოურ ვალუტაში-8.3%), სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 16.8 %-ს შეადგენდა(ლარში-21.7%, უცხოურ ვალუტაში-14.6 %), მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დეპოზიტების საშუალო საპროცენტო განაკვეთმა 5.4 % შეადგინა(ლარში მოზიდული დეპოზიტების საშუალო განაკვეთი 9.6 %-იყო, უცხოურ ვალუტაში-2.8%), სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთმა 12.7 %(ლარში გაცემული სესხების საშუალო განაკვეთმა 16.2 % შეადგინა, უცხოურ ვალუტაში-8.5 %)(**დიაგრამა №23**).

როგორც ვხედავთ საპროცენტო სპრედი სესხებისა და ვადიანი დეპოზიტების მიხედვით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული, საშუალოდ 12 % დან 7 %-მდე, თუმცა საშუალო ევროპულ დონესთან შედარებით მაინც მაღალ ნიშნულზეა.

დიაგრამა №23. საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 2015-218(6), %



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი, მაკროეკონომიკური მიმოხილვა, 06/08/2018

კომერციული ბანკები ნაკლებად იყენებენ საკრედიტო ხაზების პრაქტიკას. არადა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში დღეს სულ უფრო აქტიურად გამოიყენება საკრედიტო ხაზები როგორც გრძელვადიანი იპოთეკური დაკრედიტების დროს, ასევე ბიზნეს სესხების შემთხვევაშიც. მაგალითისათვის 20 წლიანი ოჯახური იპოთეკის დროს მსესხებელი იხდის არა მთლიანი თანხის პროცენტს, 20 წლის განმავლობაში, როგორც ეს ჩვენთან ხდება, არამედ ნაწილ-ნაწილ ათვისებული ტრანშების ღირებულებიდან გამომდინარე.

2.5. კომერციული ბანკების ვალდებულებები

2012 წლიდან 2018 წლის პირველი ნახევრის მიხედვით, საბანკო სისტემის ვალდებულებები გაიზარდა 12 მლრდ ლარიდან 31 მლრდ ლარამდე ანუ 2.6 ჯერ. ვალდებულებების სტრუქტურაში, არასაბანკო დეპოზიტების ნაწილში გაზრდილია როგორც მოთხოვნამდე დეპოზიტები, ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშების ნაშთების სახით, ასევე ვადიანი დეპოზიტების მოცულობაც. თუ მოთხოვნამდე დეპოზიტები გაზრდილია 3.3 მლრდ ლარიდან 8.1 მლრდ ლარამდე ანუ 2.45 ჯერ, სამაგიეროდ ვადიანი დეპოზიტები გაზრდილია 4.3 მლრდ ლარიდან 12.1 მლრდ ლარამდე ანუ 2.8 ჯერ, რაც ვალდებულებებში ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ნიშანდობლივია, რომ ვალდებულებებში გარედან ნასესხები სახსრები 3.3 მლრდ ლარიდან 7.2 მლრდ ლარამდე ანუ 2.2 ჯერ არის გაზრდილი და შესაბამისად, ვალდებულებების ზრდაში ყველაზე დაბალი ზრდის მქონეა, რაც საგარეო მოწყვლადობის თვალსაზრისით პოზიტიურდ უნდა შეფასდეს (**დიაგრამა №24);**

როგორც ვხედავთ ყველაზე მაღალი ზრდა ვადიან დეპოზიტებზეა, რამაც შესაბამისად გააძვირა რესურსების ბაზა, რადგან ვადიანი დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები გაცილებით მაღალია, ვიდრე საერთაშორისო ბაზრებიდან მოზიდულ სახსრებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე.

დიაგრამა №24. ბანკების ვალდებულებების სტრუქტურა, ათასი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნიშანდობლივია, რომ მთლიან ვალდებულებებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი, ვადიან დეპოზიტებზეა, ხოლო მისი მაჩვენებლი 2012 წელს 36 % იყო, 2018 წლის მეორე კვარტლისათვის კი 40 %-მდეა გაზრდილი, მაშინ როდესაც პირიქით ნასესხები სახსრების ხვედრითი წილი მთლიან ვალდებულებებში 27 % დან 25 %-მდეა შემცირებული(**დიაგრამა №25**).

დიაგრამა №25. ბანკების ვალდებულებების სტრუქტურა პროცენტულად, %



წყარო: საქართველოს ეროვნულ ბანკი

ჩვენ ვხედავთ, რომ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების კლების პირობებში, იზრდებოდა ვალდებულებების ღირებულება, რაც ამცირებდა ერთის მხრივ საპროცენტო სპრედს და მეორეს მხრივ, ზემოქმედებდა წმინდა საპროცენტო მარჟაზე, მისი შემცირების მიმართულებით, თუმცა საცალო დაკრედიტების მაღალი ტემპები და ასევე ჯერ კიდევ მაღალი საპროცენტო სპრედი განაპირობებდა ბანკების გაზრდილ მოგებას, რაც ამ კვლევის მომგებიანობის შესაბამის ნაწილშია გაცილებით ვრცლად ასახული..

საბანკო სისტემა ფუნქციონირებს კვლავ მაღალი საპროცენტო მარჟის პირობებში, რაც ნაშრომის შესაბამის ნაწილშია გაცილებით დეტალურად განხილული. თავის მხრივ გრძელვადიანი და შედარებით იაფფასიანი რესურსების დეფიციტი განაპირობებს ბანკების

მაღალ რისკდამოკიდებულებას განახორციელონ გრძელვადიანი დაკრედიტება ლარში, პირველ რიგში სამეწარმეო სექტორში. მხოლოდ საბრუნავი საშუალებების დაფინანსება, რომელიც დიდწილად მოკლევადიანია, არ არის საკმარისი ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის.

მართალია, ბანკების საერთაშორისო ბაზრებიდანაც ახორციელებენ რესურსების მოზიდვას, მაგრამ თუ არ ჩავთვლით საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და ფონდებიდან მიღებულ საკრედიტო ხაზებს, ბანკების უზრუნველყოფა განსაკუთრებით გრძელვადიანი უცხოური საკრედიტო რესურსებითაც პრობლემას წარმოადგენს.

ბოლო წლებში, კვლავ მაღალია ბანკების დამოკიდებულება რეფინანსირების სესხებზე, რაც აისახა კიდეც საპროცენტო განაკვეთებზე. ეს დამოკიდებულება განსაკუთებით გაიზარდა 2014-2016 წლებში, როდესაც რეფინანსირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 4 % დან 9 %-მდე ავიდა(**დიაგრამა №26**), რაც გარე შოკების და ინფლაციის ზეგავლენის შედეგი იყო, და სწორედ ამ პერიოდში გაიზარდა რეფინანსირების სესხების მოცულობაც 600 მლნ ლარიდან 1.6 მლრდ ლარამდე. მიმდინარე წლის პირველი შვიდი თვის მიხედვით, რეფინანსირების სესხების მოცულობა საშუალოდ 1 მლრდ ლარის ფარგლებშია, ხოლო საპროცენტო ფანაკვეთები მონეტარული პოლიტიკის 7%-ის ფარგლებში.

დიაგრამა №26. საპროცენტო განაკვეთები რეფინანსირების სესხებზე, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემა გასული წლის მსგავსად, ლარის მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტის პირობებში ოპერირებს. მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტს განაპირობებს სალარე სესხებზე მაღალი მოთხოვნა, განსაკუთრებით ლარიზაციის სტრატეგიაზე გადასვლის შემდეგ, რამაც შეზღუდა უცხოურ ვალუტაში სესხებისგაცემა და სალარე სადეპოზიტო რესურსების მოკლე ვადიანობა. შესაბამისად, კომერციული ბანკები მათთვის საჭირო დამატებით სახსრებს ეროვნული ბანკის მთავარი ინსტრუმენტის - რეფინანსირების სესხების საშუალებით ავსებენ. ეროვნული ბანკი მოკლევადიან ლიკვიდობას საბანკო სისტემას ერთკვირიანი და ერთთვიანი რეფინანსირების სესხების აუქციონების მეშვეობით საჭირო ოდენობით აწვდის.

2.6. საბანკო სექტორის მომგებიანობა.

ბუნებრივია, აქტივების ზრდასთან ერთად ასევე იზრდება საბანკო სექტორის მოგებაც. გასული წელი სულაც სარეკორდო მაჩვენებლით- 867 მლნ ლარის მოგებით დაასრულა, რასაც თან სდევს არა იმდენად ბიზნესის, არამედ საცალო დაკრედიტების ზრდა, რაც გარკვეულ რისკებს შეიცავს და რაც ჭარვალიანობის ანალიზისას არის განხილული.

მიგვაჩნია, რომ მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა საქართველოს საბანკო სექტორი ქართული ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სექტორია, ჩვენ ამასთან ერთად ვხედავთ, რომ ბოლო ხუთი წლის სტატისტიკით საბანკო სექტორის წმინდა მოგება იზრდება, თუ იგივე 2012 წლის მონაცემებით წმინდა მოგება 134 მილიონი ლარი იყო, 2017 წლის ბოლოს მოგების მაჩვენებლი 867 მლნ ლარამდე ანუ 6.5 ჯერ გაიზარდა.

საბანკო სექტორის მზარდი მოგება ქვეყანაში ეკონომიკური ზრდით, შემცირებული კომერციული რისკით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესებული საბანკო ზედამხედველობის და მომსახურების სისტემით, მაგრამ მეორეს მხრივ დაკრედიტების ზომაზე მაღალი ტემპებით და ნაწილობრივ მაღალი საპროცენტო სპრედით აიხსნება, რის ანალიზსაც კვლევის შესაბამის ნაწილში შემოგთავაზებთ. რაც შეეხება საპროცენტო შემოსავლებს, გასული წლის იანვარ-დეკემბრის მიხედვით შემოსავლები ფიზიკური პირების სესხებიდან 1,584 მლრდ ლარი იყო, რაც სესხებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების 64 %-ია, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 870 მლნ ლარი შეადგინა, მთლიანი შემოსავლების 36 %(**დიაგრამა №27**).

დიაგრამა №27. საბანკო სექტორის წმინდა მოგება, 2012-2017 წლებში, მლნ ლარი.



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან უფრო მაღალი საპროცენტო შემოსავალი განპირობებულია ერთის მხრივ, რისკ-ფაქტორებიდან გამომდინარე, უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ბიზნეს სესხებთან შედარებით და მეორე, სესხების შედარებით მოკლევადიანობით.

ის გარემოება, რომ ბოლო წლებში იზრდება ფიზიკურ პირებზე დაკრედიტების ტემპები, დაკავშირეულია საცალო პროდუქტების, მათ შორის განვადების, სერვისების განვითარებასთან და ხელმისაწვდომობასთან, როგორც საპროცენტო განაკვეთების შემცირების, ასევე ვადიანობის დაგრძელების თვალსაზრისით. აქვე მსურს ავღნიშნო, რომ ეს ტენდენცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც შესამჩნევია. ტენდენციები და თანამედროვე ინტეგრირებული საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები, მაინც ყველგან იდენტურია.

ამ პერიოდში მოგებაზე ასევე დადებითად მოქმედებდა აქტივების ხარისხის გაუმჯობესება. 2012 წლისათვის აქტივებზე დარეზერვების ხარჯი(ზარალი აქტივების

შესაძლო დანაკარგების მიხედვით, სესხებზე და ფასიან ქაღალდებზე) შეადგენდა 326 მლნ ლარს, 14.3 მლრდ აქტივებში ანუ საერთო აქტივების 2.3 %, ხოლო იგივე მაჩვენებელი 2017 წელს **34,5** მლრდიანი აქტივებში 274 მლნ ლარი ანუ აქტივების მხოლოდ 0.8 % შეადგინა. ბუნებრივია, რომ ხარჯების შემცირება და აქტივების ხარისხის გაუმჯობესება აისახა მომგებიანობის ზრდაზე.

მიგვაჩნია, რომ სისტემის ეს ტრანსფორმაცია, ახალი საბანკო მომსახურების სერვისების გაფართოებაში, მომსახურების ხარისხისა და ახალი პროდუქტების გაზრდილ შეთავაზებაში იქნება ასახული. ეს ყველაფერი კი ისევ ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციას შეუწყობს ხელს.

თავი 3. საბანკო სექტორის მონტარული აგრეგატები, მომგებიანობის და ჭარბვალიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

3.1. მონეტარული აგრეგატების თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან.

საბანკო სესქტორის მომგებიანობის ანალიზი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბანკო დაწესებულებების მონეტარული აგრეგატების თანაფარდობის დინამიკაზე მთლიან შიდა პროდუქტთან, ერთის მხრივ საბანკო დეპოზიტების და მეორეს მხრივ სესხებისა და აქტივების მიხედვით.

დიაგრამა №28. მონეტარული აგრეგატების დინამიკა,%



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს 2010 წლიდან მოყოლებული მონეტარული აგრეგატები პრაქტიკულად გაორმაგებულია. სესხების თანაფარდობა მშპ-სთან გაზრდილია 29 % დან 57.5 %-მდე, დეპოზიტების თანაფარდონა მშპს-თან ასევე გაზრდილია 22 %დან 51.2 %-მდე, ხოლო საბანკო აქტივების შემთხვევაში 47 % დან 90 %-მდე(**დიაგრამა №28**).

მონეტარული აგრეგატების ზრდის დინამიკა მიუთითებს საბანკო სისტემის ხვედრითი წილის ზრდაზე მთლიან შიდა პროდუქტთან ანუ ზოგადად ეკონომიკის დაკრედიტებასთან მიმართებაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სესხებისა და დეპოზიტების მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებელი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება, საშუალო ევროპულ მაჩვენებელს, რომელიც 100 %-ზე მეტია. მიუხედავად ამისა, ბანკების მომგებიანობის ზრდაზე ბუნებრივია, გაზრდილმა მონეტარულმა აგრეგატებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, როგორც რესურსების მოზიდვის, ასევე დაკრედიტების ზრდის თვალსაზრისით.

3.2. აქტივების და საკრედიტო დაბანდებების დინამიკა

საბანკო სექტორის მომგებიანობის ზრდის დინამიკა უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივებისა და საკრედიტო პორთფელის ზრდის მაჩვენებელთან, რაც 2010 წლის შემდეგ პრაქტიკულად გასამმაგებულია. აქტივების მოცულობა გაზრდილია 10.5 მლრდ ლარიდან 34 მლრდ ლარამდე, ხოლო საკრედიტო დაბანდებების მოცულობა 5.7 მლრდ ლარიდან 21 მლრდ. ლარამდე ანუ 3.7 ჯერ, რაც 370 %-ის ექვივალენტურია(**დიაგრამა №29**).

დიაგრამა №29. საბანკო აქტივების, სესხების და ფასიანი ქაღალდების ზრდის დინამიკა, მლნ ლარი;



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სექტორის მომგებიანობის ზრდის დინამიკა უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივებისა და საკრედიტო პორთფელის ზრდის მაჩვენებელთან. აქტივების მოცულობა გაზრდილია 14.3 მლრდ ლარიდან 35.6 მლრდ ლარამდე ანუ 2,5ჯერ, ხოლო წმინდა საკრედიტო დაბანდებების მოცულობა 8.1 მლრდ ლარიდან 21.9 მლრდ. ლარამდე ანუ 2.7 ჯერ, რაც 270 %-ის ექვივალენტურია.

აქტივებისა და დაკრედიტების მოცულობის ზრდასთან ერთად, იზრდება აქტივებში ფასიანი ქაღალდების მოცულობაც, რომელიც 2012 წელთან შედარებით(1,08 მლრდ ლარი), 2018 წლის 2 კვარტლის მდგომარეობით 3.4 ჯერ არის გაზრდილი და 3,7 მლრდ ლარს შეადგენს.

კომერციული ბანკების აქტიური ოპერაციები, რომლებსაც ბანკებისათვის შემოსავალი მოაქვთ პირობითად უნდა დაიყოს კრედიტებითა და ფასიანი ქაღალდებით სარგებლობის მოტივებთან. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტია, რომელიც ემიტენტის სასესხო ვალდებულებას ადასტურებს და გარკვეული პროექტებისა თუ სხვადასხვა აქტივობების დაფინანსებას ემსახურება. მისი მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს სარგებელი წინასწარ განსაზღვრული ვადის განმავლობაში, ობლიგაციის დაფარვის მომენტში კი სრულად დაიბრუნოს კუთვნილი თანხა. პორტფელში ობლიგაციების ჩართვის რამდენიმე მიზეზი არსებობს. მათგან უმთავრესი ლიკვიდობის უზრუნველყოფაა, რაც ბანკების თვითდაზღვევის ერთგვარი მეთოდია.

ნიშანდობლივია, რომ მოცულობითი მაჩვენებლების ზრდასთან ერთად, გაზრდილია სესხების და ფასიანი ქაღალდების პროცენტული თანაფარდობა აქტივებთან, საშუალოდ 2% და 5 %-ით. კერძოდ, 2012 წელთან შედარებით 2018 წლის ორი კვარტალის მიხედვით, ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილის აქტივებში 8 % დან 10 %-მდეა გაზრდილი, ხოლო

სესხების ხვედრითი წილი ამავე პერიოდში გაზრდილია 57 % დან 62 %-მდე, რაც მოცულობით ზრდასთან ერთად, შესაბამისად აისახა კიდეც საბანკო სექტორის მომგებიანობის ზრდაზე. საინტერესო სურათს იძლევა აქტივების სტრუქტურაში, მუშა ანუ შემოსავლის მომტანი აქტივების თანაფარდობა მთლიან აქტივებთან(**დიაგრამა №30**).

დიაგრამა №30. სესხების და ფასიანი ქაღალდების თანაფარდობა აქტივებთან,%



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აქედანაც ჩანს, რომ პროცენტულად საკრედიტო რესურსებში ფასიანი ქაღალდების ჩანაცვლების მაჩვენებელი დიდი არ არის, მაგრამ 3 ჯერ გაზრდილ აქტივებში 2 %-იანი ზრდა, მაინც ასახავს რესურსირების შეზღუდვას განსაკუთრებით ბიზნეს დაკრედიტების შემცირების კუთხით. ზოგადად, სესხების ზრდის დინამიკა აღემატება ორჯერ ფასიანი ქაღალდების ზრდის ტემპებს, რაც სესხებზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, ასავე აისახა ბანკების გაზრდილ მომგებიანობაში.

ნიშანდობლივია, რომ ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე 2014-2015 წლებში, დაფიქსირდა როდესაც შედარებით შემცირდა საკრედიტო დაბანდებების ზრდის ტემპები. სამაგიეროდ, ბანკების მხრიდან გაიზარდა მოთხოვნა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე,როგორც ერთ წლამდე მიმოქცევის, ასევე 2,5 და 10 წლიანი ობლიგაციების შემთხვევაშიც.

2015 წელს საპროცენტო განაკვეთები ისტორიულ მაქსიმუმზეც კი ავიდა, ხოლო 2013 წელთან შედარებით, პრაქტიკულად გაორმაგდა და შესაბამისად, ბანკებსაც ყველაზე მაღალი მომგებიანობა ჰქონდათ როგორც ლარებში, ასევე დოლარებში. გარდა ამისა, ბანკებს თავისუფლად მანევრირების საშუალება ეძლევათ კრედიტის აღებისა და დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, თუმცა იზრდება ღირებულება და რისკის დონეც. როგორც წესი, ბანკთაშორისი დაკრედიტების მთავარ რგოლს ეროვნული ბანკი წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტით (1–დღიანი სესხი, 1–კვირიანი და მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხი) ცდილობს სისტემის მდგრადობის შენარჩუნებას და საზოგადოების ნდობის ამაღლების ხელშეწყობას.

მიუხედავად საკრედიტო პორთფელის ასეთი მაღალი ზრდისა, ძალზე საინტერესო სურათს იძლევა მისი სტრუქტურა, ბიზნეს დაკრედიტების და შინა მეურნეობებზე გაცემული სესხების თვალსაზრისით(**დიაგრამა №31**).

დიაგრამა №31. საკრედიტო პორთფელის სტრუქტურა, შინამეურნეობების და ბიზნეს სესხების მიხედვით,ათასი ლარი.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც ვხედავთ, კომერციული ბანკების მხრიდან კვლავ მზარდია საცალო დაკრედიტების ტემპები, რაც ბიზნესდაკრედიტების აქტივობის შემცირების ფონზე მიმდინარეობს, და ბუნებრივია პოზიტივად ვერ შეფასდება.

ეს ტენდენცია დაიწყო ჯერ კიდევ 2010 წლიდან, მაშინ სესხების ჯამური მოცულობა 5.5 მლრდ ლარი იყო, მთლიან სესხებში ბიზნესსესხების მოცულობა 3.3 მლრდ ლარს შეადგენდა, ანუ ბიზნესესხების ხვედრითი წილი მთლიან პორთფელში 60 % იყო, მომდევნო წლებში ამ პროპორციამ ცვლილება განიცადა, საცალო დაკრედიტების ხვედრითი წილის ზრდის და სამაგიეროდ, ბიზნესსესხების შემცირების მიმართულებით. უკვე 2012 წელს 8.2 მილიარდიან პორტფელში ბიზნესდაკრედიტების მოცულობა 4.7 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაც პროცენტულად 57 %-შეადგინა. ბანკების საკრედიტო პორთფელის ზრდასთან ერთად საკრედიტო პორთფელში ბიზნესდაკრედიტების თანაფარდობის შემცირების და საცალო დაკრედიტების ზრდის ტენდენცია რომ მზარდი იყო, შემდეგ წლებშიც გამოჩნდა. 2015 წელს 12.4 მილიარდიან პორთფელში ბიზნესესესხების თანაფარდობა 6.3 მლრდ ლარი ანუ 51 %-მდე შემცირდა. 2017 წელს 21.3 მილიარდიან პორთფელში ბიზნესსესხების(9.5 მლრდ ლარი) ხვედრითი წილი კიდევ უფრო შემცირდა 44.6 %-მდე და სამაგიეროდ გაიზარდა შინამეურნეობებზე გაცემული სესხების მოცულობა 55.6 %-მდე.

საცალო დაკრედიტების ბუმი განაპირობა საცალო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის ზრდამ, რაც მიმდინარეობდა საპროცენტო განაკვეთების შემცირების, ვადიანობის დაგრძელების და განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე ფასების ხელმისაწვდომობის ზრდის შედეგად. გარდა განვადებების და სამომხმარებლო სესხების ზრდისა, განსაკუთრებით მზარდი ექსპანსია ჰქონდა იპოთეკურ დაკრედიტებასაც, რაც ახალმშენებლობებს უკავშირდება და ბანკებისა და სამშენებლო ინდუსტრიის კოოპერაციით მიმდინარეობს.

დიაგრამა №32. საკრედიტო პორთფელის წვლილი სესხების მთლიან ზრდაში,2015-2017 %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, მაკროეკონომიკური მიმოხილვა, 06/08/2018

როგორც დიაგრამა #28 ჩანს, საცალო და ბიზნეს დაკრედიტების ხვედრითი წილი სესხების წლიური ზრდის დინამიკაში, ყველაზე თანაბარზომიერი 2015 წელს იყო, როდესაც თანაბარ კორელაციაში იყო მთლიანი სესხების ზრდის საშუალო დინამიკასთან. 2016 წელს მთლიანი სესხების საშუალო წლიური ზრდის დინამიკა შემცირდა 14.5 % დან 7.3 % ანუ პრაქტიკულად 2-ჯერ, რაზეც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ბიზნეს დაკრედიტების ზრდის ტემპების-12.3 % დან 2.4 %-მდე ანუ 5 ჯერ შემცირებამ. საცალო დაკრედიტება შედარებით უმნიშვნელოდ 16.9 % დან 12.8 %-მდე შემცირდა. მართალია, გასულ 2017 წელს მთლიანი სესხების ზრდის დინამიკა 7.3 % დან 16.5 %-მდე ავიდა, რაც ბოლო 3 წელიწადში ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელია, მაგრამ მთლიანი სესხების ზრდის დინამიკაზე საცალო დაკრედიტებამ ითამაშა მთავარი როლი, გაიზარდა რა სარეკორდო -26,6%-ით, რაც ბიზნეს დაკრედიტების ზრდის ტემპს 4 ჯერ აღემატებოდა. სესხების ზრდის დინამიკა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მიხედვით, კვლავ მაღალია და საშუალოდ 19 %-ს შეადგენს. თუმცა უნდა აღინიშნოს სესხების საერთო ზრდაში ბიზნეს სესხების ზრდის მაჩვენებელი, კვლავ არასაკმარისად არის დაბალანსებული. თუ თებერვალში საცალო დაკრედიტების ზრდა სარეკორდო იყო და 28 % შეადგენდა, ბიზნეს დაკრედიტება 11.4 % იყო. მართალია, 1 ივლისის მიხედვით საცალო დაკრედიტების ზრდის ტემპი შემცირდა 22.4 %-მდე, თუმცა ბიზნეს დაკრედიტების მაჩვენებელი მას მაინც მნისვნელოვნად ჩამორჩება შეადგენს რა -14.2 %-ს (**დიაგრამა №33**).

დიაგრამა №33. საკრედიტო პორთფელის წვლილი სესხების მთლიან ზრდაში, 2018(6)%



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, მაკროეკონომიკური მიმოხილვა, 06/08/2018

საცალო დაკრიტების ტემპების შემცირება, მაინც ახალ საბანკო რეგულაციებს უკავშირდება, რაც შეეხება ბიზნეს დაკრედიტების ზრდას, ეს შეიძლება იყოს ერთის მხრივ, მაღალი ეკონომიკური ზრდის გამოძახილი და მეორეს მხრივ, ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები.

აქედან გამომდინარე, სამთავრობო პროგრამის -„აწარმოე საქართველოში" ამოცანა, რომელიც 2015 წლიდან დაიწყო, აგებულია რა სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსების მოდელზე, ეკონომიკის რეალური სექტორის სტიმულირების და მაღალი საგადამხდელო დეფიციტის შემცირებასთან ერთად, ბიზნესდაკრედიტების სტიმულირებაც იყო.

მიგვაჩნია, რომ ბიზნესდაკრედიტების ტემპების შენელება, და სამაგიეროდ, საცალო დაკრედიტების ზრდა, ატარებს მაღალ ლიკვიდობის რისკებს, რამაც თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა ეკონომიკურ ზრდაზე მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს. ბანკებს სჭირდებათ ინოვაციური მიდგომების დანერგვა ბიზნესთან ურთიერთობაში, არსებული სტანდარტული დაკრედიტების მოდელები დროს ვეღარ პასუხობს, რადგან იგი კონსერვატულ მიდგომაზე -უძრავი ქონების ღირებულებაზეა რეალურად მიბმული და ნაკლებად ფულადი ნაკადების საპროგნოზო მაჩვენებლებზე. ეს თანაბრად ეხება როგორც დამწყები ბიზნესის, ისე მოქმედი ბიზნესის დაკრედიტებას.

მართალია, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები მიმართავენ ბიზნეს დაკრედიტებებს პრაქტიკულად ყველა მიმართულებას იქნება ეს საბრუნავი საშუალებების დაფინანსება, ძირითადი საშუალებების დაფინანსება, ვაჭრობის დაფინანსება თუ სტატაპების დაფინანსება, კლიენტებს სთავაზობენ საკრედიტო ხაზებსაც, ბოლო წლებში გაზრდილია დაკრედიტების ვადიანობაც 5 წლამდე, ხოლო საშეღავათო პერიოდი 3 თვიდან 12 თვემდე და რაც მთავარია შემცირებულია საპროცენტო განაკვეთები, მთავარი პრობლემა მაინც იმაში მდგომარეობს, რომ ბიზნეს სესხები გაიცემა მხოლოდ ლიკვიდური ქონების უზრუნველყოფის ქვეშ, ძირითადად კომპანიის ან მესამე პირის უძრავი ქონების და მსესხებელი კომპანიის მენეჯერებისა და დამფუძნებლების პირადი ქონების სახით (უგირავნო კრედიტის მაქსიმალური თანხა მხოლოდ 30 ათას ლარამდეა), ხოლო დაფარვის გრაფიკი ნაკლებ ითვალისწინებს არათანაბარი გადახდის პრინციპს, მათ შორის არარევოლვირებადი დაფარვის ფორმას საკრედიტო ხაზების შემთხვევაში. მაშინ როდესაც ევროპული ბანკები სულ უფრო აქტიურად მიმართავენ არარევოლვირებადი დაკრედიტეის ფორმებს როგორც ბიზნეს სესხების, ასევე გრძელვადიანი ოჯახური იპოთეკის დროსაც, რითაც ამსუბუქებენ რა მსესხებლის საპროცენტო ტვირთს, ისედაც დაბალი წლიური საპროცენტო განაკვეთებისას ზრდიან ხელმისაწდომობას საკრედიტო რესურსებზე.

საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის შეფასების და საგარანტიო მექანიზმების სიმცირის პრობლემა ჩვენთან ნამდვილად მწვავედ დგას. შემთხვევითი არ არის ბანკების მიერ დასაკუთრებული უძრავ-მოძრავი ქონების ზრდის დინამიკაც. 2015 წელთან შედარებით, ჩამოწერილი სესხების მოცულობა გაზრდილია 229 მლნ ლარიდან 374 მლნ ლარამდე ანუ 63 %-ით, ხოლო დასაკუთრებული ქონების მოცულობა 142 მლნ ლარიდან 209 მლნ ლარამდე ანუ 67 მლნ ლარით (47%-ით) არის გაზრდილი.

მიგვაჩნია, რომ ბანკებს ნამდვილად სჭირდებათ ინოვაციური მიდგომების დანერგვა ბიზნესთან ურთიერთობაში, ციფრული ბანკინგის ახალი ბიზნესმოდელების და ბიზნესბანკირის ინსტიტუტის ფართო დანერგვით. ბანკი უნდა გახდეს მეწარმის პარტნიორი ფინანსური მრჩევლისა და კონსულტანტის სახით. ნიშანდობლივია, რომ ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად, მცირე ბიზნესის ზრდის ტემპი საშუალოდ 3-ჯერ მაღალია, თუ ორგანიზაცია ციფრული ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობს. მაღალი კონკურენციიდან და კაპიტალის სიმცირიდან გამომდინარე, მცირე ან საშუალო ზომის კომპანია, რომელსაც სურს ცნობადობის ამაღლება, გაყიდვების სტიმულირება ან ზოგადად,

კომპანიის პოზიციონირება, დგება არჩევანის წინაშე – გამოიყენოს ტრადიციული, ძვირად ღირებული მედიასაშუალებები თუ უპირატესობა მიანიჭოს ინტერნეტ კომუნიკაციებს, დახარჯონ მინიმალური რესურსი და უწყვეტ რეჟიმში აკონტროლოს რა მომხმარებლის აზრი მისი კომპანიის შესახებ, პრაქტიულად მარკეტინგული კვლევისა და გაყიდვების პლათფორმაზე გადაერთონ. აღნიშნული პროპორციის ცვლილებამ და სცალო დაკრედიტების ტემპების ზრდამ მნიშვნელოვნად განაპირობა საბანკო სექტორის მომგებიანობის ზრდა, რადგან ბიზნესსესხებთან შედარებით სამომხმარებლო სესხები საშუალოდ 3-4 %-ით ძვირია, ხოლო ვადიანობით ნაკლებია. ეს პრობლემა სერიოზულ რისკებს ქმნის საბანკო სექტორისათვის, მით უმეტეს სისტემის მოგების დიდი ნაწილი 85%, სისტემფორმირებადი სამი კომერციული ბანკის წილზე მოდის.

კაპიტალის ადეკვატურობა – ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური სექტორის ზედამხედველობის მთავარი ბერკეტია. გამომდინარე იქიდან, რომ საბანკო საქმიანობის განხორციელების, სტაბილური ზრდის, საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მაჩვენებელია, მის საფუძველზე შესაძლებელია ტენდენციების ანალიზიც. იგი კომერციულ და ეროვნულ ბანკებს შორის ინტერესთა კონფლიქტს იწვევს, რადგან ერთი მხარე კაპიტალის მინიმალური დანახარჯით ცდილობს მოგების მიღებას, ეროვნული ბანკი კი მყარ ფინანსურ გარანტიას საჭიროებს.

კომერციული ბანკების კაპიტალის მოთხოვნები განისაზღვრება ბაზელ III-ის სტანდარტებითა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციითა და 2013/36/EU დირექტივით. კაპიტალის ადეკვატურობის გასაზომად პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები გამოიყენება, რომელთაგან: პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი წარმოადგენს ბანკის პირველადი კაპიტალის თანაფარდობას რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან. საქართველოს საბანკო სისტემა კაპიტალიზაციის მაღალ დონეს ინარჩუნებს. კერძოდ, ბაზელ III -ით დათვლილი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტია 14.0%, საზედამხედველო კაპიტალის კი 19.1%(**დიაგრამა №34**). 2017 წლისთვის პოზიტიურად შეფასდა კაპიტალის ზრდის რესურსებიც, როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით. ამასთან, ბაზელ II/III-ის დანერგვის ფარგლებში უფრო მეტი აქცენტი კეთდება ეკონომიკური კაპიტალის შეფასებაზე და ბანკის მიერ მის მართვაზე.[1]

დიაგრამა №34 . ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის საშუალო დონე რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებში 2014 – 2018 წლებში



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

[1] საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველწლიური ანგარიში, 2017

2018 წელს სრულად ამოქმედდა ბაზელ II/III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს 1-ლი და მე-2 პილარის კომპონენტები. ბაზელ II/III-ის 1-ლი პილარი უფრო მეტადაა რისკებზე დაფუძნებული ბაზელ I-ის დოკუმენტთან შედარებით. კომერციული ბანკები მოცემული ეტაპისთვის ახორციელებენ ანგარიშგებას განახლებული და არსებული ჩარჩოების ფარგლებში.

ბაზელ II -ით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები უახლოესი 2 წლის განმავლობაში ეტაპობრივად შემცირდება და სრულიად ჩანაცვლდება ბაზელ III-ის ჩარჩოთი. ბაზელ 2-ლი პილარისგან განსხვავებით, რომელიც ყველა ბანკისათვის ერთგვაროვან მეთოდოლოგიას წარმოადგენს, მე-2 პილარი იძლევა ეკონომიკური კაპიტალის გაანგარიშების საშუალებას, რომელიც კიდევ უფრო მეტადაა მორგებული ბანკის უშუალო რისკებზე და მათი მატერიალიზაციის შემთხვევაში, იძლევა ზარალის დაფარვისათვის საჭირო კაპიტალის გაანგარიშების შესაძლებლობას. 2014 წლიდან კომერციულმა ბანკებმა წარმოადგინეს შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების (ICAAP) შედეგები, რომელიც ექვემდებარება სებ-ის მხრიდან საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესს.

კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულების XII თავში განისაზღვრა მესამე პილარიც, რომელიც ბანკების მიერ ინფორმაციის გამჟღავნებაზე აკეთებს აქცენტს. კერძოდ, ბანკები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, რომელიც საზოგადოების მხრიდან გადაწყვეტილებების მიღების გამარტივებასემსახურება.

კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით", რომლის თანახმადაც, პილარ 1-ის ფარგლებში, მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი -4.5%;
- პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი - 6%;
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 8%;

დამატებით, კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის, კონტრციკლური ბუფერისა და სისტემურობის ბუფერისგან. კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი განისაზღვრება რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების 2.5%-ის ოდენობით. კონტრციკლური და სისტემურობის ბუფერები განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტებით. პილარ 2-ის ფარგლებში ბანკებისთვის განისაზღვრება კაპიტალის დამატებითი ბუფერი იმ რისკებისთვის, რომელსაც არ მოიცავს "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით" დაწესებული პილარ 1-ის მოთხოვნები. აღნიშნული რეგულირდება "პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესით". პილარ 2-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ ბუფერებს:

- არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი, რომელიც შედგება სახელობითი კონცენტრაციისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებისგან;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი – საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით დაწესებული ბუფერი;
- წმინდა GRAPE ბუფერი – ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი;

აქტივების ხარისხის შეფასება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მოიცავს მათი რისკის, რაციონალურობის და დივერსიფიცირების ანალიზს. აღნიშნული გამომდინარეობს ბანკისათვის კაპიტალის მნიშვნელობიდან, როგორც სტაბილურობის ზრდის, საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის საშუალება.

3.3. საკრედიტო პორთფელის დივერსიფიკაცია.

რისკ–ფაქტორების კუთხით, 2018 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელი ერთი შეხედვით დივერსიფიცირებულად უნდა ჩაითვალოს (დიაგრამა №31), თუმცა ბოლო წლების მშპ-ის მაჩვენებელს თუ გადავხედავთ, სოფლის მეურნეობას, მეტყევეობასა და თევზჭერას ერთ–ერთი ყველაზე მცირე წვლილი მიუძღვის მიუხედავად იმისა, რომ სესხების 16.2% მოდის მათზე. იგივე ეხება ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებას, რომელსაც გაცემულ სესხებში ყველაზე მაღალი წილის (18.4%) მიუხედავად, მშპ-ში მხოლოდ მე–6 ადგილი ეკუთვნის ვაჭრობის, მრეწველობის, ტრანსპორტირება–კავშირგაბმულობის, მშენებლობის და უძრავი ქონებით ოპერაციების შემდეგ.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (17,8 პროცენტი) და მრეწველობა (16,8 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს სახელმწიფო მმართველობა (10,7 პროცენტი), მშენებლობა (9,0 პროცენტი), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (9,0 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (7,5 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა (6,9 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (5,5 პროცენტი).

საქსტატ-ის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2018 წლის აპრილში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6,5%, ხოლო 2018 წლის პირველი ოთხი თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 5,5% შეადგინა, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია მისი შეფასება რისკ–ფაქტორების კუთხით ანუ როგორია ეკონომიკის დივერსიფიკაცია მშპ-ში მისი სექტორალური მაჩვენებლების ხვედრითი წილის მიხედვით და რამდენად იმეორებს მას ბანკების საკრედიტო პორთფელის სტრუქტურა.

2018 წლის მდგომარეობით, საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელი, განსხვავებით 2012 წლისაგან პრაქტიკულად იმეორებს მშპ-ის სტრუქტურას და გაცილებით დივერსიფიცირებულად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე თუნდაც 2012 წელს იყო.

2012 წელს ბანკების საკრედიტო პორთფელში იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მიხედვით, ვაჭრობაზე-49 %, მრეწველობაზე-21 %, მშენებლობაზე-10 %, სამაგიეროდ ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაზე და ოპერაციები უძრავი ქონებით და კომერციულ საქმიანობაზე -3 %, ხოლო სოფლის მეურნეობაზე, მეტყევეობაზე და თევზჭერაზე, ასევე განათლებაზე, სასტუმროებზე და რესტორნებზე და ფინანსურ შუამავლობაზე მხოლოდ 1 % მოდიოდა.

ამ სტატისტიკიდანაც ჩანს, რომ 3 დარგზე მშპ-ის 81 % მოდიოდა(**დიაგრამა №35**). 2018 წლის პირველი კვარტლის მიხედვით: ვაჭრობაზე მოდის-22 %, მრეწველობაზე-27 %, მშენებლობაზე-11 %, ოპერაციები უძრავი ქონებით, კომერციული საქმიანობა-10 %, სასტუმროებზე და რესტორნებზე-8 %, ფინანსური შუამავლობა-5 %, სოფლის მეურნეობაზე და თევზჭერაზე-4.5 %, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება-3%. შესაბამისად, მშპ-ის 83 % უკვე 6 წამყვან დარგზე მოდის.

დიაგრამა №35. კომერციული ბანკების მიერ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები





რაც შეეხება მშპ-ის სტრუქტურას. საბანკო საკრედიტო პორთფელთან შედარებისათვის, 2018 წლის დასაწყისში მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (17,8 პროცენტი) და მრეწველობა (16,8 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს, მშენებლობა (9,0 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (7,5 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა (6,9 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (5,5 პროცენტი).

ეკონომიკის დივერსიფიკაცია, რისკების შემცირების თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი და იგი დიდწილად ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შედეგია, მათ შორის ისეთი სამთავრობო პროგრამებისა, როგორებიც არის -აწარმოე საქართველოში, იაფი აგროკრედიტის პროგრამა, დანერგე მომავალი და ა.შ.

ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კაპიტალის სტანდარტების პარალელურად სებ-მა დანერგა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR – Liquidity Coverage Ratio), რომლის მიზანია, კომერციული ბანკი ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის საჭიროა, ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში.

გარდა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისა, კომერციული ბანკების ლიკვიდობა რეგულირდება საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის საშუალებითაც, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივებისა და საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების შეფარდებას.

დიაგრამა №36. კომერციული ბანკების ლიკვიდურობის მაჩვენებლები, 2012-2018 (6)წ



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც დიაგრამიდან ჩანს(**დიაგრამა №36**), 2012 წელთან შედარებით ლიკვიდობის მაჩვენებლები შემცირებულია, როგორც მოკლევადიან ვალდებულებებთან, ასევე მთლიან აქტივებთან მიმართებაში. ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა მთლიან აქტივებთან შემცირებულია 27 % დან 22%-მდე, ხოლო ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა მოკლევადიან ვალდებულებებთან 45 % დან 34 %-მდე. ლიკვიდობის მაჩვებელების დაწევა, უიმედო სესხების 3 %-იანი დონისას, აჩვენებს დაკრედიტების მაღალ მაჩვენებლებსაც, რაც ბოლო წლებში საპროცენტო შემოსავლების ზრდაშია ასახული. საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწას საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) დანერგვას, ბაზელის სტანდარტების მიხედვით.

სავალუტო ლიკვიდური რისკის მართვა – ეს რისკი ყველაზე აქტუალურია მოცემული მომენტისთვის, რადგან ბოლო პერიოდში ეროვნულმა ვალუტამ სერიოზული ინფლაცია განიცადა, რამაც დოლარიზაციის მაღალი დონის გამო, მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. შედეგად, რისკისადმი მგრძნობელობა 2014 წელთან შედარებით თითქმის 700%–ით გაიზარდა.

დოლარიზაციის მაღალ დონეს განაპირობებს ის, რომ სესხების 60%–ზე მეტი უცხოურ ვალუტაშია გაცემული, მაშინ, როცა მათი მფლობელების 80% ხელფასს ლარში იღებს.

შედეგად, დეპოზიტის განთავსების დროს ვალუტის კურსის ცვლილება ლარით გამოხატულ სარგებელს მნიშვნელოვნად ამცირებს.

როგორ შეიძლება სავალუტო რისკის არიდება?! პირველი, ყველაზე ნალებ მიღწევადი, უცხოური ვალუტით სესხებზე საერთოდ უარის თქმაა. მეორე, ეროვნულმა და კომერციულმა ბანკებმა უნდა გაზარდონ განთავსებული დეპოზიტების მოცულობა. ამის მიღწევის ერთ–ერთი საშუალება ბანკებისადმი და ეროვნული ვალუტისადმი მოსახლეობის ნდობის გაღრმავებაა. გაზრდილი დანაზოგები ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის გარანტია.

3.4. ჭარბვალიანობა და მისი შეფასების ინდიკატორები.

ფართოდ აღიარებული მოსაზრების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას გააჩნია სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების – კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სხვა კერძო მსესხებლების მიმართ. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ფინანსებზე წვდომის შესახებ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველო იმ ქვეყნებს შორის არის, სადაც საკმაოდ მაღალია კომერციული ბანკების მსესხებელთა რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ 2016 წლის მონაცემების მიხედვით, 1000 ზრდასრულ მოსახლეზე უკვე 710 მსესხებელი მოდის, რომელიც მსოფლიოში სიდიდით მეორე მაჩვენებელია თურქეთის შემდეგ (2016 წლის კვლევა ფინანსებზე წვდომის შესახებ).

მართალია, ტერმინოლოგიურად ჭარბი დავალიანება არის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის უუნარობა გრძელვადიან პერიოდში და არ შეეხება თუნდაც სესხის ერთჯერად გადაუხდელობას, მაგრამ როდესაც განკარგვადი შემოსავლის მნიშნელოვანი ნაწილი სესხების მომსახურებაზე მიდის, სახეზეა არა ჭარბი დავალიანება, არამედ ვალაუვალობის პრობლემა. თავის მხრივ, სწორედ ვალაუვალობა შეიძლება გახდეს სერიოზული პრობლემა ეკონომიკის ვარდნის ან შენელებისას ან თუნდაც გარე შოკებისას, ვალუტის მკვეთრი გაუფასურებით, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც დიდია სესხების დოლარიზაცია. რეალურად მსესხებელთა მაღალი რაოდენობა, განპირობებულია დაბალი შემოსავლებით, დასაქმებულთა მესამედის განკარგვადი შემოსავლები 500 ლარზე ნაკლებია, რაც ბუნებრივად იწვევს შემოსავლებისა და ხარჯების დაუბალანსებლობას, რაც პერიოდულად წმინდა ფულადი ნაკადების დეფიციტს წარმოქმნის და შსაბამისად, საბანკო კრედიტზე მაღალ დამოკიდებულებაში აისახება.

დიაგრამა №37. უმოქმედო სესხები (სსფ-ს მეთოდოლოგიით)/მთლიანი სესხები,%



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ჭარბვალიანობის როგორც გრძელვადიან პერიოდში ფინანსური ვალდებულებების ვერმომსახურების სურათს იძლევა როგორც პრობლემური სესხების საკრედიტო პორთფელში ხვედრითი წილის ცვლილების დინამიკა, ასევე ჯარიმებისა და საურავების ზრდის მაჩვენებლები, ნაწილობრივ ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების ზრდის ტენდენციები.

როგორც # 37 დიაგრამიდან ჩანს, საქართველოს საბანკო სექტორში უმოქმედო სესხების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში, ბოლო ორი წელია კლების ტენდენციით ხასიათდება და 2016 წლის ბოლოსთან შედარებით(3.4%), 2018 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით 2.4 %-მდეა შემცირებული.

მთლიან სესხებში უმოქმედო სესხების თანაფარდობის მიხედვით, ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი კარგი მაჩვენებელი როგორც რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დონეზეც კი. სასომხეთში ანალოგიური მაჩვენებლი 2017 წლის მეორე კვარტლის მიხედვით იყო 16.3 %, თურქეთში-3.0%, მოლდოვაში-17 %, რუსეთში-9.8 %, ჩეხეთში და პოლონეთში-4.0%, ლატვიაში-3.5 %,ლიეტუვაში-3.3%**(იხ.დიაგრამა #38);**

უმოქმედო სესხების ხვედრითი წილის შემცირება მთლიან სესხებში და მისი რეგიონალურ დონეზე ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი ჭარბვალიანობის კრიზისზე ნამდვილად არ მიუთითებს.

დიაგრამა №38. უმოქმედო სესხები /მთლიანი სესხები, 2017(2),%



წყარო:საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საინტერესო სურათს იძლევა ჯარიმების და საურავების ზრდის დინამიკაც. მართალია, 2012 წელთან შედარებით 37 მლნ ლარიდან 77 მლნ ლარამდე ანუ ორჯერ არის გაზრდილი შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან, მაგრამ როგორც დიაგრამა #38 ჩანს, პროცენტულად იგივეა მთლიან არასაპროცენტო შემოსავლებში და 9 %-ს შეადგენს, თუმცა ამავდროულად მოცულობითი ზრდის გაორმაგებული დინამიკა გაზრდილ რისკებზე მაინც მიუთითებს.

ამ თანაფარდობის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2013-2014 წლებში გვქონდა და შესაბამისად, 2013 წელთან შედარებით არა თუ გაზრდილი, არამედ 15 % დან 9 %-მდეა შემცირებული.

დიაგრამა №39. შემოსავლები ჯარიმებიდან /მთლიან არასაპროცენტო შემოსავლებში, 2012-2017,%



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი, სცეა

მესამე მდგენელი არის ბანკების მიერ დასაკუთრებული უძრავ-მოძრავი ქონება. დიაგრამიდან ვხედავთ, რომ 2015 წელთან შედარებით, ჩამოწერილი სესხების მოცულობა გაზრდილია 229 მლნ ლარიდან 374 მლნ ლარამდე ანუ 63 %-ით, ხოლო დასაკუთრებული ქონების მოცულობა 142 მლნ ლარიდან 209 მლნ ლარამდე ანუ 67 მლნ ლარით (47%-ით) არის გაზრდილი(**დიაგრამა №40**) .

რეალურად ბანკების მიერ დასაკუთებული უძრავ-მოძრავი ქონების მოცულობა ატარებს რა დაგროვებით ანუ კუმულატიურ ეფექტს, საშუალოდ წლიურად 22 მლნ ლარით არის გაზრდილი. აქ ასევე მნიშვნელოვანია თუ როგორია პროცენტული თანაფარდობა თავად საბანკო აქტივებთან მიმართებაში.

2015 წელს დასაკუთრებული ქონების თანაფარდობა აქტივებთან მიმართებაში თუ იყო 0.56%, ხოლო 2017 წლის ბოლოსათვის 0.60 % ანუ ზრდა უმნიშვნელოა და პროპორცია პრაქტიკულად არ შეცვლილა.

დიაგრამა №40.ჩამოწერილი სესხები და დასაკუთრებული ქონება, მლნ ლარი



წყარო:საქართველოს ეროვნლი ბანკი

წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ჭარბვალიანობის კრიზისი დღეს ნამდვილად არ შეიმჩნევა, მაგრამ ზოგადად ჭარბვალიანობის რისკი, ბუნებრივია, არსებობს და კვლევის შემდეგ ნაწილში არის წარმოდგენილი.

ჭარბვალიანობის რისკის ერთ-ერთ არგუმენტად, საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში ნეგატიურად კვალიფიცირებული მსესხებლების ზრდა უნდა მივიჩნიოთ. 2018 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ასეთი მსესხებლების რაოდენობა გაზრდილია და 630 ათას აჭარბებს. მიუხედავად ამ არასასურველი ტენდენციისა, ეს არ არის დღევანდელი ან თუნდაც უახლოესი წლების პრობლემა. პრობლემის სათავე უდავოდ უკავშირდება 2008-2009 წლების გლობალურ კრიზისთან და რუსეთ-საქართველოს საომარი კონფლიქტის შედეგებთან. ქვეყნის ეკონომიკაზე ამ ორმაგი კრიზისული ეფექტის ზეგავლენამ, სერიოზულად იმოქმედა როგორც ფიზიკური პირების, ასევე განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის შემოსავლებზე და საქმიანობაზე. შესაბამისად, პირველი სერიოზული ტალღა ნეგატიური ჩანაწერებისა, სწორედ ამ პერიოდში აღინიშნა.

ჭარვალიანობის გაზრდილ რისკზე მიუითებს საქართველოში ქონების დაკარგვის კანდიდატთა რიცხვის ზრდაც. წლის დასაწყისიდან მხოლოდ ბოლო 4 თვის განმავლობაში გადახდისუუნარო მოსახლეობის რაოდენობამ 15,6 ათასით მოიმატა. თუ 2018 წლის 21 თებერვლისთვის აღსრულების ეროვნული ბიუროს, მოვალეთა რეესტრში 239 831 ჩანაწერი იყო, ახლა ეს რიცხვი 255 494-ს შეადგენს. შედეგად გამოდის, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის თითქმის 7% გადახდისუუნაროა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. (სტატისტიკის სამსახურის მონაცემების, საქართველოში დღეს 3,729 მლნ ადამიანი ცხოვრობს).

მართალია, ბოლო წლების განმავლობაში მოვალეთა რეესტრის მონაცემები სწრაფად იცვლება, რადგან დავალიანების დაფარვის შემთხვევაში ბაზიდან პირის ამოღება ხდება. თუმცა ფაქტია, რომ ბოლო წლებში ის ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

3.5 შინამეურნეობების დავალიანება და სისტემური რისკები.

უნდა განვმარტოთ, რომ მოხსენების წინა ნაწილში წარმოდგენილი ანალიზი არ იძლევა ჭარბვალიანობის ღია სურათს, თუმცა მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების ზრდა, ჭარბვალიანობის რისკზე მიუთითებს. ზოგადად ერთია კრიზისული სიტუაცია, რომელიც შეიძლება არ დამდგარა, მაგრამ რისკების ზრდის ან შემცირების ქცევის შესაფასებლად, გაცილებით ობიექტურ სურათს მაკროეკონომიკური ინდიკატორები გვაძლევს. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში, გამოიყენება ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, როგორიც არის შინამეურნეობების ვალის მშპ-სთან თანაფარდობა და შინამეურნობების დავალიანება განკარგვად შემოსავლებთან მიმართებაში.

1. შინამეურნეობების ვალის მშპ-სთან თანაფარდობა.

შინამეურნეობების ვალის მშპ-სთან თანაფარდობის საშუალო მაჩვენებელი ევროზონის ქვეყნებში არის 58 %, ხოლო მთელ რიგ ქვეყნებში გაცილებით მაღალია. შვეიცარიაში-127 %, დანიაში-117 %, ნიდერლანდებში-106 %, დიდ ბრიტანეთში-87 %. გაცილებით ნაკლებია ირლანდიაში-48 % და იტალიაში-41 %. რაც შეეხებათ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს აქ სურათი ასეთია. პოლონეთში-35 %, ჩეხეთში-31 %, ლიტვაში-23 %. საქართველოში ეს მაჩვენებელი მაღალი ნამდვილად არ არის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დონეზეა და 39 %-ს შეადგენს.

ამ მონაცემებსაც თავისი ახსნა აქვს. შედარებით განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე,

რომელიც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 38 ათას აშშ დოლარზე მაღალია, ბუნებრივია, გაცილებით მაღალი საკრედიტო დაბანდებებით ხასიათდებიან. მაგალათისათვის საქართველოს შემოსავლების დონე ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 10 000 აშშ დოლარამდეა, მაშინ როცა შვეიცარიაში 58 ათასი აშშ დოლარის, დანიაში - 45,6 ათასი აშშ დოლარის, ნიდერლანდებში-47 ათასი აშშ დოლარის, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 25-30 ათასი აშშ დოლარის ფარგლებშია ანუ ჩვენზე 3 ჯერ მეტია. აქვე ავღნიშნავთ, რომ შინამეურნეობებში შედის როგორც საცალო დაკრედიტება სამომხმარებლო სესხების და განვადებების სახით, ასევე იპოთეკური სესხები და მიკროსესხები მეწარმე ფიზიკურ პირებზე.

2. შინამეურნობების დავალიანება განკარგვად შემოსავლებთან მიმართებაში.

ახლა ვნახოთ თუ როგორია შინამეურნობების დავალიანება განკარგვად შემოსავლებთან მიმართებაში. ევროზონის ქვეყნებში მისი საშუალო მაჩვენებელი 2017 წლის მიხედვით არის 93 %, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შედარებით მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში კიდევ უფრო მაღალი. კანადაში -173 %, დანიაში-246 %, ნიდერლანებში-208 %, შვედეთში-156 %, გერმანიაში 107 %-ს, ფინეთში-114 %-ს, ხოლო შვეიცარიაში-182 %-ს შეადგენს. ბუნებრივია, აქ იგულისხმება, განკარგვადი შემოსავლის მოკლე და გრძელვადიანი სესხების ჯამურ მოცულობასთან ფარდობის მაჩვენებელი და არა ყოველთვიური გადახდის მიხედვით განკარგვადი შემოსავლების პროპორცია.

საქართველოში ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, 2008 წლის კრიზისამდე, საოჯახო მეურნეობის ვალის განკარგვად შემოსავალთან თანაფარდობის მაჩვენებელი 11%-ს შეადგენდა, 2012 წელს -15 % იყო, ხოლო 2017 წლის ბოლოს 3.5 ჯერ გაიზარდა – 53 %-ს მიაღწიამიაღწია(**დიაგრამა №41**), და არის ევროპის საშუალო შემოსავლების მქონე ევროპის ქვეყნების დონეზე.

დიაგრამა №41. შინამეურნეობების ვალი მშპ-სთან და განკარგვად შემოსავალთან მიმართებაში,%



წყრო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ამ მონაცემებიდანაც ჩანს, რომ მაკროდონეზე სესხის დაგროვების ტემპი გაცილებით აღემატება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს, რომელიც ამავე პერიოდში 1.5 ჯერ გაიზარდა. ევროპის საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 35-75 %-ის ფარგლებშია(სლოვაკეთში-63%, პოლონეთში-60 %, ხორვატიაში-57 %, ჩეხეთში-59 %,

ესტონეთში-75 %, ლატვაში-35 %, ლატვიაში-37%, უნგრეთში-39 % სლოვენიაში-45%), ხოლო უფრო დაბალი შემოსავლების ან თუნდაც ჩვენი დონის ქვეყნებში კიდევ უფრო დაბალია.

აქედან გამომდინარე, ეს ინდიკატორი ზრდის დინამიკიდან და მოსახლეობის საშუალო ევროპულ დონესთან შედარებით გაცილებით დაბალი შემოსალებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ასახავს ვალაუვალობის გაზრდილ რისკებს, თუმცა როგორც ავღნიშნეთ, ცალსახად მისი როგორც კრიზისულ ზღვარზე მყოფი სიტუაციის შეფასება არასწორად მიმგვაჩნია. ამასთან, ჩვენ ვხედავთ, რომ არასწორია ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ეს პრობლემა გამოწვეულია მოსახლეობის დაბალი შემოსავლების გამო. რეალურად, ჩვენ ვართ იმ ქვეყნების დონეზე, სადაც შემოსავლები ჩვენზე გაცილებით 3-4 ჯერ მაღალია, მაგრამ სამაგიეროდ ამ მაჩვენებლით ვართ გაცილებით წინ ვიდრე ჩვენნაირ ან ჩვენზე დაბალი შემოსავლების ქვეყნებთან შედარებით. ეს ფაქტორი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სამომხმარებლო სესხების არც თუ მცირე ნაწილი გაიცემოდა შემოსავლების დადასტურების გარეშე.

განვმარტავთ, რომ ვალის შეფარდება განკარგვად შემოსავალთან ერთმანეთს ადარებს სესხების ჯამურ მოცულობას და განკარგვადი შემოსავლების წლიურ მაჩვენებელთან და არა გადასახდელი მიმდინარე ვალის შემოსავლების პროპორციასთან, ანუ პირს შეიძლება ჰქონდეს 3 წლიანი ჯამური საკრედიტო დავალიანება 10000 ლარის, წლიური განკარგვადი შემოსავლი კი 5000 ლარი იყოს და შესაბამისად, მიმდინარე ვალის მომსახურებაში იხდიდეს თუნდაც 2000 ლარს. გარდა ამისა, სესხის განკარგვად შემოსავალთან ფარდობა ზომავს იმ ადამიანების ვალებს, ვინც ფული ისესხა და ადარებს მას იმ ადამიანების შემოსავლებს, ვისაც შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს სესხი.

3. დაკრედიტების ტემპების ეკონომიკის ზრდასთან თანაფარდობის მაჩვენებელი.

ჩვენს მიერ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად დაკრედიტების ტემპების ეკონომიკის ზრდასთან თანაფარდობის მაჩვენებელი არის წარმოდგენილი. ბუნებრივია, დაკრედიტების ზრდა დადებით კორელაციაშია ეკონომიკის ზრდასთან მიმართებაში. კერძოდ, როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ნაწილში დაკრედიტების ზრდა აღემატება ეკონომიკის ზრდის ტემპებს, ხოლო ზრდის ტემპების თანაფარდობა მაქსიმუმ 2 -ის ფარგლებშია.

დიაგრამა №42. დაკრედიტების ზრდის მაჩვენებელი, მშპ-სთან წლიურ ზრდასთან მიმართებაში, 2017 %.



წყარო: მსოფლიო ბანკი, სცეა

დიაგრამაზე წარმოდგენილია, როგორც განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების, ასევე ევროზონის და სწრაფად მზარდი განვითარებადი აზიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლების საქართველოსთან შედარება. ევროზონის ქვეყნებში მშპ-ის ზრდის და საბანკო კრედიტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლები 2018 წლის პირველი კვარტლის მიხედვით პრაქტიკულად თანაბარია, მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 2.4%, ხოლო დაკრედიტების ზრდის მაჩვენებელი 2.9 %-ია. ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან შედარებით მაღალი კორელაცია აქვს საფრანგეთს(მშპ-ის წლიური ზრდა 2.3 %, დაკრედიტების ზრდის დონე-4.97 %) და შვედეთს(მშპ-ის წლიური ზრდა 3.3 %, დაკრედიტების ზრდის დონე-6.8 %) ანუ დაკრედიტების წლიური ზრდა დაახლოებით ორჯერ მეტია ეკონომიკის ზრდასთან შედარებით(**დიაგრამა №42**). ნიშანდობლივია, რომ აზიის სწრაფად განვითარებადი ქვეყნებისთვისაც კი(ინდოეთი, ჩინეთი) სადაც ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი 3 ჯერ აღემატება ევროზონის ქვეყნების წლიური ზრდის დონეს და 7 %-ზე მაღალია, დაკრედიტების ტემპები ეკონომიკის ზრდას მხოლოდ 1.8 ჯერ აღემატება.

ჩვენს შემთხვევაში, თუ გასული 2015-2017 წლის პერიოდს მივიღებთ მხედველობაში, ეკონომიკის ზრდამ საშუალოდ 3.56 % შეადგინა, ხოლო ბანკების საკრედიტო პორთფელი ამავე პერიოდში საშუალოდ 19.8 %-ით არის გაზრდილი, ხოლო რეალური ზრდა ინფლაციის გამოკლებით 15.3 %-ს შეადგენს ანუ დაკრედიტების ტემპები ეკონომიკის რეალურ ზრდას 5.6 ჯერ, ხოლო ინფლაციის გამოკლებითაც კი 4.3 ჯერ აღემატებოდა. ამასთან, არ უნდა დგვავიწყდეს, რომ ზრდის მთავარი გენერატორი არა ბიზნეს დაკრედიტება, არამედ საცალო სეგმენტი იყო.

არსებული სიტუაციის ანალიზი აჩვენებს, რომ ჩვენი მოსახლეობა საკრედიტო რესურების მოხმარებით ევროპის წამყვანი ქვეყნების დონეზეა, მაშინ როდესაც რეალური შემოსავლები საშუალოდ 5 ჯერ უფრო ნაკლებია. თუმცა, ამავდროულად, დაკრედიტების ზრდის არსებული ტემპები, როდესაც ბიზნესდაკრდიტების ზრდის ტემპებთან შედარებით, მზარდია საცალო დაკრედიტების ხვედრითი მოცულობა, კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს საბანკო სექტორისათვის, უკვე სისტემური, კერძოდ ლიკვიდობის რისკის ზრდის თვალსაზრისით. თავის მხრივ ვალაუვალობის რისკი, შეიძლება გადაიზარდოს სოციალურ რისკში, რაც ადამიანების მიერ სესხების ირაციონალურად აღებას უკავშირდება, რაც განპირობებულია ერთის მხრივ იმით, რომ დაბალ შემოსავლებთან ერთად, მოსახლეობას არა აქვს ფინანსური განათლება და ფინანსების მართვის უნარი, მაგრამ მეორეს მხრივ, ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის წმინდა მომხმარებლის ფსიქოლოგიაზე მიუთითებს. შინამეურნეობების განკარგვად შემოსავალთან მიმართებაში ჭარბვალიანობით არა თუ ჩვენზე ღაბიბ, ან თუნდაც ჩვენი შემოსავლების დონის, არამედ ჩვენზე 3-4 ჯერ მაღალი შემოსავლების მქონე ევროპის ქვეყნების დონეზე ვართ, რაც ზემაღალმა საკრედიტო ექსპანსიამ და სესხების ლიმიტის გარეშე გაცემამ გამოიწვია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ფინანსებზე წვდომის შესახებ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველო იმ ქვეყნებს შორის არის, სადაც საკმაოდ მაღალია კომერციული ბანკების მსესხებელთა რაოდენობა. როგორც ავღნიშნეთ აღმოჩნდა, 2016 წლის მონაცემების მიხედვით, 1000 ზრდასრულ მოსახლეზე მსესხებელთა რაოდენობით მსოფლიოში სიდიდით მეორე მაჩვენებელი გვაქვს თურქეთის შემდეგ, თუმცა იგივე თურქეთში შინამეურნეობების ვალის შეფარდება მშპ-სთან არის მხოლოდ 18 %.

ეს არის მთავარი დილემა, რაც ხელს უშლის ეკონომიკის ზრდას რეალურად და ნაკლებ ის თუ რატომ იღებენ ადამიანების სესხებს როდესაც მათი შემოასვლები ამას ვერ უზრუნველყოფს, ან რატომ გასცემენ ბანკები სესხებს ამ ტიპის მოქალაქეებზე. მართალია, დაკრედიტება ასტიმულირებს მოხმარებას, მაგრამ მეორეს მხრივ, დაკრედიტების მაღალი ტემპებისას, სამომხმარებლო კრედიტის დონის ზრდა, თუ ის იკავებს განკარგვადი შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს, ამცირებს მოხმარებას და მშპ-ის ზრდის ტემპს, რაც

კიდევ უფრო ზრდის ჭარბი დავალიანების რისკს ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ლიკვიდობის რისკს მომავალში, რასაც საქართველოს პირობებში ემატება არაფორმალური სექტორის მაღალი ხვედრითი წილი.

მართალია, დღეს უიმედო სესხების პროცენტული წილი საკრედიტო პორთფელში დაბალია, მაგრამ თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, იგი აუცილებლად აისახება მომავალში საბანკო სექტორზე ნეგატიურად, როგორც საპროცენტო შემოსავლების შემცირების, ასევე მომგებიანობის შემცირების თვალსაზრისითაც. რაც შეეხება ეკონომიკაზე ახალი საბანკო რეგულაციების ზეგავლენას მიგვაჩნია, რომ თავდაპირველ ეტაპზე მას გარკვეული შენელების ეფექტი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ არა უმეტეს 1 %-ის ფარგლებში, თუ სამშენებლო ბიზნესის ხვედრით წილს გავითვალისწინებთ მშპ-ის ზრდაში. იპოთეკური დაკრედიტებისას ისედაც მოქმედებდა გაცილებით მკაცრი მოთხოვნები სხვა საცალო პროდუქტებთან შედარებით, როგორც დადასტურებული შემოსავლის, ასევე საკრედიტო ლიმიტის თვალსაზრისით, ხოლო ალტერნატივად შიდა განვადებების პრაქტიკა ისედაც გამოიყენებოდა და მისი გამოყენება მომავალშიც გაიზრდება.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას აფერხებს არაფორმალური სექტორი და თვითდასაქმება, რომელიც ძირითადად, საკუთარი თავის ფიზიკური კვლავწარმოების პროცესშია ჩართული და არა კაპიტალის დაგროვების და საწარმოო კვლავწარმოების პროცესში. ცვლილებები შევიდა საკრედიტო ბიუროების საქმიანობის და ზედამხედველობის წესშიც. ეროვნულ ბანკს დაევალა 2018 წლის 1 სექტემბრამდე გამოსცეს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები. დღეს ეკონომიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიკრო და მცირე ბიზნეს აქტივობას და ნებისმიერი რესურსი მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული. შედეგად ვიღებით სუტუაციას, როდესაც კომერციული ბანკი უარს ეუბნება ამ ნეგატიური ჩანაწერის სტატუსის მქონე კლიენტს, რომელიც იძულებული ხდება სესხი აიღოს, გაცილებით უარესი პირობებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ან სულაც კერძო მევახშესთან. მისასალმებელია, რომ ეროვნული ბანკი საკრედიტო საინფორმაციო ბიუროების საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად იმუშავებს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში დაცულ მონაცემებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რამაც უნდა გააუმჯობესოს მონაცემთა ხარისხი და საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყოს პოტენციური მსესხებლების/მომხმარებლების გადახდისუნარიანობის შეფასებას.

მნიშვნელოვანია, რომ კონცეპტუალურად იცვლება ამჟამად დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ვადაგადაცილების შემთხვევაში საკრედიტო ამონაწერში მომხმარებელს "ნეგატიური" სტატუსი ენიჭება. ცვლილებების შედეგად, საკრედიტო ამონაწერში "ნეგატიური" სტატუსის ნაცვლად ასახული იქნება ფაქტობრივი მონაცემები მომხმარებლის/მსესხებლის საკრედიტო ისტორიის შესახებ. გარდა ამისა, ვადაგადაცილების სტატუსი - ნეგატიური, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. მსესხებელს რომელსაც ჰქონდა ვადაგადაცილება 2 წლის წინ ან თუნდაც 6 თვის წინ, სულაც არ ნიშნავს, რომ მისი გადახდისუნარიანობა ავტომატურად დაბალზე შეფასდეს.

თავი 4. ბანკების მომგებიანობის ანალიზი.

4.1 ბანკების შემოსავალ-ხარჯების სტუქტურა.

კომერციული ბანკების შემოსავლების ნაწილში გარდა საპროცენტო შემოსავლებისა სესხებიდან და ფასიანი ქაღალდებიდან, აგენერირებს არასაპროცენტო შემოსავლებსაც საზარათე ოპერაციებიდან, ვალუტის გადაცვლის ოპერაციებიდან, დისტანციური მომსახურების არხებიდან და სხვადასხვა ფინანსური მომსახურებიდან. მოსახლეობის ფინანსური განათლების ზრდასთან ერთად იზრდება საბანკო პროდუქტების მოხმარება, მეტი ტრანზაქცია ხორციელდება საბანკო ბარათებით, ამასთან ერთი კლიენტი საშუალოდ უფრო მეტ ფინანსურ პროდუქტს მოიხმარს, რაც შესაბამისად ზრდის ბანკების ახალი პროდუქტების გაყიდვიდან და არასაპროცენტო შემოსავლებიდან მიღებულ მოგებას.

სამაგიეროდ, ხარჯების სტრუქტურაში ბანკის ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ისეთი ხარჯები, როგორებიცაა თანამშრომლების ხელფასები, მარკეტინგის და სხვა ადმინისტრაციული დანახარჯები, ფილიალების მოვლა/შენახვის დანახარჯები და ა.შ. ამ ტიპის ხარჯების ეფექტურად განკარგვა წარმოადგენს ბანკის მოგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ეფექტიანობის ზრდას ხელს უწყობს საბანკო სექტორის კონსოლიდაცია და ტექნოლოგიური პროდუქტების დანერგვა. ამ გზით საბანკო სექტორი ახერხებს მასშტაბის ეკონომიის მიღწევას, რაც სხვა სიტყვებით ნიშნავს რომ ერთი დამატებითი პროდუქტის გაცემა უფრო ნაკლები დანახარჯებით არის შესაძლებელი. კვლევაში ბანკების მომგებიანობის ანალიზისას ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: მასშტაბის ეფექტი, ბაზრის ნიშის ან კონკრეტული უპირატესობის არსებობა და საკრედიტო საპროგნოზო დანაკარგები.

ნიშანდობლივია, რომ თუ 2017 წლამდე საპროცენტო შემოსავალის მთლიან შემოსავალთან თანაფარდობის მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და 66.5 % დან 52.5 %-მდე იყო შემცირებული, რაც ბუნებრივია დადებით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ სამაგიეროდ 2017 წლის დასაწყისიდან ისევ ზრდა დაიწყო და უკვე წლის ბოლოს 59%-ზე ავიდა. ეს ნეგატიური ტენდენცია გრძელდება მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც და კვარტლის ბოლოს მისმა მაჩვენებელმა 65 % შეადგინა.

საპროცენტო შემოსავლების ხვედრითი წილის ასეთი მზარდი ზრდა მთლიან შემოსავლებში, გამოწვეულია საცალო დაკრედიტების ექსპანციის ზრდით და მეორეს მხრივ, არასაპროცენტო შემოსავლების ნაწილში საკომისიოებიდან გაზრდილი შემოსავლების შედეგად, რაც პოზიტიურად უნდა მივიჩნიოთ.

საპროცენტო შემოსავლების ზრდის დინამიკა 2012 წლიდან მოყოლებული თვალსაჩინოა, და თუ 2012 წლის ბოლოს საპროცენტო შემოსავლებმა 1.5 მლრდ ლარი შეადგინა, 2017 წლის ბოლოს მისი მაჩვენებელი უკვე 2,712 მლრდ ლარი იყო ანუ გაიზარდა 180 %-ით, რაც წლიურად საშუალოდ 36 %-იანი ზრდის ტოლფასია(**დიაგრამა №43**).

დიაგრამა №43. საპროცენტო შემოსავალი და არასაპროცენტო ხარჯი /მთლიან შემოსავალთან, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საფინანსო სექტორის მიმოხილვა, 11/06/2018

საპროცენტო შემოსავლებში საინტერესო ტენდენცია იკვეთება ფიზიკური და იურიდიული პირების სესხებიდან მიღებული შემოსავლების დინამიკაში. ფიზიკური პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლები 2012 წელს 709.5 მლნ ლარი იყო უკვე 2017 წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად გაორმაგდა და 1.5 მლრდ ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც ანალოგიურ პერიოდში იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 657 მლნ ლარიდან მხოლოდ 869 მლნ ლარამდე ანუ 32 %-ით არის გაზრდილი, ხოლო 2017 წელს 2016 წელთან შედარებით სულაც 62 მლნ ლარით არის შემცირებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საცალო დაკრედიტების ზრდის და იურიდიული პირების დაკრედიტების შენელების ტენდენციებზე და რაც ასევე არის ასახული შემოსავლების ზრდის დინამიკაზე(**დიაგრამა №44**).

დიაგრამა №44. საპროცენტო შემოსავლების სტრუქტურა



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

არასაპროცენტო შემოსავლების ზრდის დინამიკაც საინტერესო სურათს იძლევა. 2012-2017 წლებში არასაპროცენტო შემოსავლებიც მნიშვნელოვნად არის გაზრდილი 372 მლნ

ლარიდან 767 მლნ ლარამდე ანუ თითქმის 2 ჯერ. მცირედით არის შეცვლილი ბანკების არასაპროცენტო შემოსავლების თანაფარდობა აქტივებთან. თუ 2012 წლისათვის აქტივების 2,8% იყო, 2017 წლისათვის აქტივების 2,5%-ია.

აქ გაცილებით მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ არასაპროცენტო შემოსავლების მუხლებში, ყველაზე მაღალი ზრდა აქვს საკომისიოებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლებიც გაიზარდა 158 მლნ ლარიდან 368 მლნ ლარამდე ანუ 2.3 ჯერ, რაც დადებითად უნდა ჩაითვალოს და აჩვენებს ახალ საბანკო პროდუქტების ეფექტურობას, ამავდროულად გაზრდილ შემოსავლებში ასევე მაღალია საკონვერსიო ანუ სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები(გაიზარდა 107 მლნ ლარიდან 202 მლნ ლარამდე) და საურავებიდან და ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც გაორმაგდა და 37 მლნ ლარიდან 77 მლნ ლარამდეა გაზრდილი(**დიაგრამა №45**), თუმცა ეს ნაწილი როგორც უკვე ავღნიშნეთ, იგივე დონეზეა რა მაჩვენებელზეც 2014-2015 წლებში იყო.

დიაგრამა №45. არასაპროცენტო შემოსავალების სტრუქტურა, მლნ ლარი



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

კომერციულმა ბანკებმა მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში საურავებიდან და კლიენტებისთვის მიცემული სესხებიდან ჯარიმის სახით 38 796 157 ლარის შემოსავალი მიიღეს. ასევე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სხვა არასაპროცენტო შემოსავლებიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც გაიზარდა 89 მლნ ლარიდან 171 მლნ ლარამდე, სადაც შედის როგორც ლიზინგიდან და ფაქტორინგული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები, ასვევე შემოსავლები მიღებული უძრავი ქონების რეალიზაციიდანაც.

შემოსავლების არასაპროცენტო ნაწილის შეფასებისათვის გამოიყენება კიდევ საინტერესო ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს არასაპროცენტო შემოსავლების თანაფარდობას მთლიან შემოსავლებთან. დიაგრამა #46 მოცემულია ევროპის და რეგიონის ქვეყნების მაჩვენებლები 2014 წლის მიხედვით. საქართველოს საბანკო სისტემაში ეს ინდიკატორი 25.75 %-ით არის შეფასებული და ამ მაჩვენებლით გვაქვს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, რაც ასევე ნიშნავს, რომ ბანკების შემოსავლების დიდი ნაწილი, ფაქტიურად 2/3 საპროცენტო შემოსავლების გზით მიიღება(**დიაგრამა №46**).

მართალია, 2015-2017 წლებში არასაპროცენტო შემოსავლების ხვედრითი წილი გაიზარდა, საშუალოდ 32 %-მდე, მაგრამ მიმდინარე წლის პირველი 5 თვის მიხედვით ისევე შემცირდა 27.5 %-მდე. მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების ტარიფები ჩვენთან მაღალი არ

არის, ეს ფაქტორიც მიგვაჩნია ერთ-ერთ მორიგ გამოწვევად საბანკო სექტორისათვის. არსებული დისპროპორცია საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლებს შორის, მიუთითებს მაღალი სპრედის ფაქტორზე.

დიაგრამა №46. არასაპროცენტო შემოსავლები/მთლიან შემოსავლებთან, 2014, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, theglobaleconomy.com

2018 წლის იანვარ-ივლისის მიხედვით წმინდა მოგებამ 464.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით -519 მლნ ლარი, შემცირებულია 10 %-ით. მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში, საბანკო სექტორის წმინდა საპროცენტო შემოსავალმა 1,035,011 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით(853,274 ლარი) 21%-ით მეტია, მართალია, საპროცენტო ხარჯი გაიზარდა 690,895 დან 821,222 მდე ანუ 18.8 %-ით, მაგრამ ამავდროულად საპროცენტო შემოსავლები გაიზარდა 1,544,170 დან 1,856,233 ანუ 20.2 %-ით. ამ მონაცემებიდანაც ჩანს, რომ ახალი საბანკო რეგულაციების გავლენა საპროცენტო შემოსავალზე მიზერულია.

მიმდინარე წლის ამავე პერიოდში წმინდა არასაპროცენტო შემოსავალმა -365,272 ლარი შეადგინა და გასული წლის პირველი შვიდი თვის მაჩვენებელზე -245,296 მთელი 120 მლნ ლარით ანუ მეტია, ოღონდ მინუს ნიშნით ანუ არასაპროცენტო ხარჯების ზრდის ტენდენციას აჩვენებს არასაპროცენტო შემოსავლებთან შედარებით. მართალია, არასაპროცენტო შემოსავლები გაზრდილია 445 მლნ ლარიდან 455 მლნ ლარამდე, მათ შორის საკომისიო შემოსავლები 200 მლნ ლარიდან 208 მლნ ლარამდე, თუმცა შემცირებულია საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები- 125 მლნ ლარიდან 122 მლნ ლარამდე, მაგრამ სამაგიეროდ გაზრდილია არასაპროცენტო ხარჯები 621 მლნ ლარიდან 668 მლნ ლარამდე. აპარატის შენახვის ხარჯები გაზრდილია 354 მლნ ლარიდან 382 მლნ ლარამდე, ხოლო სხვა არასაპროცენტო ხარჯები, სადაც შედის რეკლამის და ბანკის განვითარების ხარჯებიც 189 მლნ ლარიდან 205 მლნ ლარამდე. ზოგადად ეს არ არის ცალსახად ნეგატიური ტრენდი, პირიქით პოზიტიური უფროა, როდესაც ბანკების მოგების ზრდა აისახება დასაქმების სტიმულირებასა და განვითარებაში.

ნიშანდობლივია, რომ მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში წმინდა მოგება დარეზერვებამდე 789,715 ლარია და 182 მლნ ლარით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდში მიღებულ დარეზერვებამდე წმინდა მოგების ანალოგიურ მაჩვენებელზე-607,979 მთელი 30 %-ით, რაც წმინდა საპროცენტო შემოსავლის ზრდის პოზიტიურ დინამიკაზე

მიუთითებს წმინდა არასაპროცენტო შემოსავალთან შედარებით და რამაც გადაფარა წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის უარყოფითი ეფექტი.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, მაშინ რამ გამოიწვია წმინდა მოგების შემცირება? ეს არის ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით, რომელიც აკლდება წმინდა მოგებას დარეზერვებამდე და სხვა გაუთვალსწინებელი შემოსავალ/ხარჯების მუხლები, რომლებიც ასევე აკლდება ან ემატება მოგებას გადასახადის გადახდის შემდეგ. მართალია, გასული წლის დასაწყისთან შედარებით პირველ 7 თვეში წმინდა მოგება შემცირებულია 10 %-ით, მაგრამ მისი შემცირების ძირითადი მიზეზი არის არა იმდენად დაკრედიტების ტემპების შენელება და ვადაგადაცილებული სესხების ზრდა, არამედ მეორე ფაქტორი, რაც აქტივების შესაძლო დანაკარგების ზრდასთან არის დაკავშირებული, და ბოლო წლების პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითადად გამოწვეულია კონკრეტულ პერიოდებში, რამდენიმე შედარებით მსხვილი სესხის ჩამოწერის შედეგად. კერძოდ, მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგებზე გაზრდილია 89,5 მლნ ლარიდან 231,3 მლნ ლარამდე, მათ შორის სესხებზე 60 მლნ ლარიდან 218,6 მლნ ლარამდე.

დარეზერვების რისკის შესაფასებლად გამოიყენება **წმინდა მოგება დარეზერვებამდე**(საოპერაციო მოგების) **ეფექტიანობის** კოეფიციენტი, რაც აჩვენებს თანაფარდობას დარეზერვებულ თანხებსა და დარეზერვებამდე მოგებას შორის და მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დარეზერვებული თანხები ტარდება ხარჯებში ანუ მისი მაღალი მაჩვენებელი ამცირებს დასაბეგრი მოგების ბაზას.

სესხებზე დანაკარგების რისკისა და დარეზერვებული თანხების ეფექტურობის შესაფასებლად გამოიყენება **წმინდა მოგება დარეზერვებამდე**(საოპერაციო მოგების) **ეფექტიანობის განაკვეთი (Net Income before Provisions *effective rate*)**, რომელიც უშუალო კავშირშია კომერციული ბანკის წმინდა მოგებასთან და დანაკარგების რისკის მაჩვენებლთან. იგი იანგარიშება როგორც თანაფარდობა **აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით მთლიან ზარალსა (Total Provisions for Possible Losses) და დარეზერვებამდე წმინდა მოგებას(Net Income before Provisions)** შორის.

2018 წლის პირველ 7 თვეში წმინდა მოგების დარეზერვებამდე ეფექტიანობის მაჩვენებლი სესხებზე არის 27 %, რაც პრაქტიკულად 2 ჯერ აღემატება თავად მოგების გადასახადს, მაშინ როდესაც 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში მისი მაჩვენებელი იყო 10 %.

სწორედ ამის შედეგია, რომ მიუხედავად დარეზერვებამდე წმინდა მოგების 30 %-იანი ზრდისა, მანაც ვერ გადაფარა აქტივებზე შესაძლო დანაკარგების ზარალი. თუმცა სისტემური თვალსაზრისით, არც ეს გარემოებაა სისტემური კრიზისის მანიშნებელი, თუმცა გაზრდილ რისკ-ფაქტორებზე მიუთითებს. აქტივებზე შესაძლო დანაკარგები 2015 წლის ანალოგიურ პერიოდში, მიმდინარე წლის მაჩვენებელთან შედარებითაც კი მეტი იყო და 243 მლნ ლარს შეადგენდა. შედეგად, 2017 წლის პირველ ნახევარში აქტივების შესაძლო დანაკარგებზე ზარალის მნიშვნელოვანი შემცირებაც 89,5 მლნ ლარამდე, დიდწილად სწორედ 2016 წელს ბანკების ნაწილის გაერთიანების შედეგად, რამდენიმე მსხვილი სესხის ჩამოწერის და შესაბამისად ამ პერიოდში აქტივებზე დანაკარგების ზრდის ზეგავლენის შედეგი იყო და არა სხვა წმიდა სისტემური გარემოებებიდან, მაგალითად ლიკვიდობის პრობლემებიდან გამომდინარე. მაგრამ, ამადროულად სისტემური მდგრადობის შეფასების თვალსაზრისით, მისი გამომწვევი მიზეზები, მიზანშეწონილია, განვლილი პერიოდების დინამიკაში იყოს განხილული და არა კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე. მაგალითისათვის გაუთვალისწინებელი ხარჯები გასულ წელსაც მაღალი იყო აგვისტოში-43 მლნ ლარი, მაგრამ შემდეგ თვეებში მნიშვნელოვნად შემცირდა და 10 მლნ ლარზე მაღალი არ ყოფილა. თუ ბოლო წლების სტატისტიკას შევაფასებთ, ეს ორივე ფაქტორი დიდწილად გამოწვეულია ბანკების

გაერთიანების ან სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად, რაც ადმინისტრაციული თუ სხვა ხარჯების ზრდით მიმდინარეობს.

2015-2017 წლებში საბანკო სექტორში რამდენიმე მსხვილი ტრეიდი განხორციელდა. თი ბისი ბანკის მიერ „ბანკი რესპუბლიკას" შეძენა უნდა აღინიშნოს, გარდა ამ ოპერაციისა ბანკმა კიდევ ერთი ბანკის -„კონსტანტა ბანკის" აქცივიზაცია განახორციელა, და პროგრეს ბანკის საკრედიტო პორთფელი შეიძინა. „საქართველოს ბანკმა" აღნიშნულ პერიოდში „პრივატ ბანკი" მიიერთა, ხოლო „პროკრედიტ ბანკისაგან" მიკრო და მცირე სესხების პორთფელი შეიძინა. გარდა ამისა საქართველოს ბანკმა მნიშვნელოვანი შიდა სტრუქტურული ცვლილება განახორციელა, მიმდინარე წლის მაისის ბოლოს საქართველოს ბანკი და საინვესტიციო ჯგუფი – BGEO 2 დამოუკიდებელ კომპანიად გაიყო. ნებისმიერი ამ სახის სტრუქტურული რეორგანიზაცია, მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული, მათ შორის სესხების ნაწილის ჩამოწერასთან.

ბანკებს მოუწევთ ისეთი მიმართულებების გამრავალფეროვნება როგორიც არის სხვა არასაპროცენტო შემოსავლების ნაწილში, ფაქტორიგული და ლიზინგური ოპერაციებია, თუნდაც ექსპორტის ხელშესაწყობად ფორფეიტინგის აქტიური გამოყენებით, აგრეთვე საინვესტიციო მომსახურების პლათფორმა. დღეს ბანკების აქტიურ ოპერაციებში არის მხოლოდ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების პორთფელი, ძირითადად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახით. ამავე დროს პრაქტიკულად ნულოვანია ფასიანი ქაღალდების პორთფელი დილინგური ოპერაციებისათვის, ხოლო ფინანსური მომსახურების თვალსაზრისით, საინვესტიციო ბანკინგის მექანიზმები პრაქტიკულად არ გამოიყენება. ევროპის წამყვანი ბანკები, აქ მხოლოდ წმინდა პროფილის საინვესტიციო ბანკებს არ ვგულისხმობთ, გამოდიან მთავრობების და კომპანიების ფინანსურ მრჩევლებად, ხელს უწყობენ კაპიტალის მოზიდვას აქციების, ობლიგაციებისა და სხვა პროდუქტების გაყიდვის გზით. მაგალითად თუ მთავრობას სურს აეროპორტის, მაგისტრალის ან სხვა მსხვილი მუნიციპალური პროექტის მშენებლობის დაფინანსება, მას შეუძლია საინვესტიციო ბანკებთან მუშაობა შიდა ან გარე ბაზრებიდან კაპიტალის მოსაზიდად.

ბანკი ასევე ასრულებს საინვესტიციო მომსახურებას, როდესაც საქმე ეხება კომპანიების სააქციო კაპიტალის დაფინანსებას. დავუშვათ, კომპანია გადაწყვეტს დამატებითი თანხების მოსაზიდად, განახორციელოს ემისია პირველადი საჯარო შეთავაზების ან IPO-სთვის. საინვესტიციო ბანკი შეაფასებს ემისიის პროსპექტს, რომელიც განმარტავს შეთავაზების პირობებს და რისკებს, ახორციელებს ფასიანი ქაღალდების კომისიასთან(SEC) აქციების რელიზაციის პროცედურის მართვას და ფასების შეთავაზებას.

კაპიტალის ბაზრების დაფინანსებისას საინვესტიციო ბანკები ასევე მიმართავენ ანდერრაიტინგს, ანუ როგორც წესი, ვალდებულებას იღებენ გარიგების დაფინანსებაზე. წინა შემთხვევის მსგავსად, ეს არის საბანკო კრედიტის გონივრული ალტერნატივა. რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკები მართავენ ამ პროცესში არსებულ რისკს ემიტენტებისგან ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და საჯარო განთავსების ან ინსტიტუციონალური მყიდველებისათვის მიყიდვის გზით. საინვესტიციო ბანკები კომპანიისაგან ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს ერთი ფასით და შემდეგ ახდენენ მის რეალიზაციას ფასნამატით და შესაბამისად იღებენ მოგებას, რითაც ახდენენ რისკის კომპენსირებას. გარდა კომპანიების საჯარო შეთავაზებისა, საინვესტიციო ბანკინგი ითვალიწინებს საკუთარი კლიენტებისათვის თანხების მოზიდვას, კერძო განთავსების გზით. მაგალითად შესაძლებელია ობლიგაციების შეთავაზება ინსტიტუციონალური ინვესტორისათვის, იმავე სქემით რასაც აკეთებს სადაზღვევო კომპანია ან საპენსიო ფონდი. ეს არის გაციებით სწრაფი ფულის მოზიდვის საშუალება, რადგან არ საჭიროებს ამ აქციების რეგისტრაციას ფასიანი ქაღალდების კომისიაში. საინვესტიციო საბანკო მომსახურება ასევე მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებასაც, მაგალითად თუ რომელიმე კომპანია აპირებს სხვა კომპანიის ან აქტივების შეძენას, ფასდადების სტრატეგიის

ჩათვლით. გარდა ამისა კომპანიის გაყიდვისას მთავარი საკითხი მის საბაზრო შეფასებას და აქტივების მიწოდების საკითხებს უკავშირდება. ზოჯერ იგივე პრობლემები წარმოიშობა, როდესაც ხდება კომპანიების შერწყმა ან ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის შეძენა.

თანამედროვე ციფრული მომსახურების სერვისების და ბლოკჩეინ ტექნოლოგიების აქტიური დანერგვა, სადაც უპირატესობა მიენიჭება დისტანციურ საბანკო მომსახურების პლატფორმებს, მობაილ გადახდების და საკონსულტაციო მომსახურების გაფართოებული ფორმატების ჩათვლით. არასაპროცენტო ხარჯების თანაფარდობის დინამიკაში მთლიან შემოსავლებთან მიმართებაში 2012 წლიდან შეინიშნება კლების ტენდენცია და თუ 2012 წლის ბოლოს მისი მაჩვენებელი 34% % იყო, 2018 წლის მაისის მიხედვით იგი შემცირდა 28.8 %-მდე, მათ შორის პერსონალის ხარჯების მთლიან შემოსავლებთან თანაფარდობის მაჩვენებელი სტაბილურად 17 %-ის ფარგლებშია, რაც დადებითად უნდა შეფასდეს და სახელფასო ფონდის და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციაზე მიუთითებს. საინვესტიციო საბანკო მოსახურების მექანიზმების სიმცირე ასევე პირდაპირ კავშირშია საფონდო ბაზრის განუვითარებლობასთან და აჩვენებს რეზერვებსაც რაც საფონდო ბაზრის პირობებში იქნება შესაძლებელი. საფონდო სეგმენტის ამოქმედება გაზრდის რეპო და უკუ-რეპო ოპერაციების, წარმოებული ფასიანი ქაღალდების მოცულობას და დიაპაზონს, რაც რეფინანსირების სესხების ალტერნატივადაც შეიძლება განვიხილოთ.

4.2. წმინდა საპროცენტო მარჟა

ნებისმიერი ბანკის ფუნქციონირების მთავარ მდგენელს წარმოადგენს წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) ანუ წმინდა საპროცენტო შემოსავლის შეფარდება მუშა აქტივების საშუალო მაჩვენებელთან. შესაბამისად სწორედ საპროცენტო სპრედია ის მაჩვენებელი, რომელმაც უნდა დაფაროს: ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვზე (PLL), გადასახადები თუ საპროცენტო ხარჯები მოზიდულ სახსრებზე. ამასთან ნიშანდობლივია, რომ ჩვენთან გაცილებით მაღალია წმინდა საპროცენტო მარჟა, ვიდრე ეს ევროპის ბანკებშია. წმინდა საპროცენტო მარჟა, ერთის მხრივ ასახავს წმინდა საპროცენტო მოგების საბანკო აქტივებთან თანაფარდობას ანუ მოგების აქტივებთან უკუგების მაჩვენებელს და მეორეს მხრივ, საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების რეალურ სპრედს. შესაბამისად, მაღალი საპროცენტო მარჟა განპირობებულია, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, მაღალი საკრედიტო და საგადასახადო რისკებით.

შედარებისათვის 2016 წლისათვის მსოფლიოში მისი საშუალო მაჩვენებელი იყო 4%, მაშინ როდესაც ჩვენთან 5.6 %-ის ტოლფასი იყო, ხოლო მაქსიმალური მაჩვენებელი 173 ქვეყნის მიხედვით 12.5% შეადგენდა(ვენესუელას მიხედვით). მართალია, 2017 წლის ბოლოსათვის წმინდა საპროცენტო მარჟის მაჩვენებელი შემცირდა 5.1 %-მდე, მაგრამ მაინც მაღალ მჩვენებლად რჩება(**დიაგრამა №47**).

დიაგრამა №47. წმინდა საპროცენტო მარჟა, %, 2015-2017



წყარო:საქართველოს ეროვნულ ბანკი

ასევე საინტერესოა საოპერაციო მოგების მარჟის მაჩვენებელიც, რაც ასახავს წმინდა მოგების საოპერაციო მოგებასთან პროცენტულ თანაფარდობას. თუ საოპერაციო მოგების მარჟა 2015 წელს 5.2%-ს შეადგენდა, 2016 წელს 5.8 %-მდე გაიზარდა, ხოლო 2017 წლის ბოლოს 7 %-ს მიუახლოვდა ანუ ზრდამ შეადგინა 1.2 პროცენტული პუნქტი, რაც წამყვანი ორი ბანკის აქტივების ზრდის შედეგია, მაგრამ ამავდროულად წმინდა საპროცენტო მარჟა შემცირდა მხოლოდ 0.4 პროცენტული პუნქტით.

ეს ფაქტორი კიდევ ერთხელ მიუთითებს 2015-2017 წლებში საბანკო ბაზრის მაღალი კონცენტრაციის არც თუ დადებით შედეგებს, პირველ რიგში ბაზრის კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით ევროპის ქვეყნების უმრავლესობის საბანკო სისტემები წმინდა საპროცენტო მარჟით 2.5 %-ის ზონაში ფუნქციონირებს, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ ბალტიის სახელმწიფოებს, ხოლო ჩვენი რეგიონის ქვეყნებს უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ.

წმინდა საპროცენტო მარჟა ქვეყნების მიხედვით აჩვენებს, რომ ქართული საბანკო სექტორი მაღალი მარჟის პირობებში ფუნქციონირებს. ჩვენ ვიმყოფებით მარჟის სიდიდის მიხედვით, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების გვერდით. აღნიშნული ქვეყნები(განა, არუბა, ჰონდურასი, კენია, უგანდა, ნიკარაგუა და ა.შ.) ეკონომიკის განვითარების და ცხოვრების დონით ჩვენზე ჩამორჩენილი ქვეყნები არიან, მაგალითისათვის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტის მიხედვით(PPP) თუ ჩვენს შემთხვევაში 10 000 აშშ დოლარია, იგივე კენიაში და ტანზანიაში 3000 აშშ დოლარის ფარგლებში, განაში და ზამბიაში 4000 აშშ დოლარზე ნაკლებია. საოპერაციო მოგების მაღალი საპროცენტო მარჟა და მისი ზრდის ტენდენციები მიუთითებს საბანკო კონკურენციის შემცირებაზეც, რაც ბოლო სამ წელიწადში ორი მსხვილი ბანკის ხვედრითი წილის ზრდით მიმდინარეობს და ფაქტიურად ოლიგოპოლიური ტენდენციების მატარებელია, რაც ასევე აღწერილია კვლევის წინა 2.3 თავში.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობის საბანკო სისტემები 2.5 %-ის ზონაში ფუნქციონირებს(პოლონეთი-2.52 %, ჩეხეთი-2.6 %, საბერძნეთი-2.36 %, სლოვენია-2.39%), ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ ბალტიის სახელმწიფოებს(ლიტვაში-1.86 %, ლატვიაში-2, 03%, ესტონეთში-2.5 %), ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ბუნებრივია აქვთ ისეთი წამყვანი ეკონომიკის

ქვეყნებს როგორებიცაა საფრანგეთი-0.93%, ლუქსემბურგი-0.82 %, გერმანია და დანია-1.10 და ა.შ.(**ცხრილი №48).**

ცხრილი №48. წმინდა საპროცენტო მარჟა, ქვეყნების მიხედვით, 2016, %



წყარო: მსოფლიო ბანკი

ჩვენი რეგიონის ქვეყნებში, რუსეთში წმინდა საპროცენტო მარჟა 2.56%-ია, სასომხეთში-4.6%, მოლდოვაში-4.57 %, აზერბაიჯანში-3.72%, თურქეთში-3.52%, უკრაინაში-3.42%, ყაზახეთში-3.32%.

ჩვენთან წმინდა საპროცენტო მარჟის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია მაღალი საპროცენტო სპრედით, რომელიც საშუალო მსოფლიო დონესთან შედარებით მაღალია და წმინდა მოგების აქტივების ზრდასთან 3 ჯერ მაღალია ზრდის ტემპით. თუ 2012 -2017 წლებში მოგება გაიზარდა 6.5 ჯერ, აქტივები იმავე პერიოდში მხლოდ 2.5 ჯერ არის გაზრდილი.

4.3. საპროცენტო სპრედი

საბანკო სექტორის მომგებიანობის შეფასების ერთ-ერთი მდგენელი ასევე არის საპროცენტო სპრედი. შესაბამისად, თუ სხვაობა (სპრედი) სესხებისა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს შორის იზრდება ეს დადებით გავლენას ახდენს ბანკის მოგებაზე და პირიქით. ზოგადად, საბანკო სექტორში კონკურენციის ზრდასთან და ეკონომიკის განვითარებასთან ერთად საპროცენტო სპრედი მცირდება, რასაც თავის მხრივ, საბანკო

სექტორის მომგებიანობაზე ნეგატიური ეფექტი აქვს ანუ ამცირებს მომგებიანობის მაჩვენებელს, როგორც აქტივებზე, ასევე კაპიტალზე.

მართალია, 2012 წელთან შედარებით შემცირდა საპროცენტო სპრედი,მაგრამ ამ ფაქტორმა საბანკო სექტორის მოგებაზე ნეგატიურ გავლენა ნაკლებად იქონია, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შემცირდა 18.6%-დან 12.6%-მდე, ხოლო დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 8.4%-დან 4.0%-მდე. შესაბამისად, საპროცენტო სპრედი 1.6 პროცენტული პუნქტით.

დიაგრამა №49. საპროცენტო სპრედი, ქვეყნების მიხედვით(ბაზისური), 2017(2)



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი

როგორც **დიაგრამა #49** ჩანს, 2017 წლის პირველი ნახევრის მიხედვით, ჩვენი საბანკო სექტორის საპროცენტო სპრედი საბაზო სესხებისა და დეპოზიტების განაკვეთების მიხედვით(7.30), ევროპის და რეგიონის ქვეყნებს შორის მაღალია, როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საშუალო მსოფლიო დონეზე(5.74%) კი. იგი ასევე მაღალია ვიდრე რეგიონის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშია, ჩვენზე მაღალი საპროცენტო სპრედით აზერბაიჯანის საბანკო სექტორი ფუნქციონირებს-8.11%. უკრაინაში ანალოგიური მაჩვენებელი-6.37 %, ხოლო სასომხეთში-5.39%-ს შეადგენდა. თურქეთში -4.66 %, რუსეთში-2.78 %, ლიტვაში-2.64% იყო.

საპროცენტო სპრედი საბაზო სესხებისა და დეპოზიტების განაკვეთების მიხედვით, ევროპის და რეგიონის ქვეყნებს შორის, საქართველოს საბანკო სექტორის საპროცენტო სპრედი(7.30) მაღალია, როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საშუალო მსოფლიო დონეზე(5.74%). იგი მაღალია ვიდრე რეგიონის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშია, ჩვენზე მაღალი საპროცენტო სპრედით აზერბაიჯანის საბანკო სექტორი ფუნქციონირებს-8.11%. უკრაინაში ანალოგიური მაჩვენებელი-6.37 %, ხოლო სასომხეთში-5.39%-ს შეადგენდა. თურქეთში -4.66 %, რუსეთში-2.78 %, ლიტვაში-2.64% იყო.

დიაგრამა №50. წლიური საპროცენტო სპრედები ნაკადებზე, 2015-2017, %



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი, სცეა

რაც შეეხება არაბაზისურ საპროცენტო სპრედს, რომელიც იანგარიშება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული იპოთეკური სესხებისა და ბიზნეს სესხების ვადიან დეპოზიტებს შორის სხვაობის თანახმად, 2017 წლის მიხედვით, ეროვნული ვალუტით საპროცენტო სპრედი ფიზიკურ პირებზე შეადგენდა ლარში 2.3%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში-4.9%-ს, იურიდიული პირებისათვის ლარში-2.6%, ხოლო უცხორ ვალუტაში-5.6%-ს(**დიაგრამა №50**).

როგორც ვხედავთ კლება 2015 წელთან შედარებით არის როგორც სალარე სპრედზე, ასევე უცხოური ვალუტის სპრედებზე 0.5 საპროცენტო პუნქტით, ხოლო იურიდიულ პირებთან მიმართებაში უცხოურ ვალუტაში კიდევ უფრო მეტი 1.8 %-ია. მიუხედავად ამისა, საბანკო სექტორის უხლოესი მომავლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სწორედ საპროცენტო სპრედის შემდგომი შემცირება იქნება.

მიგვაჩნია, რომ მაღალი სპრედი, როგორც საპროცენტო, ასევე სავალუტო სპრედის შემთხვევაში, ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა როგორც სოციალური კუთხით, ასევე წმინდა ბიზნეს ურთიერთობის თვალსაზრისით. რადგან აღნიშნული არა მხოლოდ მოსახლეობისათვის, არამედ ბიზნესისათვისაც არის მაღალი ხარჯების ფაქტორი, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს ფასწარმოქმნაზე ფასების ზრდის მიმართულებით ერთის მხრივ, და ზოგადად ბიზნესის საქართველოში წარმოების განვითარებაზე. ჩვენ ვხედავთ, რომ პერიოდულად საგარეო შოკები როგორ ზემოქმედებს ეკონომიკაზე და სავალუტო კურსზე.

თავის მხრივ, რყევები სავალუტო ბაზარზე, რასაც ემატება ეკონომიკის მაღალი იმპორტ დამოკიდებულება და სესხების დოლარიზაცია, აიძულებს ბიზნესს მარჟა უფრო მაღალ ნიშნულზე ჰქონდეს, რომ ზარალი თავიდან აიცილოს. სხვა შემთხვევაში, ბიზნესს, თუ კონკურენციის გამო მარჟას დაბალ ნიშნულზე შეინარჩუნებს, ეზრდება რა დანახარჯები, ავტომატურად ეზრდება ზარალზე გასვლის რისკიც, რადგან ლარის გაუფასურება, არაპროგნოზირებადს ხდის ფასწარმოქმნის პროცესს. სწორედ არაპროგნოზირებადობაა სამომხმარებლო ბაზარზე მაღალი ფასების შენარჩუნების მთავარი მიზეზიც.

ეს ფაქტორი კომერციულ ბანკებს ეხებათ იმდენად, რამდენადაც კომერციული ბანკების მიერ დაწესებული მაღალი სავალუტო სპრედი, მნიშვნელოვნად ზრდის ბიზნეს კომპანიების სავალუტო ოპერაციების ხარჯს, რადგან სავალუტო კონვერტაციები სწორედ კომერციული ბანკების მეშვეობით ხდება. ეს თანაბრად ეხება როგორც მცირე საწარმოებს, ასევე საშუალო და მსხვილ ბიზნეს სუბიექტებს მთლიანად. თუმცა შედარებით მცირე

საწარმოების შემთხვევაში გაცილებით მტკივნეულად მიმდინარებს, ტრადიციულად ამ სექტორებში ბაზარზე მაღალი კონკურენციის გამო.

ცალკე თემაა მისი ზემოქმედება ეკონომიკაზე, ბიზნესის დაკრედიტების პრობლემებზე სხვა დროსაც გვისაუბრია. საბოლოო ჯამში ბიზნესის პრობლემები აისახება როგორც მომხმარებელზე, იწვევს როგორც ხელფასების შემცირებას, ასევე ეკონომიკაზე ნეგატიურად, რადგან ბიზნესის დახურვის შემთხვევაში ნეგატიურად ზემოქმედებს დასაქმებაზე, ზრდის უმუშევრობას და შესაბამისად, სოციალური რისკების ზრდით ამცირებს მოხმარებას.
როდესაც ვსაუბრობთ ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოების განუვითარებლობის მიზეზებზე, ერთ-ერთი მიზეზად, სწორედ, ეს ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ.

4.4. ბანკების მომგებიანობის მაჩვენებლები, აქტივებზე და კაპიტალზე, %

2017 წლის ბოლოს აქტივებზე (ROA) და კაპიტალზე(ROE) მოგების უკუგების ნორმამ 2.8 % და 20.7 %–იანი მაჩვენებელი შეადგინა, რაც კაპიტალის საკმაოდ დიდი მულტიპლიკატორის მაჩვებელია, და 7.4 შეადგენს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 1 ივლისის მდგომარეობით შემცირებულია როგორც კაპიტალზე ასევე აქტივებზე უკუგების მაჩვენებლები და შესაბამისად 2.5 % და 18.8 % იყო, თუმცა კაპიტალის მულტიპლიკატორი იგივე ნისნულზე დარჩა. შედარებისათვის 2010 წელს უკუგების მაჩვენებელი საშუალო აქტივებსა და კაპიტალზე შესაბამისად, 2 %-ს და 11 %-ს შეადგენდა(დიაგრამა **№51**). შემდეგ წლებში აქტივების ზრდის კვალობაზე ჩვენ ვხედავთ მომგებიანობის ზრდას, რაც ასევე მასშტაბის ეფექტიანობის გაუმჯობესებასაც მიუთითებს, ხარჯების შემოსავლიანობის თანაფარდობის კოეფიციენტის შემცირების თვალსაზრისით, თუმცა როგორც ავღნიშნეთ ეს ინდიკატორი კვლავ ზრდის ტრენდზეა გასული.

დიაგრამა №51. აქტივებზე და კაპიტალზე მოგების უკუგების მაჩვენებლები,%



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აქტივებზე უკუგების მიხედვით ჩვენ გვაქვს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი(3.15 %) უზბეკეთთან ერთად(3,42 %) და ჩვენს ზონაში ასევე არიან აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის განვითარებადი ქვეყნები. ჩვენი რეგიონის ქვეყნებში თურქეთი ROA-ს მაჩვენებელი 1.75%-ია, ყაზახეთში-1.66%, აზერბაიჯანში-1.64%, სასომხეთში-0.89 %, ანალოგიურად კაპიტალზე უკუგების მაჩვენებლით საქართველოს საბანკო სექტორი ერთ-ერთი ლიდერია.

კაპიტალზე მომგებიანობის შეფასებისას გაცილებით მნიშვნელოვანია კაპიტალის მულტიპლიკატორის მაჩვენებელი. კაპიტალის მულტიპლიკატორი გამოითვლება კომპანიის მთლიანი აქტივების თანაფარდობით მთლიან წმინდა კაპიტალთან მიმართებაში და ის თავისებურ ფინანსურ ბერკეტსაც წარმოადგენს. განსხვავებით არასაბანკო

დაწესებულებისაგან, საბანკო დაწესებულებები, როგორც სადეპოზიტო ინსტიტუტები, თავიანთ ოპერაციებს ძირითადად აფინანსებენ მოზიდული სახსრების გზით, და შესაბამისად აქვთ უფრო მაღალი კაპიტალის მულტიპლიკატორი. მაღალი კაპიტალის მულტიპლიკატორი მიუთითებს იმაზე, რომ აქტივების დაფინანსების დიდი ნაწილი მოზიდული სახსრებით ხორციელდება.

2017 წლის მეორე კვარტლის მიხედვით, საქართველოს საბანკო სექტორის კაპიტალის მულტიპლიკატრი შეადგენდა 7.29-ს, რაც საშუალო ევროპულ მაჩვენებლადაც უნდა მივიჩნიოთ. ჩვენზე მაღალი მულტიპლიკატორით ფუნქციონირებს განვითარებული ეკონომიკის ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ბრიტანეთის საბანკო სექტორი-14.6 და ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო სექტორი-8.7, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩეხეთის საბანკო სისტემა-15.5, პოლონეთის-11.1, ბალტიის სახელმწიფოების საბანკო სექტორი მთლიანად: ლიეტუვა-11.7, ლატვია-9.7, ესტონეთი-7.5, რეგიონის ქვეყნებიდან თურქეთის საბანკო სექტორის კაპიტალის ლევერიჯი არის 9.7(**დიაგრამა №52**).

დიაგრამა №52. კაპიტალის მულტიპლიკატორის, აქტივებზე და კაპიტალზე მოგების უკუგების მაჩვენებლები, 2017(2)



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სცეა

4.5. ციფრული ბანკინგის სტარატეგია და პერსპექტივები.

ციფრული საბანკო მომსახურების ზრდა გვიჩვენებს, რომ ეს ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. კომფორტულობა, მომსახურების სიჩქარე და უსაფრთხოება, სტანდარტულად ითხოვენ კლიენტ-ბანკის ურთიერთობის სწრაფად შეცვლას. ციფრულ საბანკო მომსახურებაზე გადასვლა და მობილური აპლიკაციების შეთავაზება, კლიენტებს უადვილებს სმარტფონ გადახდებს. მაგრამ არც თუ შორეულ მომავალში საბანკო სექტორი იძულებული გახდება გადაერთოს ახალ მოდელზე, ბლოკჩეინ ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვის გამო, რაც პრაქტიკულად ჩაანაცვლებს საშუამავლო ოპერაციებს.

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიების გადანაწილებამ მსოფლიოში ბევრი ტრადიციული მომსახურების ბანკი ინტერნეტ ბანკინგიდან, კავშირგაბმულობის ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების შედეგად, გადაიყვანა მობილური აპლიკაციების და სმარტფონ პროდუქტების ფართო დანეგვის პლათფორმაზე, საქართველოს საბანკო სისტემა ჯერ მაინც ჩამორჩება გლობალურ ტენდენციებს ინოვაციური სტარტ აპების დანერგვის თვალსაზრისით.

ციფრული ეკონომიკის ახალი ერა, იქნება საბანკო და საფინანსო ინდუსტრიის მთავრი გამოწვევა უახლოეს ათწლეულში. ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა ბანკებს საშუალებას მისცემს, შეამცირონ მომავალში საოპერაციო ხარჯები და შეცვლის თავად ფილიალების დიზაინიც. დღეს ტრადიციული საბანკო ფინანსური პროდუქტები სულ უფრო ადაპტირდება ციფრულ ეპოქაში და განაწილებულია სმარტფონებისა და ინტერნეტის საშუალებით.

მომავალში საბანკო დაწესებულებების მიერ საინოვაციო ტექნოლოგიების ფართო დანერგვა, მნიშვნელოვნად შეამცირებს რა ხარჯებს, დაწევს საპროცენტო განაკვეთებსაც, რადგან ინოვაციურ ტექნოლოგიებს ყველაზე მაღალი შრომის ნაყოფიერება ახასიათებს. ბლოკჩეინ საბანკო საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ელემენტია სმარტ კონტრაქტები. ტრადიციული კონტრაქტის მსგავსად, სმარტ ხელშეკრულება განსაზღვრავს შეთანხმების გარშემო წესებსა და ჯარიმებს. თუმცა, საუკეთესო ნაწილი ის არის, რომ ჭკვიანი ხელშეკრულება ავტომატურად ასრულებს ამ ვალდებულებებს.

ბლოკჩეინი გამოგონებული იყო სატოში ნაკამოტოს მიერ 2008 წელს, იგი წარმოადგენს ბლოკების ჯაჭვს, სადაც არის ჩანაწერების მზარდი სია, რომლებიც უკავშირდება ერთმანეთს კრიპტოგრაფიის გამოყენებით. ბლოკჩონების გამოყენების მარკეტინგს "გველი ზეთიც" კი ეწოდა. თითოეული ბლოკი შეიცავს წინა ბლოკის კრიპტოგრაფიულ hash, დროის ნიშნულს და გარიგების მონაცემებს (ზოგადად წარმოდგენილია merkle tree root hash). დიზაინის მიხედვით, ბლოკჩეინი მდგრადია მონაცემების მოდიფიცირებაზე. ეს არის "ღია, განაწილებული ჩანაერთა ერთობლიობა, რომელსაც შეუძლია ჩაატაროს ტრანზაქცია ორ მხარეს შორის ეფექტურად და გადამოწმებულ და მუდმივ რეჟიმში. დისტრიბუტირებული ლეჯერით სარგებლობისთვის, ერთობლივად აკმაყოფილებს ურთიერთკავშირის კომუნიკაციის პროტოკოლს და ახალ ბლოკებს. რაც მთავარია ერთხელ ჩაწერილი მონაცემების ნებისმიერი ბლოკი არ შეიძლება შეიცვალოს წინა ჩანაწერით, ყველა შემდგომი ბლოკის შეცვლის გარეშე, რომელიც საჭიროებს ქსელის უმრავლესობის კონსენსუსს და უზრუნველყოფს როგორც გამჭვირვალობას, ასევე კიბერ უსაფრთხოებასაც.

ბლოკჩეინ საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ელემენტია სმარტ ანუ ჭკვიანი კონტრაქტები. სმარტ კონტრაქტები მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ფულის, აქციების, ქონებისა ან ნებისმიერი ღირებულების უსაფრთხო, კონფლიქტურ რეჟიმში საშუამავლო მომსახურების გარეშე. ტრადიციული კონტრაქტის მსგავსად, სმარტ ხელშეკრულება განსაზღვრავს შეთანხმების გარშემო წესებსა და ჯარიმებს. თუმცა, მისი გამოყენების მიმზიდველობა ის არის, რომ ჭკვიანი ხელშეკრულება ავტომატურად ასრულებს ამ ვალდებულებებს და შესაბამისად, მისი დანახარჯები გაცილებით მცირეა. მაგალითისათვის თუ ტრადიციული კონტრაქტის გაფორმებას, ხშირად 1დან 3 დღემდე სჭირდება, სმარტ კონტრაქტის გაფორმებას რამოდენიმე წუთი სჭირდება და საჭიროებს არა ფიზიკურ(ადგილზე დადასტურებას), არამედ ციფრულ ხელმოწერას. გარდა ამისა, ტრადიციული საბანკო კონტრაქტებისას ესქრო ანუ საშუამავლო მომსახურება აუცილებელია, სმარტ ფონ კონტრაქტების დადებისას მისი საჭიროება არ დგას და ა.შ. სმარტ კონტრაქტების გამჭვირვალობის წყალობით, მყიდველებს შეუძლიათ ადვილად შეამოწმონ სავაჭრო ობიექტები და მიმოხილვები. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს თაღლითობის რისკს და მომხმარებელს საშუალებას აძლევს აირჩიოს საუკეთესო პროდუქცია.

წამყვანი ბანკები სულ უფრო ფართოდ ნერგავენ ახალი თაობის ბანკომატებს, რომლებიც უკონტაქტო, ბიომეტრულ Money On Mobile პლათფორმაზეა აგებული და ითავსებს როგორც ბანკომატიდან თანხების განაღდების, ასევე დეპოზიტეზე ტანხების შეტანის ფუნქციასაც, ამასთან იყენებს როგორც ღია ბანკინგის API პლათფორმას, ასევე ნაციონალური იდენტიფიკაციის სისტემებს. დღეს საუკეთესო ATM პროდუქტები წარმოდგენილია ისეთი წამყვანი კომპანიების მიერ, როგორებიცაა: NCR, Nautilus Hyosung ATMs, Genmega ATMs, Hantle ATMs, Triton ATMs, Hyosung Glory და ა.შ.

საქართველოში ძირითადად wincor/Nixdorf ATMs-ის მოდელებია გავრცელებული. მართალია, მათ აქვთ პლასტიკური ბარათებით უკონტაქტო მომსახურების და მობაილ ბანკინგის პლატფორმა, მაგრამ სისტემური არქიტექტურით მაინც ჩამორჩებიან ATM პროდუქტების ბოლო თაობებს, რომლებიც წმინდა ბიომეტრიკულ პლატფორმაზე არიან აგებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2012 წლიდან 2018 წლამდე ბანკების ბანკომატების რაოდენობა გაიზარდა 1933 დან 2033 ერთეულამდე ანუ მხოლოდ 100 ერთეულით, ხოლო ამავე პერიოდში პოს-ტერმინალების რაოდენობა ბანკების ფილიალებში პირიქით შემცირდა 2525 ერთეულიდან 1397 ერთეულამდე, სამაგიეროდ მნიშვნელოვნად გაიზარდა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განთავსებული პოს-ტერმინალები -11 119 ერთეულიდან 39 882 ერთეულამდე ანუ 3.5 ჯერ(**დიაგრამა №53**).

დიაგრამა №53. ბანკების ბანკომატების და პოს-ტერმინალების რაოდენობა 2018(5)



წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

წარმოდგენილი სტატისტიკა კიდევ ერთხელ მიუთითებს საბანკო სექტორის სტრატეგიაზე, აქცენტების გარე გაყიდვების გადატანაზე, დისტანციური და უნაღდო ანგარიშსწორების პრიორიტეტზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.თუმცა დღეს მოქმედი ბანკომატების დიდი ნაწილი მოძველებული მოდიფიკაციისაა.

ნიშანდობლივია, რომ 100 000 მოსახლეზე გაანგარიშებით, მსოფლოში ბანკომატების საშუალო მაჩვენებელი 2016 წლისათვის შეადგენდა 54.7 ATMs, საქართველოს მაჩვენებელი მსოფლიო საშუალო დონეზე მაღალი იყო-74 და მსოფლიოს 145 ქვეყანას შორის იყო 33-ე ადგილს იკავებდა(**დიაგრამა №54**). 2016 წლის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სისტემის მიერ ბანკომატების რაოდენობით, რეგიონალურ დონზე მცირედით ჩამორჩებოდა მხოლოდ უკარინას(88%) და თურქეთს(78%), და გაცილებით აღემატებოდა აზერბაიჯანს(32 %), მოლდოვას(35%), სასომხეთს(61%).

დიაგრამა №54. ბანკების ბანკომატების რაოდენობა, 100 000 მოსახლეზე, ქვეყნების მიხედვით, 2016 წ



წყარო:https://www.theglobaleconomy.com/rankings/ATM_machines/
World Bank

ამ მაჩვენებლით ჩვენ გვაქვს უფრო მაღალი მაჩვენებელი ვიდრე ბალტიის სახელმწიფოებს და აღმოსავლეთ ევროპის ქვენების დიდ ნაწილს. ჩეხეთში ეს მაჩვენებელი 52ერთეულია, პოლონეთში-72, ესტონეთში-70, ლიტვა-48. რაც შეეხება განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს, თუ ნიდერლანდებში ეს მაჩვენებელი 100 ათას მოსახლეზე 47.55 ბანკომატს შეადგენს, შვეიცარიაში-98 -ს, ესპანეთში-112-ს, საფრანგეთში-104, ხოლო ყველაზე მეტი ბანკომატი დიდ ბრიტანეთში-129 და იაპონიაშია-127 ერთეული.

მომხმარებელთა სულ უფრო გაზრდილი საჭიროებები და ქცევები ფინანსურ ორგანიზაციებს უბიძგებენ თავიანთი სტრატეგიის გადახედვისაკენ. მომხმარებელთა ქცევა აგებულია მოლოდინზე, რომ ბანკები და საკრედიტო კავშირები მათ მომავალში შეთავაზებენ არა უბრალოდ ტრანზაქციების დამუშავებას, არამედ გაცილებით მეტს იხილონ ბანკები ფინანსური და თუნდაც ტექნოლოგიური მრჩევლების სახით.

საქართველოს ტერიტორიაზე საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (ექვაირინგი), 2012 წლიდან 2018 წლის პირველ 5 თვეში გაზრდილია 846 ათასი ლარიდან 1,817 მლრდ ლარამდე ანუ მილიარდი ლარით რაც პროცენტულად 118 პროცენტით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ზრდა შეინიშნება როგორც რეზიდენტი ბანკების ბარათებით განხორციელებლი ოერაციებით, ასევე არარეზიდენტი ბანკების ბარათებით განხორციელებული ოპერაციებითაც, რომელიც გაორმაგებულია 82 ათასი ლარიდან 170 ათას ლარამდე და ტურისტული ნაკადების ზრდის მანიშნებელია(დიაგრამა №55).

მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის გლობალური კრიზისის შემდეგ საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებისადმი ნდობა შემცირებულია, საბანკო დაწესებულებები დღემდე ითვლება ყველაზე სანდო და უსაფრთხო ინსტიტუციად.

დიაგრამა №55. საქართველოს ტერიტორიაზე საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (ექვაირინგი), ათასი ლარი, 2012-2018(5);



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ციფრული ეკონომიკის ასოციაცია

ეს შეიძლება ჩაითვალოს სტრატეგიულ უპირატესობად კონკურენტებთან შედარებით, თუმცა მზადი მოთხოვნა ციფრულ ტექნოლოგიებზე, ბანკებსაც უბიძგებს არ ჩამორჩენ დროს და დაიწყონ აქტიური მოძრაობა ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით.

არანაკლებ საინტერესოა ბანკომატებით და პოს-ტერმინალებით განხორციელებული ოპერაციების დინამიკაც. ზრდა აქაც ორივე მიმართულებით გვაქვს, ეს განსაკუთრებით პოს-ტერმინალებით განხორციელებულ ოპერაციებს ეხება,რაზეც როგორც უკვე ავღნიშნეთ, პოს-ტერმინალების მნიშვნელოვნად გაზდილის რაოდენობაც მიუთითებს. პოს-ტემინალებით განხორიელებული ოპერაციების მოცულობა 2012 წლიდან დღემდე გაზრდილია 605 ათასი ლარიდან 1, 385 მლრდლარამდე ანუ 2 ჯერ და მეტად, ხოლო ბანკომატებით განხორციელებული ოპერაციების მოცულობა პრაქტიკულად 3 ჯერ 157 ათასი ლარიდან 432 ათას ლარამდეა გაზრდილი(**დიაგრამა №56**).

მომხმარებელს სჭირდება მეტი ინოვაციური ტექნოლოგიური პლატფორმები, ხოლო გაზრდილი კონკურენცია, ბანკებს აიძულებს გაცილებით პერსონალიზირებულ და ეფექტური მომსხურების მოდელებზე გადასასვლელად, პირველ რიგში ადამიანური და ციფრული ანუ დისტანციური მომსახურების ჰარმონიული თანხვედრის თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ დისტანციური გადასახადები, P2P(მობილურის ნომრით, მობაილ ბანკით თანხის გადარიცხვა სხვის ანგარიშზე მიმღების მობილურ ნომერზე), და ციფრული აპლიკაციები უკვე ტენდენციაა, რომელიც გაგრძელდება 2019-2024 წლებშიც. ამასთან, ბიომეტრიკა ასევე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მომავალში.

დიაგრამა №57. საქართველოს ტერიტორიაზე ბანკომატებით და პოს-ტერმინალებით განხორციელებული ოპერაციები (ექვაირინგი), ათასი ლარი, 2012-2018(5)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აშშ-ში Juniper Research -ის მიერ ჩატარებულმა საკასო ოპერაციების კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელტა 45 % უპირატესობას ანიჭებს ციფრულ გადახდებს, ნაღდ ანგარიშწორებას. ამასთან, პოს-ტერმინალებით განხორიელებული გლობალური ტრანსაქციების ნახევარზე მეტი(53%) იქნება პრაქტიკულად უკონტაქტო მომავალ 5 წელიწადში, რაც 3.5 ჯერ მეტია დღეს არსებულ 15 % შედარებით, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის საგადამხდელო ეკოსისტემას.

აქედან გამომდინარე, დღეს მთავარ პრობლემად და ამავდროულად მთავარ გამოწვევადაც ტრადიციული ფინანსური ინდუსტრიისათვის შეიძლება იქცეს კლიენტების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნა მომსახურების უნივერსალურ სერვისებზე. მათ სულ უფრო სჭირდებათ ისეთი სერვისები, რომლებიც დისტანციური და უკონტაქტო მომსახურების პლატფორმაზე იქნება აგებული, და კლიენტებს საშუალებას მისცემს მიიღონ ინფორმაცია ერთი ფანჯრის პრინციპით, სმარტ ფონის მეშვეობით ნებისმიერ ადგილზე, იმისდა მიუხედავად ფიზიკურად თუ სად უნდა იმყოფებოდნენ.

ეს ტენდენცია ბუნებრივია, ბანკებს და სადაზღვევო კომპანიებს აიძულებს აქცენტები მთლიანად კლიენტების მომსახურების მხარეს გააკეთონ, სხვა შემთხვევაში, მათ უბრალოდ გაუჭიდებათ არსებული მრავალფილიალიანი ქსელებით გაყიდვების წარმოება. შესაბამისად, ქართულ ბანკებსაც მოუწევთ, არსებული საპროცენტო შემოსავლების მოდელიდან გადაერთონ საკონსულტაციო მომსახურების ციფრულ პლატფორმაზე. ეს ტენდენცია მომავალში ტრადიციული მომსახურების მქონე ბანკების და მისო-ების მნიშვნელოვან შემცირებას გამოიწვევს.

საბანკო დაწესებულებები სულ უფრო აქტიურად განიხილავენ რობო ბანკინგის ტექნოლოგიების დანერგვასაც, რომელიც ხელოვნურ ინტელექტზე იქნება ბაზირებული და შეეძლება ერთდროულად იყოს თქვენი მრჩეველი, კონსულტანტი და დაგეხმაროთ ოპერაციების ისე დაგეგმაში, თქვენი დროის დაკარგვის გარეშე. ამ ტიპის ტექნოლოგიები ე.წ. «robo-advisors» უკვე გამოიყენება მსოფლიოს წამყვანი იაპონური და ამერიკული ბანკების მიერ.

წამყვანი ბანკირები და საბანკო სფეროს ექსპერტები მიუთითებენ, რომ საბანკო დაწესებულებების მხრიდან ინოვაციურ ტექნოლოგიებში გაზრდილი ინვესტიციები, ადასტურებენ ტრადიციული საბანკო მომსახურების ცვლილებების დროის დადგომას.

შორს არა არის ის დრო, როცა ბიომეტრიკული იდენტიფიკაცია, მთლიანად ჩაანაცვლებს უსაფრთხოების დღეს მოქმედ საპაროლო სისტემებს. დღეს საბანკო დაწესებულებების წინაშე დგას ამოცანა ითანამშრომლონ მაღალტექნოლოგიურ კომპანიებთან ან მოახდინონ მათთან ინტეგრაცია და საკუთარი ალტერნატიული ინოვაციური პროდუქტები დანერგონ. საბანკო მომსახურების პროცესში ტექნოლოგიური იგივე ფინტექ სტარტ აპების ჩართვა, ორმხრივ არის საინტერესო და სასარგებლო. ერთის მხრივ ამ ტიპის კომპანიებს ეძლევათ ექსკლუზივი განავითარონ თავიანთი ტექნოლოგიური ინიციატივები, ხოლო საბანკო დაწესებულებს - შექმნან ახალი ინტეგრირებული სერვისები, მომხმარებელზე მაქსიმალური ორიენტაციით. ასეთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ავსტრალიური ANZ Bank of Australia, რომელიც არის პიონერი იპოთეკური განაცხადების სმარტ საათების მიღების თვალსაზრისით.

დღეს ექსპერტები თვლიან, რომ რასაც ჩვენ ვაკვირდებით ეს არის არა ციფრული ბანკი, ან ბლოკჩეინ ბანკი, არამედ ციფრული საბანკო მომსახურების გაფართოებული პლათფორმა. მრავალი წლის წინ შექმნილი ტრადიციული საბანკო პროდუქტები ადაპტირდებიან ციფრულ ტექნოლოგიებში და ვრცელდებიან ინტერნეტის და სმარტ ფონების საშუალებით. ეს დაახლოებით არის იგივე, როდესაც ოფსეტური ბეჭდვის ჟურნალ-გაზეთები გარდაიქმნენ ელექტრონულ მედიად.

ფინანსური მომსახურების სივრცეში ახალი მოთამაშეების მასიური შემოდინება ოთხ ძირითად სეგმენტში მოხდება: ადმინისტრირება, გადასახადები, დაკრედიტება და პირადი ფინანსები. ყურადღება ამ სეგმენტებზეა ფოკუსირებული, რადგან ის სფეროებია, სადაც ციფრული ტექნოლოგიების ფართო დანერგვა ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას გამოიწვევს, და შესაბამისად, იგი უფრო გამჭვირვალე და უსაფრთხო გახდება. როგორც ავღნიშნე, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ელემენტი ბლოკჩეინ ბანკინგის არის სმარტ კონტრაქტები. სმარტ კონტრაქტები საშუალებას აძლევს მომხმარებელს განახორციელონ სავალუტო ოპერაციები, აწარმოონ ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით ან უძრავი ქონებით, მინიმალური საკომისიო მომსახურებით. ტრადიციული საბანკო კონტრაქტების მსგავსად, სმარტ კონტრაქტებიც განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს და ჯარიმებს შეუსრულებელი ვალდებულებების დროს, ოღონდ ტრადიციული კონტრაქტისაგან განსხვავებით საკონტრაქტო მომსახურების დაბალი დანხარჯები აქვს. სმარტ კონტრაქტების გამჭვირვალობის წყალობით, მყიდველებს შეუძლიათ რა ადვილად შეამოწმონ შესაძენი პროდუქციის ხარისხი, ასევე შეძენილი ნივთის იდენტურობა მიღების შემდეგ. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს თაღლითობის რისკს და მომხმარებელს საშუალებას აძლევს აირჩიოს საუკეთესო პროდუქცია.

ამ სფეროს ბევრი წამყვანი ექსპერტი თვლის, რომ ახალი ინოვაციური სტარტ აპები სტიმულირებას მისცემენ ტრადიციულ საბანკო ინსტიტუტებს მოახდინონ არსებული ბიზნეს მოდელების მოდერნიზაცია ციფრულ პლათფორმაზე. აქტიურად განიხილება ციფრული აკრედიტივების და სმარტ კონტრაქტების გადასვლა ბლოკჩეინ პლათფორმაზე, რაც ხარჯებს 20 %-ით შეამცირებს, ხოლო ოპერაციის ვადას 18 დან 8 დღემდე დაიყვანს. ელექტრონული დოკუმენტები და ბლოკჩეინის წყალობით, აკრედიტივი შეიძლება გახდეს მასობრივი პროდუქტი, მარტივი და იაფი, როგორც გადახდის, ასევე დარჩენილი ვალდებულებების საიმედო უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მაგალითი იმისა თუ როგორ შეიძლება ბლოკჩეინ ტექნოლოგიები გამოყენებული იქნას ციფრული ეპოქის დროს, არის ისეთი ბლოკჩეინ სტარტ აპების ფართო მხარდაჭერა, როგორიცაა -BABB (budding blockchain-based bank), რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ბლოკჩეინზე დაფუძნებული "ბანკის მოდელს"

მიკროეკონომიკის მხარდასაჭერად და პრაქტიუკულად წარმოადგენს ტრადიციული საბანკო მომსახურების ალტერნატიული პლათფორმას. მისი მისიაა მომხმარებელს მისცეს პრაქტიკულად იგივე შესაძლებლობა, რაც აქვს დღეს მოქმედ ბანკებს, მაგალითად თავად განახორციელონ ტრანსაქციები, გასცენ სესხები და ფული აქტივებში თავიათი შეხედულებისამებრ დააბანდონ. თუმცა მომავალში არც წმინდა ბლოკჩეინ ბანკების დაფუძნებაა გამორიცხული, რომელიც საშუამავლო მომსახურების გვერდის ავლით B2B(business to business) და B2C(business to Consumer) მოდელებზე იქნება აგებული. ბლოკჩეინი წარმოადგენს მაღალ ტექნოლოგიურ პროდუქტს, და ქმნის, დისტანციური ანგარიშსწორების ქსელურ დისტრიბუციას აგებულს P2P პრინციპზე. ეს მიდგომა არის გაცილებით სწრაფი, ეფექტური და ნაკლებად ექვემდებარება შეცდომებს, ვიდრე ტრადიციული საკლირინგო ბანკები. გარდა ამისა, აქვს რა ბლოკური ხასიათი ანუ დეცენტრალიზირებული ბუნება, გაცილებით უსაფრთხოა კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისითაც.

ქართული კომერციული ბანკების მომავალი, დიდწილად სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სწრფად შეძლებენ ახალ ციფრულ დროში ორიენტირებას და გადაეწყობიან კლიენტების მომსახურების გაზრდილ, სწრაფ და უსაფრთხო საჭიროებებზე. ეს პროცესი ჩვენთანაც დაწყებულია, იცვლება ბანკების დიზაინის სტრუქტურაც და ტექნოლოგიური პლათფორმებიც, მათ შორის უკვე ინერგება ღია ბანკინგი, რომელიც ახდენს საბანკო მომსახურების პროცესში „Fintech" ტიპის ტექნოლოგიური კომპანიების ჩართულობას და კლიენტურისათვის მომსხურების ფართო არჩევანის შეთავაზებას. თუმცა ჩვენ კიდევ უფრო სწრაფი სვლა და ამ მიმართულებით მეტი ინვესტიციები გვჭირდება, რომ არ ჩამოვრჩებით საერთო მსოფლიო ტენდენციებს. დღეს მსოფლიოს წამყვანი ბანკები ცვლიან როგორც ფილიალების დიზაინს, ასევე ახდენენ მის ინტეგრირებას ფილიალის დიზაინის და ინოვაციური ცენტრის კონცეფციაში. მაგალითისათვის შეძლება მოვიყვანოთ Chase Bank, რომელიც იყენებს კონცეფციას ლაბორატორიაში განავითაროს ფილიალი და ATM ტექნოლოგიები, ისევე როგორც ახალი გზები მომხმარებელთან ურთიერთობის გასავითარებლად და კლიენტებთან ერთად ახალი მიდგომების გამოსაცდელად. ამ მიმართულებით ძალზე.

სურათი 1.თანამედროვე ბანკის სერვის ცენტრის დიზაინის პლათფორმა.

ნაშრომი ცნობილი საბანკო ანალიტიკოსის და „როიალ ბენკ ოფ სკოტლანდის(**Royal Bank of Scotland**), დიზაინის და მომსახურების დირექტორის კევინ ჰენლის(Kevin Hanley), სიტყვებით მსურს დავასრულოთ: „ბანკებს მოუწევთ მნიშვნელოვნად გაზარდონ მომსახურების ხარისხი და სიჩქარე, დანერგონ ინოვაციური მაღალტექნოლგიური პროდუქტები, რადგან თუ ბანკები ვერ შეძლებენ ამის გაკეთებას, ისინი რისკავენ დარჩენ იმ მსოფლოს ნაწილად, რომელმაც ჩვენ უკვე ჩაგვიარა".

დასკვნები და შეფასებები

1. 2014-2016 წლებში გლობალური შოკების ზეგავლენამ აჩვენა, რომ ჩვენი ეკონომიკის მთავარი სისუსტე იყო არა თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსი, არამედ ეკონომიკის მაღალი დოლარიზაცია და საგადამხდელო ბალანსის ასევე მაღალი დეფიციტი, რაც პირდაპირ ზემოქმედებდა საცალუტო კურსზე. თავის მხრივ, საგადამხდელო დეფიციტის მაღალ დონეს განაპრობებდა, ეკონომიკის რეალური სექტორის სისუსტეები, რაც ვერ გადაიფარა გასულ წლებში მხოლოდ მომსახურების სექტორების სტიმულირებით. როდესაც ამ საკითხს ვიხილავთ, მიზანშეწონილია ამოვიდეთ იმ პარადიგმიდან, რომ ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის და არაკონვერტირებული ვალუტისას ეკონომიკა გაცვლით კურსს სათანადოდ ვერ იყენებს ბუფერად. მით უმეტეს, თარგეტირების სტრატეგიისას, მონეტარული პოლიტიკა ისედაც ვერ ახდენს რეაგირებას ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებით გადახრაზე, თუ ინფლაციური მოლოდინები და მშპ-ის ზრდის ტემპები ფასების ზრდაზე დამატებით ზეწოლას არ ქმნის.

2. პოზიტიურად უნდა შეფასდეს საბანკო სექტორში არსებული მდგომარეობაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც ლარიზაციის კუთხით შემცირებულია არა მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში, არამედ დეპოზიტების დოლარიზაციაც. ერთადერთი როდესაც მიზანშეწონილია ინტერვენციები ბაზარზე ეს იქნება რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ფაქტორიდან გამომდინარე, რაც მაკროეკონომიკური წონასწორობის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი და ასახავს ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებას საქართველოს ყველა ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ, ლარის ზედმეტად გამყარების თავიდან ასაცილებლად, იმპორტის შეზღუდვის და საპირისპიროდ ექსპორტის და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისათვის. აქ იგულისხმება ის ქვეყნები, რომლებთანაც საქართველოს ყველაზე მაღალი სავაჭრო ბრუნვა აქვს: ევროზონა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი, იაპონია. 2018 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკა გავიდა ბოლო დეკადის ყველაზე მაღალ მაჩვენებელზე. ეკონომიკის ზრდამ მიმდინარე წლის პირველი 6 თვის მონაცემების მიხედვით 5.5 %, ხოლო მაისში სულაც 7.5 % შეადგინა, რაც განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებშიც კი მაღალი მაჩვენებელია და ჩინეთის და ინდოეთის მზარდი ეკონომიკების დონეზე გადის. შედარებისათვის, BB ჯგუფის რეიტინგის მქონე ქვეყნებში, სადაც საქართველოც შედის, ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი, საშუალოდ, 3.5%–ზე ფიქსირდება.

3. მაგრამ მიუხედავად ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლისა, უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება და მთავარი ამოცანაც ეკონომიკის ზრდის ინკლუზიური განრცობაა, გრძელვადიან ეკონომიკურ ციკლში, რომელიც ითვალისწინებს ზრდის უზრუნველყოფის პროცესში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას და ზრდის შედეგების რაც შეიძლება უფრო ფართო განაწილებას სხვადასხვა შემოსავლის მქონე მოსახლეობაში. ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის მოდელი სწორედ მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერაზე და დასაქმების ზრდის პრიორიტეტზე უნდა იყოს აგებული, და არა ცალსახად სოციალურ პროგრამებზე, ან ეროვნული დოვლათის თანაბარი გადანაწილების პრინციპზე, რადგან ინკლუზიური ზრდის სტრატეგიაში პრიორიტეტი ენიჭება ისეთ პოლიტიკას, რომელიც რესურსების, პირველ რიგში კი ადამიანური რესურსების მაქსიმალურ ათვისებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკა უნდა იზრდებოდეს მოსახლეობის ფართო ფენების აქტიური ჩართულობით ეროვნული დოვლათის შექმნაში და განაწილებაში. იმისთვის, რომ ქვეყანაში შედარებით მაღალი სოციალური სტაბილურობა გვქონდეს, ანუ, შემოსავლების მხრივ მდიდრებსა და ღარიბებს შორის ამხელა განსხვავება არ იყოს, და ჯინის ინდექსი თუნდაც ბალტიის სახელმწიფოების დონზე -35 % დავიდეს, კიდევ უფრო მაღალი ტემპებით უნდა გაიზარდოს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, რაც არის დასაქმების და შემოსავლების ზრდის მთავარი წყარო ევროპის ქვეყნებში.

4. ეკონომიკურ ზრდას აფერხებს არაფორმალური სექტორი და თვითდასაქმება, რომელიც ძირითადად, საკუთარი თავის ფიზიკური კვლავწარმოების პროცესშია ჩართული და არა კაპიტალის დაგროვების და საწარმოო კვლავწარმოების პროცესში. ეს ფაქტორი ასევე ნეგატიურად ზემოქმედებს საბანკო სექტორის განვითარებაზე, მაღალი რისკების და ნაკლებ პროგნოზირებადობის გამო. ეს თანაბრად ეხებათ როგორც მეწარმე ფიზიკურ პირების კატეგორიას, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით რეგისტრირებული არიან ინდ. მეწარმეების სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკურ პირებს, რომლებიც დაკავებულები არიან დამოუკიდებელი პრაქტიკით და არაფორმალურ სექტორს წარმოადგენენ. ამიტომაც არის ახალი საგადასახადო რეფორმა მნიშვნელოვანი, რაც მათი ბიზნესის ლეგალიზაციის შუწყობს ხელს, 500 ათას ლარამდე ბრუნვის პირობებში შემოსავლების 1 %-ის დეკლარირებით. შესაბამისად, გაჩნდება რა წვდომა შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაზე, კომერციული ბანკებისათვის წმინდა შემოსავლების შეფასების შესაძლებლობას იძლევა. დღეს ეს არის ერთადერთი გზა კლიენტურის ბაზის გასაზრდელად. ბანკებს დღეს როგორც ჟანგბადი ისე სჭირდებათ კლიენტურის ბაზის გაფართოება. ერთი და იგივე კლასის კლიენტურაზე მაღალი საკრედიტო დამოკიდებულება ზრდის როგორც გადახდისუნარიანობის(ვალების ჭაობის ეფექტი), ასევე საკრედიტო პორთფელის კონცენტრაციის რისკსაც.

5. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ, 2016 წელს ესტონური მოდელის მოგების გადასახადის რეჟიმის შემოღება. რეფორმა გამოიწვევს წმინდა ინვესტიციების ზრდას. დაახლოებით 1,5 წელიწადში, რეალური მშპ გაიზრდება 1,44%-ით, ხოლო საერთო კერძო მოხმარება გაიზრდება დაახლოებით 0,85 %-ით; რაც ასევე მნიშვნელოვანია, შემცირდება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, კომპანიების მიერ დივიდენდების საქართველოში დატოვებით, რეფორმის საინვესტიციო ეფექტიდან გამომდინარე;

6. „მცირე მთავრობის" კონცეფციით მთავრობის ზომა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით მცირდება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ასევე მცირდება ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან 2.6 %-მდე, რაც საშუალოევროპულ მედიანურ მაჩვენებელზე ნაკლებია. ეკონომიკურ ზრდასა და მთავრობის ზომას შორის, კორელაციის დასადგენად ჩატარებული კვლევების უმრავლესობით, მთავრობის ზომის შემცირება, მთლიან შიდა პროდუქტში სხვა თანაბარ პირობებში იწვევს ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებას. ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსსაც აუარესებს. რადგან ჭარბი სახელმწიფო ხარჯები ასევე ჭარბ კერძო მოხმარებას იწვევს, რაც ეროვნულ დანაზოგს ამცირებს და საგარეო ვალის ზრდას იწვევს, ანუ ფისკალური დეფიციტი, ამავდროულად მიმდინარე ანგარიშის დეფიციტსაც იწვევს. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება აქტუალური თუ დეფიციტი გრძელვადიან პერიოდებშია გაწელილი. თუმცა ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ რეფორმის შედეგი, მყისიერად არც ამ შემთხვევაში მიიღწევა და დაახლოებით 1,5 წელიწადში გახდება ხელშესახები.

7. საქართველოს ეკონომიკას ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ შეამციროს ეკონომიკის მაღალი იმპორტდამოკიდებულება და გავიდეს უფრო მაღალ ეკონომიკურ ზრდაზე თუ კიდევ უფრო განვავითარებთ მომსახურების ექსპორტს და გავზრდით სასაქონლო საექსპორტო ჯგუფების ასორტიმენტს, თავისუფალი ეკონომიკური ზონების მხარდაჭრით და საქართველოს მთავრობის მიერ, 2016 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მაქსიმალური გამოყენებით, აქ წარმოებული პროდუქციის ექსპორტირების თვალსაზრისით.

8. DCFTA-ის (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება) ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ

მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

9. დღეს ჩვენთან ძირითადად შემოდის რესურსმაძიებელი ინვესტიციები, რომლებიც დაბალ ტექნოლოგიური და საშუალო დაბალ ტექნოლოგიური ინვესტიციებს განეკუთვნება. მაგალითად, ავეჯის წარმოება, ტანსაცმლის წარმოება, თამბაქოს წარმოება, ხილის წვენების წარმოება და ა.შ. ჯერჯერობით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით, ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი და ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას. სხვადასხვა კვლევები ადასტურებს, რომ ტრადიციული ნომენკლატურის პროდუქციის ექსპორტის ზრდა არის წამყვანი მთლიანი ექსპორტის ზრდაში, ხოლო ექსტენსიური ზრდა, რაც გულისხმობს საექსპორტო პროდუქციის გამრავალფეროვნებას და ახალი სასაქონლო ჯგუფების შექმნას, კვლავ სუსტია და მხოლოდ 10 % თუ უჭირავს ექსპორტის ნაზარდში.

10. სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ქვეყანა უნდა გადავიდეს ტრანზიტული დატვირთვიდან დამატებითი ღირებულების შექმნის დოქტრინაზე, რაც ყველაზე მაღალ ეფექტს მაღალტექნოლოგიური ინვესტიციების პირობებში მიიღწევა ანუ, ეკონომიკამ უნდა შექმნას დამატებითი ღირებულება, ინფრასტრუქტურის და ინოვაციური ცენტრების სახით, რაც ეკონომიკის ზრდასთან ერთად, გაზრდის ექსპორტს და შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვზრუნოთ დივერსიფიკაციის ზრდაზე არსებული სასაქონლო ნომენკლატურის გამრავალფეროვნებით. ანუ, ექსპორტი უნდა გაიზარდოს არა ინტენსიური, არამედ ექსტენსიური ზრდით, რაც გაზრდის რა ექსპორტის წილს მშპ-ში 65%-მდე, გლობალური შოკებისას შეამცირებს მის გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე.

11. ამერიკასა და თურქეთს შორის მიმდინარე პოლიტიკურმა დაძაბულობამ და „ეკონომიკურმა ომმა“, ასევე რუსეთისათვის დაწესებულმა სანქციების ახალმა ტალღამ, რასაც თურქული ლირის და რუსული რუბლის გაუფასურება მოყვა, ცხადად აჩვენა ბაზრების დივერსიფიკაციის საჭიროება. ჩვენ გვჭირდება საგარეო-ეკონომიკური კუთხით ბაზრების გაცილებით მაღალი დივერსიფიკაცია.სტრატეგიული ამოცანა უნდა გახდეს ევროკავშირის მსგავსად, მსოფლიოს ნომერ პირველ ეკონომიკასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება. დღეს აშშ -ის ხვედრითი წილი სავაჭრო ბრუნვაში ძალიან დაბალია და 4 %-ს შეადგენს, და 10 წამყვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის მეშვიდეა, მაშინ როდესაც ევროკავშირის ხვედრითი წილი გაცილებით მაღალია 26 %-ს შეადგენს. ევროკავშირი ცალკე სუბიექტად, რომ წარმოვიდგინოთ სულაც პირველ ადგილზეა საგარეო სავაჭრო ბრუნვაში.

12. ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად, მცირე ბიზნესის ზრდის ტემპი საშუალოდ 3-ჯერ მაღალია, თუ ორგანიზაცია ციფრული ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობს. მაღალი კონკურენციიდან და კაპიტალის სიმცირიდან გამომდინარე, მცირე ბიზნეს ერთეულების მხოლოდ 10% რჩება ბაზარზე, კომერციალიზაციიდან 3 წლის შემდეგ. მცირე ან საშუალო ზომის კომპანია, რომელსაც სურს ცნობადობის ამაღლება, გაყიდვების სტიმულირება ან ზოგადად, კომპანიის პოზიციონირება, დგება არჩევანის წინაშე – კომპლექსურად გამოიყენოს ტრადიციული, ძვირად ღირებული მედია საშუალებები თუ უპირატესობა მიანიჭოს მხოლოდ სოციალურ მედიას. ეს უკანასკნელი ზოგავს თანხებს, იკავებს ფართო აუდიტორიას, ახდენს სწორ პოზიციონირებას და მარკეტინგული კვლევის ერთგვარ ალტერნატივასაც კი წარმოადგენს. კომპანიებმა, რომელთაც გააქტიურეს სოცმედია-პლატფორმა, 20-22%-ით გაზარდეს გაყიდვები.

13. მიგვაჩნია, რომ კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრის (ტექნოლოგიური პარკი) დატვირთვა, რომელიც შექმნის ერთიან ეკოსისტემას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და ხელს შეუწყობს ინოვაციური იდეების განვითარებას. ტექნოლოგიური პარკი ასევე იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, რომ საქართველოში დაფუძნდეს საერთაშორისო მაღალტექნოლოგიური კომპანიების წარმომადგენლობები დადამატებით მოზიდულ იქნეს უცხოური ინვესტიციები. მიგვაჩნია, რომ იგი მომავალში განსაკუთრებულ როლს ითამაშებს ახალი ბიზნესისა და ახალი კომპანიების შექმნაში, არსებული ბიზნესის განვითარებაში, ინოვაციების კომერციალიზაციასა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნაში. მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი მოიცავს როგორც მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ასევე დიდ ოფისებს კომპანიებისათვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეს.

14. სახელმწიფო ვალი, მთავრობის და კერძო სტრუქტურების დავალიანებასთან ერთად მშპ-114 %-ს შეადგენს, რაც მაღალია საშუალო ევროპულ დონეზე, რომელიც 86 %-ის ფარგლებშია. ზოგადად, საგარეო ვალის ზრდა სარეკომენდაციო ზღვრის ფარგლებში ნეგატიურ მაკროფაქტორად არ უნდა მივიჩნიოთ. პირიქით, ჩვენნაირ განვითარებად ეკონომიკას შესაძლოა, სჭირდებოდეს ნასესხები სახსრების მოზიდვა საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, რა შემთხვევაშიც მიმდინარე ანგარიშის ახლანდელი დეფიციტი შეიძლება მომავალში გახდეს უფრო მაღალი ზრდის, უმუშევრობის შემცირების, ექსპორტის სტიმულირების და დანაზოგების წყარო.

15. ბოლო წლებში მისო-ების და ონლაინ სესხების გამცემი კომპანიების მზარდი ექსპანსია, ვერ დაბალანსდა საბანკო კრედიტის მიწოდებით, ისეთი სახის მიკროსაწარმოების გამრავლებას უწყობდა ხელს, რომლებიც ამ ზღვართან ახლოს არიან, ანუ ვერ ახდენს მცირე ბიზნესის თუნდაც საშუალო სეგმენტში გადასვლას სესხების მცირე მოცულობის, მოკლე ვადიანობის და სიძვირის გამო. ცალკე თემა უზრუნველყოფის პრობლემა, როდესაც ხშირად ერთი უზრუნველყოფის ქვეშ ხდება რამდენიმე მსესხებელზე სესხის გაცემა. ახალი რეგულაციებიც რომელიც ამ მიმართულებით 2018 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება და მისო-ებისათვის აწესებს სესხების ლიმიტს ჯამურად 100 ათას ლარამდე, მხოლოდ მისასალმებელია. მისო-ების ამ ტიპის ბიზნეს მოდელი თავის მხრივ აბრკოლებს უფრო ეფექტური მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას. სხვა განვითარებადი ქვეყნების მაგალითები და ამ მიმართულებით წარმოებული კვლევებიც ადასტურებს, რომ საბანკო სექტორის მიერ მცირე ბიზნესის დაკრედიტების პრობლემების და სამაგიეროდ, მიკროსაფინანსო დაწესებულებების საკრედიტო ექსპანსიისას, ბაზრის დიდ ნაწილს იკავებენ სწორედ ამ ტიპის მიკროსაწარმოები, რომლებსაც გრძელვადიან პერსპექტივაში, ხარჯების შემცირება და პროდუქტიულობის ზრდა არ შეუძლიათ.

16. ერთი და იგივე კლასის კლიენტურაზე მაღალი საკრედიტო დამოკიდებულება ზრდის როგორც გადახდისუნარიანობის(ვალების ჭაობის ეფექტი), ასევე საკრედიტო პორთფელის კონცენტრაციის რისკსაც. ვალაუვალ მსესხებელს ეზღუდება წვდომა საბანკო ანგარიშზე და უკვე პოტენციური სამართლებრივი აღსრულების და ქონების დაკარგვის შიშით, უმცირდება ფორმალური დასაქმების მოტივაცია, რაც ასევე პრობლემას წარმოადგენს მთლიანად ეკონომიკისთვის. ახალი საბანკო რეგულაციებით, რომელიც გარდა კომერციული ბანკებისა სხვა საკრედიტო ინსტიტუტებზეც გავრცელდება, იზღუდება მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა. კერძოდ, ასეთი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მცირდება 100 % დან 50 %-მდე, 2 ჯერ მცირდება დღიური დასარიცხი ჯარიმის ოდენობაც, ხოლო ჯარიმების დარიცხვა არა მთლიან თანხაზე, არამედ მხოლოდ სესხის ნარჩენ ძირზე მოხდება. ახალი საბანკო რეგულაციები, ხელს შეუწყობს საკრედიტო სტანდარტების გაუმჯობესებას საბანკო სექტორში, კომერციული ბანკების და მიკრიაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელების

ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას.

17. მიგვაჩნია, რომ ბოლო წლებში ბიზნესდაკრედიტების ტემპების შენელება და სამაგიეროდ, საცალო დაკრედიტების ზრდა არის პრობლემა ეკონომიკისათვის. იგი ატარებს მაღალ ლიკვიდობის რისკებს, და თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა ეკონომიკურ ზრდაზე მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს. ბანკებს სჭირდებათ ინოვაციური მიდგომების დანერგვა ბიზნესთან ურთიერთობაში, არსებული სტანდარტული დაკრედიტების მოდელები დროს ვეღარ პასუხობს, რადგან იგი კონსერვატულ მიდგომაზე -უძრავი ქონების ღირებულებაზეა რეალურად მიბმული და ნაკლებად ფულადი ნაკადების საპროგნოზო მაჩვენებლებზე. ეს ტანაბრად ეხება როგორც დამწყები ბიზნესის, ისე მოქმედი ბიზნესის დაკრედიტებას.

18. საქართველოში როგორც მცირე, ასევე საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მთავარი პრობლემა, მათი არასაკმარისი კაპიტალის და მცირე აქტივების პირობებში, არის სწორედ საგარანატიო მექნიზმების არქონა. მართალია, კმერციულ ბანკებში საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რაც ბიზნეს სესხებზე შემცირებულ საპროცენტო განაკვეთებშია ასახული, მაგრამ ეს პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ აგვარებს. ეს განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზინეს ეხება. რეალურად ამ ამოცანის გადაწყვეტა უძრავი ქონების დაგირავების გზით ხორციელდება, რაც საბოლოო ჯამში არის მაღალი სოციალური და ეკონომიკური რისკის მატარებელი. მიგვაჩნია, რომ მთავრობამ აქტიურად უნდა დაიწყოს ბიზნესდაკრედიტების ისეთი საკრედიტო-საგარანტიო მოდელების მხარდაჭერა, სადაც დეფოლტის რისკის დაზღვევასთან ერთად, სახელმწიფოს თანადაფინანსებით და ბანკების აქტიური ჩართულობით, ეკონომიკური და ფინანსური სარგებელი აისახოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე და დასაქმებაზე და გახდეს ინკლუზიური ზრდის შემადგენელი ნაწილი.

19. საქართველოში ბოლო წლებში ექსპორტის ხვედრითი წილის ზრდა მშპ-ში დიდწილად განპირობებულია არა ტრადიციულად სასაქონლო ექსპორტის ზრდის, არამედ მომსახურების ექსპორტის და პირველ რიგში ტურიზმის ზრდის შედეგად. დადებით ტენდენციად უნდა მივჩნიოთ, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დაბალანსებაც. თუმცა, რისკების შეფასების თვალსაზრისით, მშპ-ში მომსახურების ექსპორტის მაღალი წილი, ქმნის ეკონომიკის შენელების არც თუ მცირე ალბათობას, კრიზისების ან საგარეო გლობალური შოკებისას. ეს თანაბრად ეხება როგორც საქონლის ექსპორტს, ასევე მომსახურების ექპორტზე მაღალ დამოკიდებულ ქვეყნებს, მათ შორის ჩვენც. სხვადასხვა კვლევები ადასტურებს, რომ ტრადიციული ნომენკლატურის პროდუქციის ექსპორტის ზრდა არის წამყვანი მთლიანი ექსპორტის ზრდაში, ხოლო ექსტენსიური ზრდა, რაც გულისხმობს საექსპორტო პროდუქციის გამრავალფეროვნებას და ახალი სასაქონლო ჯგუფების შექმნას, კვლავ სუსტია და მხოლოდ 10 % თუ უჭირავს ექსპორტის ნაზარდში. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვზრუნოთ დივერსიფიკაციის ზრდაზე არსებული სასაქონლო ნომენკლატურის გამრავალფეროვნებით. ანუ, ექსპორტი უნდა გაიზარდოს არა ინტენსიური, არამედ ექსტენსიური ზრდით, რაც გაზრდის რა ექსპორტის წილს მშპ-ში 65%-მდე, გლობალური შოკებისას შეამცირებს მის გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე.

20.საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონე საკმაოდ მაღალია. აქედან, უმსხვილესი ორი კომერციული ბანკის(თი ბი სი ბანკი და საქართველოს ბანკი) წილი წმინდა აქტივებზე 73 % -ზე მეტია, საკრედიტო პორთფელი-77 %-ია. თუ ამ ორ ბანკს კიდევ ერთ სისტემურ ანუ აქტივების 5 %-ზე მეტის მფლობელ „ლიბერთი ბანკსაც" დავუმატებთ(6.2%), მათი ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში უკვე 80 %-ს უახლოვდება. საბანკო მომსახურების ბაზრის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია, ცალსახად უარყოფითად არ უნდა შეფასდეს. წამყვანი სისტემფორმირებადი ბანკები თავისებურ ბიზნესბარომეტრსაც წარმოადგენენ, როგორც სექტორში ინვესტორების მოზიდვის, ასევე ბაზრის სხვა მონაწილეებისთვისაც თამაშის წესების შეთავაზებით, ინოვაციური საბანკო პროდუქტების დანერგვის თუ საბანკო პროდუქტებზე ფასწარმოქმნის თვალსაზრისით. თუმცა, მეორეს მხრივ ბაზრის მაღალი კონცენტრაცია საწარმოს მაშტაბის ეფექტიდან გამომდინარე, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს

წამყვან ბანკებს კონკურენტებთან შედარებით და პირველ რიგში კლიენტებთან ურთიერთობისას, რაც შემდეგ გამოხატულია პოზიტიურ კორელაციაში კონცენტრაციასა და მომგებიანობას შორის.

საქართველოში გაცილებით მაღალია საბანკო ბაზრის კონცენტრაცია ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებშია, სადაც ეს მაჩვენებელი 30-45%-ის ფარგლებშია. ბაზრის მაღალი კონცენტრაცია, ასევე ატარებს მაღალ სისტემურ რისკებსაც, და ეს განსაკუთრებით მგრძნობიარეა გლობალური შოკების დროს, მით უმეტეს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებიდან ფინანსურ რესურსებზე არიან დიდწილად დამოკიდებული. კრიზისებისას ბაზრის მაღალი კონცენტრაციის პირობებში, პრობლემები რომელიმე სისტემფორმირებად საკრედიტო დაწესებულებაში, ტოვებს არასაკმარის ბუფერს რისკების სამართავად, მათ შორის კლიენტურის სხვა ბანკებში გადანაწილების და საბანკო ოპერაციების წარმოების თვალსაზრისით, ამ ბანკების მცირე კაპიტალის გამო. ბაზრის მაღალი კონცენტრაციის შემცირება უნდა მივიჩნიოთ საბანკო სექტორის კიდევ ერთ მთავარ გამოწვევად. შესაბამისად, სისტემის განვითარების სტრატეგიულ ამოცანად, უნდა განიხილებოდეს კონცენტრაციის არსებული მაჩვენებლის შემცირება. რაც აისახება როგორც საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების, ასევე მომგებიანობის მაღალი მარჟის შემცირებაში.

21. შემოსავლების არასაპროცენტო ნაწილის შეფასებისათვის გამოიყენება კიდევ საინტერესო ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს არასაპროცენტო შემოსავლების თანაფარდობას მთლიან შემოსავლებთან. საქართველოს საბანკო სისტემაში ეს ინდიკატორი 27.5 %-ით არის შეფასებული და ამ მაჩვენებლით გვაქვს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, რაც ასევე ნიშნავს, რომ ბანკების შემოსავლების დიდი ნაწილი, ფაქტიურად 2/3 საპროცენტო შემოსავლების გზით მიიღება. მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების ტარიფები ჩვენთან მაღალი არ არის, ეს ფაქტორიც მიგვაჩნია ერთ-ერთ მორიგ გამოწვევად საბანკო სექტორისათვის. არსებული დისპროპორცია საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლებს შორის, მიუთითებს მაღალი სპრედის ფაქტორზეც.

22. ქართული ბანკების აქტიურ ოპერაციებში არის მხოლოდ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების პორთფელი, ძირითადად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახით. ამავე დროს პრაქტიკულად ნულოვანია ფასიანი ქაღალდების პორთფელი დილინგური ოპერაციებისათვის, ხოლო ფინანსური მომსახურების თვალსაზრისით, საინვესტიციო ბანკინგის მექანიზმები პრაქტიკულად არ გამოიყენება. ევროპის წამყვანი ბანკები, აქ მხოლოდ წმინდა პროფილის საინვესტიციო ბაკებს არ ვგულისხმობთ, გამოდიან მთავრობების და კომპანიების ფინანსურ მრჩევლებად, ხელს უწყობენ კაპიტალის მოზიდვას აქციების, ობლიგაციებისა და სხვა პროდუქტების გაყიდვის გზით. მაგალითად თუ მთავრობას სურს აეროპორტის, მაგისტრალის ან სხვა მსხვილი მუნიციპალური პროექტის მშენებლობის დაფინანსება, მას შეუძლია საინვესტიციო ბანკებთან მუშაობა შიდა ან გარე ბაზრებიდან კაპიტალის მოსაზიდად.ბანკი ასევე ასრულებს საინვესტიციო მომსახურებას, როდესაც საქმე ეხება კომპანიების სააქციო კაპიტალის დაფინანსებას. ეს არის საბანკო კრედიტის გონივრული ალტერნატივა. რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკები მართავენ ამ პროცესში არსებულ რისკს ემიტენტებისგან ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და საჯარო განთავსების ან ინსტიტუციონალური მყიდველებისათვის მიყიდვის გზით. მაგალითად შესაძლებელია ობლიგაციების შეთავაზება ინსტიტუციონალური ინვესტორისათვის, იმავე სქემით რასაც აკეთებს სადაზღვევო კომპანია ან საპენსიო ფონდი. ეს არის გაციებით სწრაფი ფულის მოზიდვის საშუალება, რადგან არ საჭიროებს ამ აქციების რეგისტრაციას ფასიანი ქაღალდების კომისიაში.

23. საფოდო ბაზრის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ექნება პორთფელური ინვესტიციების ზრდის თვალსაზრისით. ლიკვიდური საფონდო ბაზარი კომპანიებს მისცემს საბანკო კრედიტზე დამოკიდებულების შემცირების ალტერნატივას, შედარებით იაფი ფულის მოძიების შესაძლებლობას. თავის მხრივ, ეს ბანკებს აიძულებს დაიწყონ მოძრაობა საპროცენტო განაკვეთის კიდევ უფრო შემცირებისაკენ. ბუნებრივია, ეკონომიკური ეფექტი სწრაფი არ იქნება

და რეალურ შედეგს დაახლოებით 5-7 წელიწადში მივიღებთ. მაგრამ დაყოვნება პროცეს კი არ დააჩქარებს, პირიქით მხოლოდ შეაფერხებს. საფონდო სეგმენტის განვითარება ბანკებსაც მისცემს საშუალებას განავითარონ საინვესტიციო საბანკო მომსახურება, რომელიც დღეს პრაქტიკულად არ არსებობს და ამით მნიშვნელოვნად გაზარდონ არასაპროცენტო შემოსავლები.

24. ჩვენთან საბანკო სისტემა, მიუხედავად ბოლო წლებში სესხებზე საპროცენტო განაკვეთების კლებისა, ფუნქციონირებს მაღალი წმინდა საპროცენტო მარჟის მაჩვენებელით, რაც 5.1%-ის ტოლია, ევროპის ქვეყნების უმრავლესობის საბანკო სისტემები წმინდა საპროცენტო მარჟით 2.5 %-ის ზონაში ფუნქციონირებს, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ ბალტიის სახელმწიფოებს-1.8-2.5 %. წმინდა საპროცენტო მარჟა ქვეყნების მიხედვით აჩვენებს, რომ ჩვენ ვიმყოფებით მარჟის სიდიდის მიხედვით, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების გვერდით. აღნიშნული ქვეყნები(განა, არუბა, ჰონდურასი, კენია, უგანდა, ნიკარაგუა და ა.შ.) ეკონომიკის განვითარების და ცხოვრების დონით ჩვენზე გაცილებით ჩამორჩენილი ქვეყნები არიან.

წმინდა საპროცენტო მარჟის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია მაღალი საპროცენტო სპრედით, რომელიც საშუალო მსოფლიო დონესთან შედარებით მაღალია და წმინდა მოგების აქტივების ზრდასთან 3 ჯერ მაღალი ზრდის ტემპით. თუ 2012 -2017 წლებში მოგება გაიზარდა 6.5 ჯერ, აქტივები იმავე პერიოდში მხოლოდ 2.5 ჯერ არის გაზრდილი.

25. მართალია, ტერმინოლოგიურად „ჭარბი დავალიანება“ არის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის უუნარობა გრძელვადიან პერიოდში და არ შეეხება თუნდაც სესხის ერთჯერად გადაუხდელობას, მაგრამ როდესაც განკარგვადი შემოსავლის მნიშნელოვანი ნაწილი სესხების მომსახურებაზე მიდის, ჭარბი დავალიანება ანუ იგივე ვალაუვალობა სერიოზული პრობლემა შეიძლება გახდეს ეკონომიკის ვარდნის ან შენელებისას ან თუნდაც გარე შოკებისას, ვალუტის მკვეთრი გაუფასურებით, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც დიდია სესხების დოლარიზაცია. ნიშანდობლივია, რომ აზიის სწრაფად განვითარებადი ქვეყნებისთვისაც კი(ინდოეთი, ჩინეთი) სადაც ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი 3 ჯერ აღემატება ევროზონის ქვეყნების წლიური ზრდის დონეს და 7 %-ზე მაღალია, დაკრედიტების ტემპები ეკონომიკის ზრდას მხოლოდ 1.8 ჯერ აღემატება. ჩვენს შემთხვევაში, გასული 2015-2017 წლის მიხედვით, ეკონომიკის ზრდამ საშუალოდ 3.56 % შეადგინა, ხოლო ბანკების საკრედიტო პორთფელი ამავე პერიოდში საშუალოდ 19.8 %-ით, ხოლო რეალური ზრდა ინფლაციის გამოკლებით 15.3 %-ს შეადგენს ანუ დაკრედიტების ტემპები ეკონომიკის რეალურ ზრდას 4.3 ჯერ აღემატებოდა.

26. ბუნებრივია, უიმედო ვალების დაბალი დონე, საბანკო სექტორის მდგრადობას უსვამს ხაზს, მაგრამ მეორეს მხრივ ვალაუვალობის ზრდამ მომავალში მაკროდონეზე სერიოზული პრობლემები შეიძლება წარმოშვას. ცნობილია, რომ დაკრედიტების ზე-მაღალი ტემპებისას, სამომხმარებლო კრედიტის დონის ზრდა ამცირებს მოხმარებას და მშპ-ის ზრდის ტემპს, რაც კიდევ უფრო ზრდის ჭარბი დავალიანების რისკს ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ლიკვიდობის რისკს მომავალში, რასაც თან ემატება არაფორმალური სექტორის მაღალი ხვედრითი წილი. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, იგი აუცილებლად აისახება მომავალში ნეგატიურად, როგორც საპროცენტო შემოსავლების შემცირების, ასევე მომგებიანობის შემცირების თვალსაზრისითაც. მიმაჩნია, რომ ბანკებს ნამდვილად სჭირდებათ ინოვაციური მიდგომების დანერგვა ბიზნესთან ურთიერთობაში, ციფრული ბანკინგის ახალი ბიზნესმოდელების და ბიზნესბანკირის ინსტიტუტის ფართო დანერგვით. ბანკი უნდა გახდეს მეწარმის პარტნიორი ფინნსური მრჩევლისა და კონსულტანტის სახით.

27. ქართული კომერციული ბანკების მომავალი, დიდწილად სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სწრფად შეძლებენ ახალ ციფრულ დროში ორიენტირებას და გადაეწყობიან კლიენტების მომსახურების გაზრდილ, სწრაფ და უსაფრთხო საჭიროებებზე. ეს პროცესი ჩვენთანაც დაწყებულია, იცვლება ბანკების დიზაინის სტრუქტურაც და ტექნოლოგიური პლათფორმებიც, მათ შორის უკვე ინერგება ღია ბანკინგი, რომელიც ახდენს

საბანკო მომსახურების პროცესში „Fintech" ტიპის ტექნოლოგიური კომპანიების ჩართულობას და კლიენტურისათვის მომსხურების ფართო არჩევანის შეთავაზებას. თუმცა ჩვენ კიდევ უფრო სწრაფი სვლა და ამ მიმართულებით მეტი ინვესტიციები გვჭირდება, რომ არ ჩამოვრჩებით საერთო მსოფლიო ტენდენციებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306
2. https://www.nbg.gov.ge/uploads/prezentacia/kpmg_presentation_draft_crosscountry_comparative_research_on_credit_effective_interest_rates_.pdf;
3. http://www.iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog
4. https://www.theglobaleconomy.com/rankings/household_debt_gdp/
5. https://tradingeconomics.com/country-list/households-debt-to-gdp
6. https://datamarket.com/data/set/1495/interest-rate-spread-lending-rate-minus-deposit-rate#!ds=1495!gab=5j.2l.67.5x.5g&display=line;
7. ლევან ქისტაური,გიორგი ცუცქირიძე,“რისკ მენეჯმენტი კომერციულ ბანკებში“,გამომცემლობა ქართული უნივერსიტეტი, 2015;
8. A.W. Mullineux, Business Cycles and Financial crises, 2011;
9. Brychan Thomas, Technology- based Enterpreneurship, 2013;
10. Koen Vermeylen,The Neoclassical Growth Model and Ricardian equivalence, 2015;
11. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/analytical_reports/2018/financial_sector_review_geo.pdf
12. http://unctad.org/en/Pages/DIAE/World%20Investment%20Report/Annex-Tables.aspx
13. https://knoema.com/nwnfkne/world-gdp-ranking-2017-gdp-by-country-data-and-charts
14. https://knoema.com/tbocwag/gdp-by-country-statistics-from-imf-1980-2022?subject=Gross%20domestic%20product%2C%20current%20prices%20(U.S.%20dollars)&country=Kyrgyz%20Republic
15. https://data.oecd.org/trade/trade-in-goods-and-services.htm#indicator-chart
16. გიორგი ცუცქირიძე: "ახალი სამთავრობო ინიციატივები მნიშვნელოვნად გაზრდის ხელმისაწვდომობას საკრედიტო რესურსებზე"-19.03.2018, http://geotimes.ge/index.php?m=5&news_id=53200&cat_id=5;
17. გიორგი ცუცქირიძე: საფონდო ბაზრის განვითარების გარეშე ზედმეტია საუბარი ეკონომიკის სწრაფ ზრდაზე” http://bfm.ge/safondo-bazris-ganvitarebis-gareshe-zedmetia-saubari-ekonomikis-swraf-zrdaze/;
18. გიორგი ცუცქირიძე: „ეკონომიკის ციფროვიზაციის პლათფორმა, დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს როლს და ადგილს თანამედროვე მსოფლიოში“, http://bfm.ge/ekonomikis-cifrovizaciis-platforma-didwilad-gansazghvravs-chvens-rols-da-adgils-tanamedrove-msoflioshi/
19. გიორგი ცუცქირიძე: "მხოლოდ საბანკო კრედიტით მცირე ბიზნესი არსად განვითარებულა“ ; http://www.geotimes.ge/index.php?m=5&news_id=58419&lng=geo;
20. ნინო ენუქიძე, მიხეილ ბატიაშვილი. ციფრული ეკონომიკა: კრიზისიდან გამოსვლის ინოვაციური გზა, 2015;
21. რატი აბულაძე, „პოლიტიკური ცვლილებების დროა“, 2018 წელი;
22. ვანო გოგელია, ზურაბ ნიკვაშვილი, „გზა მოგების გადასახადისლაბირინთიდან“ 2015, http://forbes.ge/news/676/gza-mogebis-gadasaxadis-labirinTidan
23. https://www.digitalbankingreport.com;
24. https://read.oecd-ilibrary.org/science-and-technology/oecd-digital-economy-outlook-2017_9789264276284-en#page24
25. https://idfi.ge/ge/pension-reform-in-georgia
26. https://www.bbvaresearch.com/wp-content/uploads/2017/02/WP_17-03_DiGiX_methodology.pdf;
27. http://www.moa.gov.ge/Ge/AboutDCFTA;